

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა



ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე  
(ლექციების კურსი)

ლექციების კურსი მომზადდა ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით,  
„საუნივერსიტეტო გრანტების პროგრამა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის“  
პროგრამის ფარგლებში

This course was prepared by the financial support of the International Visegrad Fund within the program:  
University Grants for Eastern Partnership Countries.

*ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე*

*(ლექციების კურსი)*

**Economic Policy of Visegrad Countries on the Way of EU Integration**

*ავტორები:* ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი, დოქტორანტი გიორგი ყუფარაძე, დოქტორანტი ნანა მაისურაძე

**Authors: Eka Lekashvili, Giorgi Kuparadze, Nana Maisuradze**

*სამეცნიერო რედაქტორი:*

რევაზ გველესიანი, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

**Scientific Editor: Revaz Gvelesiani**

**კონსულტანტები:**

პროფესორი დანეილ კუტორი - მისკოლკის უნივერსიტეტი, უნგრეთი

პროფესორი ჯაკეკ კლიში - კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტი, პოლონეთი

**Consulatant Experts: Daneil Kuttor-University of Miskolk, Hungary**

**Jakec Klish, Crakov University of Economics, Poland**

ვებგვერდი: <http://tsuvisegrad.ge/>

ლექციების კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა იმ ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებისა და გამოცდილების შესახებ, რომელიც განხორციელდა და რომელმაც წარმატება მოუტანა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ოთხეულის ე.წ. ვიშეგრადის ქვეყნების (ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი) ჯგუფს. განსაკუთრებული ხაზგასმა კეთდება ევროკავშირთან ინტეგრაციისა და რეგიონალური თანამშრომლობის საკითხებზე. კურსი განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

ლექციების კურსი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმოს სემინარულ მუშაობასა და დამოუკიდებელ კვლევას. ამისათვის თითოეული თავის ბოლოს მოცემულია სემინარული მუშაობის თემები და დამოუკიდებელი კვლევისათვის საჭირო მონაცემთა წყაროებისა და პუბლიკაციების ჩამონათვალი.

## წინასიტყვაობა

ტერმინი - „ვიშეგრადის ჯგუფი“ აღნიშნავს ცენტრალური ევროპის ოთხი ქვეყნის: ჩეხეთის, პოლონეთის, სლოვაკეთისა და უნგრეთის ალიანსს. ქვეყანათა თანამშრომლობის ამ ფორმის მიზანი რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება და ევროინტეგრაციის პროცესების გაძლიერებაა. სუბრეგიონალურმა თანამშრომლობამ, რომელსაც საფუძველი 1991 წლის 15 თებერვალს უნგრეთის ქალაქ ვიშეგრადში, ჩეხესოლოვაკიის პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის ინიციატივით ჩაეყარა, ევროკავშირთან ინტეგრაციის წარმატებული მაგალითი შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ვიშეგრადის ჯგუფს არ აქვს თავისი მუშაობის ისეთი ჩამოყალიბებული სტრუქტურა, როგორც ეს სხვა რეგიონალური თუ საერთაშორისო ორგანიზაციების შემთხვევაშია, და არ აქვს მუდმივი სამდივნო და არ ჰყავს თანამშრომლები, იგი ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იქცა წარმატებული რეგიონალური თანამშრომლობის სიმბოლოდ.

ვიშეგრადის ქვეყნების ჯგუფის თანამშრომლობის ეს ფორმა არ წარმოადგენს ევროკავშირის რეგიონალური გაერთიანების ალტერნატივას. იგი სწორედ ევროკავშირის მიერ არის მხრადაჭერილი, როგორც სუბრეგიონალური თანამშრომლობის ეფექტიანი სტრუქტურა. ვიშეგრადის ქვეყნების თანამშრომლობა ხელს უწყობს საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებას და ეკონომიკურ განვითარებას მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით.

ვიშეგრადის ქვეყნების მსგავსად, ევროინტეგრაციის პროცესები პრიორიტეტულია აღმოსავლეთ ევროპის მოსაზღვრე კიდევ ერთი რეგიონის - სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის. სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ესწრაფვიან თავიანთი საზოგადოებების ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის წარმატებით დასრულებას, ევროკავშირის სტანდარტებთან კონვერგენციას და ამ გზით ევროკავშირის წევრობას. როგორც ცნობილია, 2009 წლის 7 მაისს ევროკავშირმა აღმოსავლეთ ევროპის ექვს ქვეყანას (სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, უკრაინა) თანამშრომლობის ახალი ფორმა - აღმოსავლეთის პარტნიორობა (Eastern Partnership) შესთავაზა. "აღმოსავლეთ პარტნიორობა" არის არა ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა, არამედ ის ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში უფრო ღრმა ინტეგრაციას და მონაწილე ქვეყნებს სთავაზობს სოციალური და ეკონომიკური რეფორმების გატარებაში დახმარებას. ამ მხრივ, ვიშეგრადის ქვეყნების თანამშრომლობის გამოცდილება და ევროკავშირთან ინტეგრაციის ცალკეული ასპექტები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს.

ლექციების კურსის შექმნა სწორედ ზემოთხსენებმა რეალობამ განაპირობა. კურსის განმავლობაში განსაკუთრებული ხაზგასმა კეთდება ევროკავშირთან ინტეგრაციისა და რეგიონალური თანამშრომლობის საკითხებზე. კურსის შექმნა შესაძლებელი გახდა ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (International Visegrad Fund-[www.visegradfund.org](http://www.visegradfund.org)).

## შინაარსი

1. ეკონომიკური ინტეგრაცია: მიზნები, პოლიტიკა და მოსალოდნელი შედეგები.....	7
1.1 ინტეგრაციის მიზნები და ამოცანები .....	8
1.2 ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი .....	10
1.3 განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია .....	11
2. ეკონომიკური ინტეგრაციის თეორული ასპექტი.....	14
2.1 ინტეგრაციის შეფასება .....	14
2.2 ინტეგრაციის სტატიკური და დინამიკური ეფექტები .....	15
2.3 ვაჭრობის ეფექტები საბაჟო კავშირში.....	17
2.4 ვაჭრობის გაუმჯობესება და ვაჭრობის შეზღუდვა.....	18
3. ახალი წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური სტრუქტურა მეკ .....	25
3.1 ეკონომიკური სექტორები .....	26
3.2 შრომის ბაზარი.....	26
3.3 ევროკავშირის ახალ წევრი სახელმწიფოების მაკროეკონომიკური განვითარება .....	27
3.4 ვაჭრობა.....	28
3.5 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.....	29
3.6 საფინანსო სექტორი .....	29
4. ევროკავშირის ინსტიტუტები .....	30
4.1 ევროკავშირის საბჭო.....	32
4.2 ევროკავშირის პარლამენტი.....	37
4.3 ევროკავშირის კომისია.....	40
4.4 ევროპული სასამართლო.....	42
4.5 აუდიტორთა სასამართლო .....	43
4.6 ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემა.....	45
4.7 ევროპის საინვესტიციო ბანკი .....	46
5. გაფართოება და ევროკავშირის ეკონომიკა .....	47
5.1 ევროინტეგრაციის „საბაზრო ტენდენციები“ .....	47
5.2 ოთხი თავისუფლება და გაფართოება .....	48
საქონლის თავისუფალი გადაადგილება .....	49
ადამიანების თავისუფალი მიმოსვლა .....	49
მომსახურების წარმოების თავისუფლება.....	50

კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება .....	50
კონკურენცია და კონკურენტუნარიანობა .....	51
ბიბლიოგრაფია: .....	52
ვებ-რესურსები: .....	53
დავალელები სემინარული მუშაობისათვის.....	53
6. ვიშეგრადის ქვეყნების მიმოხილვა .....	<b>54</b>
6.1 ვიშეგრადის ჯგუფი: ცნება, ისტორია .....	55
6.2. ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკა.....	57
7. საერთაშორისო ვაჭრობის საკითხები ვიშეგრადის ქვეყნებში .....	<b>65</b>
ჩეხეთი .....	66
სლოვაკეთი .....	69
უნგრეთი.....	71
პოლონეთი .....	71
ბიბლიოგრაფია: .....	75
ვებ-რესურსები:.....	75
დავალელები სემინარული მუშაობისათვის.....	75
8. ვიშეგრადის ქვეყნების კოოპერაციის პირობები და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესების მიმოხილვა .....	<b>77</b>
8.1 ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების ეტაპების მიმოხილვა.....	79
8.2 ვიშეგრადის წევრების მიერ გაწევრიანების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასება...84	
სლოვაკეთი .....	84
უნგრეთი.....	85
ჩეხეთის რესპუბლიკა .....	85
პოლონეთი .....	86
კანონმდებლობების კონვერგენციის პრობლემები .....	87
გაწევრიანების პროცესი .....	88
8.3 ვიშეგრადის ქვეყნების კოოპერაციის პირობები და გამოცდილება ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ; ვიშეგრადის ქვეყნების მიზნების ფორმალური ხელახალი განაცხადი გაერთიანების შემდეგ.....	92
ვიშეგრადის ქვეყნების ინტეგრაცია ეკონომიკურ და სავალუტო კავშირში.....	98
ვიშეგრადის ქვეყნების ინტეგრაცია და შრომითი ბაზრები.....	104

<b>9. სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობა და ვიშეგრადის კოოპერაცია .....</b>	<b>111</b>
9.1 ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მდგრადი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება .....	111
9.2 მდგრადი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება .....	113
ფინანსური შესაძლებლობები .....	114
ორგანიზაციული შესაძლებლობები .....	117
ინფრასტრუქტურა .....	118
სამართლებრივი გარემო .....	121
მომსახურების მიწოდება .....	122
რეგიონალიზმი .....	123
ბიბლიოგრაფია: .....	128
ვებ-რესურსები: .....	128
დავალებები სემინარული მუშაობისათვის .....	128

## 1. ეკონომიკური ინტეგრაცია: მიზნები, პოლიტიკა და მოსალოდნელი შედეგები

საქონლისა და მისი წარმოებისათვის საჭირო ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობის განვითარება ინტეგრაციული პროცესების გადრმავებას იწვევს, რაც გულისხმობს ქვეყნებს შორის უფრო მეტად საიმედო საწარმოო-სავაჭრო კავშირების არსებობას და საერთაშორისო ვაჭრობისა და წარმოების ფაქტორთა მოძრაობის გზაზე მრავალრიცხოვანი დაბრკოლებების მოხსნას. ეს შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სახელმწიფოთაშორისო ინტეგრაციული გაერთიანების ფარგლებში, რომელიც მრავალმხრივ პოლიტიკურ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს ეყრდნობა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ინდუსტრიული ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური ზრდის და საერთაშორისო სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების სრულყოფის შედეგად გაფართოვდა საქონლით და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა. პროცესს თან დაერთო წარმოების ფაქტორთა საერთაშორისო მოძრაობის ფორმების განვითარება, რის შედეგადაც მოგება, რომელიც საქონლის ფასშია ჩადებული, იქმნება არა მხოლოდ ეროვნული საზღვრების ფარგლებში, არამედ მის გარეთაც. ამგვარად, ეკონომიკური ინტეგრაცია საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის და წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობის განვითარების კანონზომიერ შედეგს წარმოადგენს.

ეკონომიკური ინტეგრაცია არის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთზემოქმედების პროცესი, რომელიც ერთმანეთთან აახლოვებს ეროვნულ სამეურნეო მექანიზმებს სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე და სახელმწიფოთაშორისი ორგანოების მიერ რეგულირდება.

ინტეგრაციის წარმატებული განვითარებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინამძღვრები:

1) **ინტეგრირებული ქვეყნების საბაზრო სიმწიფის ხარისხის და ეკონომიკური განვითარების დონის თანაბრობა.** ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სახელმწიფოთაშორისო ინტეგრაცია ვითარდება ინდუსტრიულ ქვეყნებს, განვითარებად ქვეყნებს შორის ან ინდუსტრიული და განვითარებული ქვეყნების ფარგლებში. მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ინტეგრაციული პროცესები უფრო აქტიურად მიმდინარეობს მსგავს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს შორის. ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ინტეგრაციული ტიპის გაერთიანებები ჩამოყალიბების ადრეულ სტადიაზეა და მისი ეფექტიანობის თაობაზე ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა. ამ შემთხვევაში, სამეურნეო მექანიზმების შეუსაბამობის გამო, გაერთიანება იწყება გარდამავალი შეთანხმებების საფუძველზე – ასოციაციის, ანუ ნებაყოფლობითი გაერთიანების, სპეციალური პარტნიორობის, სავაჭრო პრეფერენციების და ა.შ. საშუალებით,

რომელთა მოქმედების ვადა გრძელდება მრავალი წლის მანძილზე, სანამ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში არ შეიქმნება განვითარებული ქვეყნის საბაზრო სიმწიფის მსგავსი მექანიზმები;

2) **ინტეგრირებული ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვე, საერთო საზღვრები და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირები.** მსოფლიოს უმრავლესი ინტეგრაციული გაერთიანება ჩამოყალიბდა მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების საფუძველზე. ისინი ხშირ შემთხვევაში ერთ კონტინენტზე მდებარეობენ, გეოგრაფიულ სიახლოვეში, აქვთ ერთი სასაზღვრო ენა და ერთიანი სატრანსპორტო კომუნიკაციები. ეს ქვეყნები წარმოადგენენ გაერთიანების ბირთვს, რომელსაც შემდგომ სხვა მეზობელი სახელმწიფოები უერთდებიან;

3) **საერთო ეკონომიკური და სხვა პრობლემები განვითარების, ფინანსების, ეკონომიკის რეგულირების და პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროებში.** ეკონომიკური ინტეგრაცია მოწოდებულია გადაჭრას იმ კონკრეტული პრობლემების ნაკრები, რომელიც რეალურად დგას ინტეგრაციაში მონაწილე ქვეყნების წინაშე. ამ მიზეზით ის ქვეყნები, რომელთა მთავარი პრობლემაც საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაა, ვერ ინტეგრირდებიან სახელმწიფოებთან, რომელთა ბაზრის განვითარებაც ერთიანი ვალუტის შემოღებას მოითხოვს;

4) **დემონსტრაციული ეფექტი.** ინტეგრაციულ დაჯგუფებებში მონაწილე ქვეყნებში დადებითი ეკონომიკური ძვრები მიმდინარეობს, რაც თავისებურ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს არაწევრ ქვეყნებზე, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მიმდინარე ცვლილებებს;

5) **“დომინოს ეფექტი”.** მას შემდეგ, რაც ამა თუ იმ რეგიონის ქვეყნები ინტეგრაციულ დაჯგუფებებს ქმნიან, მის ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქვეყნები გარდაუვლად განიცდიან სიმძნელებს, რაც გამომდინარეობს ინტეგრაციის წევრი ქვეყნების სტრატეგიის შეცვლიდან, ეს კი იწვევს ინტეგრაციის წევრ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების შესუსტებას. პრობლემის თავიდან ასაცილებლად არაწევრი ქვეყნები ინტერესდებიან ინტეგრაციაში გაწევრიანებით.

### **1.1 ინტეგრაციის მიზნები და ამოცანები**

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკაში აღმოცენებული ინტეგრაციული დაჯგუფებები მიზნად ისახავენ მსგავსი ამოცანების გადაჭრას:

1. **მასშტაბის ეკონომიის უპირატესობებით სარგებლობა,** რაც ნიშნავს ბაზრის მასშტაბების გაფართოებას, დანახარჯების შემცირებას და სხვა უპირატესობების გამოყენებას მასშტაბის ეკონომიის საფუძველზე;

2. **ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური გარემოს შექმნა.** უმრავლესი ინტეგრაციული დაჯგუფების მიზანია ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შენარჩუნება წევრ ქვეყნებს

შორის პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ, კულტურულ და სხვა არაეკონომიკურ სფეროებში. პოლიტიკური პრიორიტეტები ინტეგრაციული დაჯგუფების ფარგლებში მყარდება ეკონომიკური ვალდებულებებით;

**3. სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტა.** რეგიონული ინტეგრაცია ხშირად გვევლინება წვერი ქვეყნების პოზიციათა გამყარების საშუალებად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში. რეგიონული ბლოკის საშუალებით იქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები ურთიერთშორის ვაჭრობაში, მრავალმხრივ სავაჭრო შეთანხმებებთან შედარებით;

**4. ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე ზემოქმედება.** ინტეგრაციის ფარგლებში ქვეყნებს, რომლებიც ქმნიან საბაზრო მოდელს, მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებთან ინტეგრირებისას, ხელი მიუწვდებათ საბაზრო გამოცდილებაზე. განვითარებული ქვეყნები დაინტერესებულნი არიან ინტეგრაციაში ჩართული სხვა ქვეყნების საბაზრო რეფორმების დაჩქარებით და სრულფასოვანი ტევადი ბაზრების შექმნით;

**5. ეროვნული მრეწველობის ახალგაზრდა დარგების მხარდაჭერა.** ინტეგრაციული დაჯგუფებების შექმნა არ ითვალისწინებს მესამე ქვეყნების მიმართ დისკრიმინაციული ზომების გატარებას. იგი განიხილება ეროვნული მრეწველობის ახალგაზრდა დარგების მხარდაჭერი საშუალების სახით, რადგანაც იქმნება უფრო ფართო რეგიონული ბაზარი.

ეკონომიკური ინტეგრაციის წარმატება და წარუმატებლობა მისი მიზნების ბუნებიდან გამომდინარეობს. სარგებლის მიღება სახელმწიფოთა გაერთიანებების მთავარი მიზანია. მნიშვნელოვანი აქცენტი იმაზე კეთდება, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის ტერმინის მიუხედავად, გაერთიანების სარგებელი შეიძლება არაეკონომიკური იყოს. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ზოგიერთი წევრისათვის, ან ყველა მათგანისათვის უმთავრესია პოლიტიკური, ნაციონალური, თავდაცვის და სხვა მიზნები. საბოლოო მიზნების მიუხედავად, ყველა ეკონომიკურ გაერთიანებას ყოველთვის ახლავს დადებითი და უარყოფითი შედეგები, რომელიც ვაჭრობის ლიბერალიზაციის და გაფართოებულ ბაზარზე გამკაცრებული კონკურენციის შედეგად ჩნდება. ეკონომიკური შედეგები ანალიზის და შეფასების საგანი უნდა გახდეს. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნებმა შეიძლება გააგრძელონ ეკონომიკური ინტეგრაცია დადებითი მაგრამ ქვეყნისთვის უმნიშვნელო ეფექტების მოლოდინში, მაგრამ მათი წევრობა კავშირში არ წარმოადგენს საჭირო აუცილებლობას. ბევრი ქვეყნისათვის ეროვნული ღირებულებები და ნაციონალური თვითგამორკვევა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე ეკონომიკური წინსვლა ეკონომიკური კავშირის შიგნით.

კავშირის მიზნები ხშირად არაეფექტიანი ან საერთოდ მიუღწეველია კავშირის სხვა წევრებთან მჭიდრო კოოპერაციის გარეშე. კავშირში მონაწილეობა და ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვა შეიძლება გამართლებული ნაბიჯი იყოს გაერთიანების კოლექტიური მიზნების მიღწევისათვის. ხშირად ერთიანი მიზნების მიღწევისას, შესაბამისი წესებისა და პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების გარეშე, დანახარჯები – სარგებელი წევრ ქვეყნებს შორის არათანაბრად ნაწილდება, რაც აფერხებს ინტეგრაციის მსვლელობას.

## 1.2 ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი

რეგიონული ეკონომიკური გაერთიანების ტერმინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმებს განსაზღვრავს. ეკონომიკურ ლიტერატურაში გაერთიანების განვითარების ეტაპების მიხედვით წარმოდგენილია ინტეგრაციის ოთხი ძირითადი ფორმა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. თავისუფალი ვაჭრობის ზონა – თავისუფალი ვაჭრობა წევრ-ქვეყნებს შორის;
2. საბაჟო კავშირი – თავისუფალი ვაჭრობის ზონას დამატებული ერთიანი საგარეო ტარიფი არაწევრ ქვეყნებთან ვაჭრობისას;
3. ერთიანი ბაზარი – საბაჟო კავშირს დამატებული წარმოების ფაქტორთა თავისუფალი მოძრაობა;
4. ეკონომიკური კავშირი – ერთიან ბაზარს დამატებული ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკა.

ეს კლასიფიკაცია სისტემატიზებულია და არ გვიჩვენებს ეკონომიკური ინტეგრაციის საფეხურებს და სიღრმეს. რეალობაში ეკონომიკური გაერთიანებები უფრო მეტად კომბინირებული ფორმით წარმოგვიდგებიან.

თავისუფალი ვაჭრობის ზონის გარდა, რომელიც მხოლოდ წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ეფუძნება, ყველა სხვა ფორმა შიდა დინამიკური პროცესებით ხასიათდება. იგი განაპირობებს ინტეგრაციის სამომავლო განვითარებას. საბაჟო კავშირმა შეიძლება გამოიწვიოს ინტეგრაციის უფრო მოწინავე ფორმა – თუ რა თქმა უნდა წევრი ქვეყნები ამაზე შეთანხმდებიან. ინტეგრაცია იწყება ეკონომიკის გახსნილობის ზრდის და წევრი ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის საფუძველზე. ინტეგრაცია ამცირებს წევრი სახელმწიფოს შესაძლებლობებს დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის გატარებასთან ან ერთიანი ჯგუფური მიდგომიდან გადახვევასთან დაკავშირებით. მზარდი ურთიერთდამოკიდებულება ექსტერნალიებს იწვევს. იგი გამოწვეულია სხვა ქვეყანაზე ცალკეული წევრი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენით. ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე ქვეყნები ესწრაფიან სარგებლის მაქსიმალურ გაზრდას ანუ გარე ეკონომიის მიღწევას და დანაკარგების მინიმიზაციას ანუ გარე დისეკონომიას (დაბალი ეფექტიანობა ან მაღალი საშუალო დანახარჯები წარმოების გაფართოებიდან). ეკონომიკური გაერთიანების წევრები ირჩევენ ან განახორციელონ საგარეო პოლიტიკის კოოპერაცია გარე ეფექტების ინტერნალიზების მიზნით, რაც ეკონომიკურ ინტეგრაციას აძლიერებს, ან უარი თქვან კოოპერაციულ პოლიტიკაზე, რომელიც ურთიერთდამოკიდებულებიდან თავისუფალი სავაჭრო ზონისკენ უკუსვლას ნიშნავს. ამ შემთხვევაში, პოლიტიკის თავსებადობის საჭიროება მინიმალური მოთხოვნაა საერთაშორისო ვაჭრობაში უკვე ჩართულ ქვეყნებს შორის და შეიძლება ემყარებოდეს სახელმწიფოთაშორის უკვე არსებულ სახელმწიფოებო არხებს. და პირიქით, ეკონომიკური ინტეგრაციის მოწინავე ფორმებს განსაზღვრავს ეროვნული პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც ეკონომიკურ გაერთიანებას აიძულებს ჩამოაყალიბოს წესები ახალი ხელშეკრულებების საფუძველზე და დააფუძნოს

ზენაციონალური სპეციალური ინსტიტუციები. შედეგად, ინტეგრაციის მოწინავე ფორმები ასახავს სახელმწიფოთაშორისო კოოპერაციის განვითარებას მარტივი თავსებადობიდან სრულ კოორდინაციამდე, ჰარმონიზაციასა და უნიფიკაციამდე. ეს ქმედებები არაწევრი სახელმწიფოების დაახლოვების ან ზოგჯერ მასში მონაწილეობის მიღების მიზეზი შეიძლება გახდეს.

ინტეგრაციის ფორმების ტაქსონომია აჩვენებს, რომ ინტეგრაციის წარმართვა და გახსნილობა იზრდება, ურთიერთდამოკიდებულება წევრ ქვეყნებს შორის ღრმავდება და, შესაბამისად, ჩნდება ინტენსიური კოოპერაციის საჭიროება. საბაჟო კავშირის საწყის ეტაპზე მისი შიგა საკავშირო ვაჭრობაში შეზღუდვების ლიკვიდაციას ერთობლივი საგარეო ტარიფი ემატება. მოგვიანებით კი წევრი ქვეყნების ეროვნულ უცხოურ სავაჭრო პოლიტიკას ერთიანი ინტეგრირებული სავაჭრო პოლიტიკა ანაცვლებს. შესაბამისად, საბაჟო კავშირის ერთიან ბაზრად გარდაქმნა განაპირობებს წარმოების ფაქტორების თავისუფალ მობილობას, რის გამოც იცვლება მათი მიწოდება და ფასი ყველა წევრ ქვეყანაში. ამგვარად, ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მოდელი და ტემპი იცვლება და თითოეული ქვეყნის წარმოება იზღუდება.

ეკონომიკური ინტეგრაციის მსვლელობისას წევრი ქვეყნები ნებაყოფლობით ირჩევენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების და პოლიტიკის შეზღუდვას და ზოგჯერ რთული ამოცანებით და პოლიტიკით ანაცვლებენ, რომელიც ერთიანობაში პასუხისმგებელია კავშირის პოლიტიკაზე. ინტეგრაციის განვითარება დამოკიდებულია წევრი ქვეყნების სურვილზე, გააძლიერონ თუ არა მათზე ზეეროვნული ხელისუფლების გავლენა.

ამგვარად, ინტეგრაციის პროცესის მსვლელობისას წევრი ქვეყნების ეროვნული ხელისუფლების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა პროგრესიულად იზღუდება. ამავე დროს, კავშირის ძალაუფლება, რომელიც გამოხატულია ერთიან პოლიტიკაში, ძალას იკრებს. ძალაუფლების დანებება და ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვა ხშირად ძლიერ წინააღმდეგობებს წარმოშობს. ამ მიზეზით, ქვეყნები ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდში ეკონომიკურ ინტეგრაციაში ჩართვისას შეიძლება ჩათრეულნი იქნენ კრიზისში. შესაბამისად, წევრი ქვეყნების სურვილი, დათანხმდნენ კომპრომისულ ვარიანტს და მიაღწიონ კონსენსუსს, გაერთიანებას ასულდგმულებს, მაგრამ მხოლოდ ინტეგრაციის და ურთიერთდამოკიდებულების უმაღლეს დონეზე.

### **1.3 განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია**

კეთილდღეობის ამაღლებაზე ორიენტირებულ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური გაერთიანების პრინციპული მოთხოვნებია:

- ეკონომიკური განვითარების სათანადო დონე;
- მსგავსი, მაგრამ პოტენციურად შემავსებელი (კომპლემენტარული, სრულმყოფი) სტრუქტურები წარმოებასა(მიწოდებასა) და მოთხოვნაში.

განვითარებულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირის ძალისხმევა მიმართულია პოტენციურად შემავსებელი (კომპლემენტარული) საკითხების გააქტიურებისაკენ. წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, ბაზრის ლიბერალიზაცია და გაფართოება იწვევს მყისიერ საერთო სარგებელს ეკონომიკური გაერთიანების სტატიკური ეფექტის სახით. იგი წარმოების და მოთხოვნის არსებული სტრუქტურის პირობებში მზარდი ვაჭრობის და კონკურენციის მიზეზით ჩნდება. გრძელვადიან პერიოდში გაფართოებული კონკურენციული ბაზრიდან მოსალოდნელია ეკონომიკური ინტეგრაციის დინამიკური ეფექტები დაჩქარებული განვითარების და კეთილდღეობის ზრდის სახით. კერძოდ, ადგილი აქვს

- წევრ ქვეყნებს შორის რესურსების განთავსებისა და უტილიზაციის გაუმჯობესებას;
- წარმოებასა და მოთხოვნაში ეკონომიის მასშტაბის რეალიზაციას;
- სპეციალიზაციას კონკურენციული უპირატესობის საფუძველზე.

ამ სარგებლის სრული სიდიდე არ შეიძლება იყოს მიღწეული ერთი ქვეყნის მცდელობით, განსაკუთრებით მაშინ, თუ საკითხი განიხილება ეკონომიკურად „მცირე“ ქვეყნის პოზიციიდან. თუ ეროვნული ბაზრები კავშირის ფორმირებამდე ოლიგოპოლისტური იყო, ეკონომიკურ ინტეგრაციას მეტი სარგებელი მოაქვს ბაზრის გაფართოებიდან, რადგან მიღებული შემოსავლების ზრდა განპირობებულია მასშტაბის ეკონომიით. ინტეგრაცია ხსნის ბაზრებს მზადრი ინტენსიური კონკურენციისთვის, რასაც რესურსების განთავსების გაუმჯობესებისაკენ და კეთილდღეობის ეფექტიანობის ამაღლებისკენ მივყავართ. ეს უკანასკნელი სტიმულს აძლევს კვლევას და განვითარებას, იწვევს ტექნიკურ ცვლილებებს და ინოვაციების რიცხვის მატებას, მეტ ინვესტიციას და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.

მოცემულ სავაჭრო მოდელში განვითარებად ქვეყნებს შორის ინტეგრაციის ძირითადი მიზეზი არ ეფუძნება კონკურენციით გამოწვეულ სტატიკურ სარგებელს, რომელიც ასახავს არსებულ განვითარებად საწარმოო მოდელს. მათი ინტეგრაციის მიზანი პოტენციურ დინამიკურ ეფექტებში გამოიხატება. მჭიდრო თანამშრომლობის მოლოდინი რეგიონულ ბაზრებს სტიმულს აძლევს. ეს უკანასკნელი წარმოების სტრუქტურას ავითარებს მოცულობის ზრდის და ვაჭრობის მიმართულების თავისებურებების თვალსაზრისით. თუმცა მათ ინტეგრაციას აქვს ერთი მთავარი მიზანი – მათი განვითარების დაჩქარება, რაც გამოიხატება

- ბაზრის გაფართოების საფუძველზე მასშტაბის ეკონომიით მიღებული სარგებლით და განვითარებადი ქვეყნების კონკურენტული სტრუქტურის განვითარების პოტენციალით;
- ეკონომიკური ზრდისთვის დეფიციტური რესურსების თავმოყრით, როგორცაა კაპიტალი, კვალიფიციური მუშახელი, უცხოეთთან ვაჭრობა და მეწარმეობა;
- ინვესტიციების განხორციელებისას, კვლევის დანახარჯებსა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისას არასასურველი და არაეკონომიკური გაორებისგან თავის არიდებაში.

შედეგის სახით, ინტეგრაციის წარმატება განვითარებად ქვეყნებს შორის განხილულ უნდა იქნას გრძელვადიანი პერიოდისთვის, მას შემდეგ რაც წევრები დატვირთავენ საწარმოო შესაძლებლობებს შიგარეგიონული მოთხოვნის ზრდის საპასუხოდ. განვითარებად ქვეყნებს შორის ეკონომიკური გაერთიანებების შედეგების შესაფასებლად განხილვას მოითხოვს მათი კოლექტიური გარიგებების გავლენა ეკონომიკასა და ზოგჯერ პოლიტიკაზეც, საგარეო ურთიერთობებზე.

თუმცა, გრძელვადიანი პერიოდში, განვითარებად ქვეყნებს შორის ინტეგრაციის შემთხვევაში, ეკონომიკური დანაკარგების შემდეგ სარგებლის მიღება თვითდესტრუქციული ელემენტებით იზღუდება. ამ ტიპის ეკონომიკური გაერთიანებები მოიცავს ორ და მეტ ქვეყანას, რომელთაგან თითოეულს მსგავსი მიზანი აქვს – პარტნიორობის ხარჯზე საკუთარი განვითარების მიღწევა. შესაბამისად, თითოეული წევრი ქვეყანა ცდილობს გაზარდოს საკუთარი შესაძლებლობები ფიქსირებული რესურსების პირობებში, რომელიც ხელმისაწვდომია კოლექტიური განვითარების პირობებში. ეს პროცესი ტენდენციის ხასიათს იღებს და იწვევს კავშირის პარტნიორობს შორის კონფლიქტს, რომლის გადაჭრაც საკმაოდ რთულია და ჩვეულებრივ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმოძრაობის მიზეზი ხდება. 1950–იანი წლებიდან განვითარებად ქვეყნებს შორის 40–ზე მეტი ეკონომიკური გაერთიანება შეიქმნა, მაგრამ მათი უმეტესობა წევრებს შორის მტრობის და ბრალდებების გამო მალევე უმოქმედო გახდა და დეინტეგრაცია განიცადა.

#### მაგალითი 1.

კენიამ, ტანზანიამ და უგანდამ ჩამოაყალიბეს 1965 წელს აღმოსავლეთ აფრიკის ერთიანი ბაზარი. ვაჭრობის და ეკონომიკური განვითარებისათვის დაგეგმილი ინვესტიციების დაუბალანსებლობის გამო წევრებს შორის პრობლემები ადრიდანვე დაიწყო. 1975 წლისათვის ინტეგრაციის ხელშეკრულება ღრმა კრიზისში შევიდა და საბოლოოდ ერთიანი ბაზრის დაშლის მიზეზი გახდა.

#### მაგალითი 2.

1960 წელს შეიქმნა ცენტრალური ამერიკის ერთიანი ბაზარი კოსტა რიკის, ელ. სალვადორის, გვატემალას, ჰონდურასის და ნიკარაგუას მონაწილეობით. პრობლემები შეიქმნა მაშინ, როდესაც წევრებმა აღმოაჩინეს, რომ ერთიანი ბაზარი ვაჭრობაზე ორიენტირებული იყო და თავისუფალ ვაჭრობას ემხრობოდნენ ძირითადად ის ქვეყნები, რომელთაც უფრო ფართო ინდუსტრიული ბაზა ჰქონდათ. უფრო მეტიც, ექსპორტზე ორიენტირებული ზრდა არ განხორციელდა. 1969 წელს ელ. სალვადორსა და ჰონდურასს შორის მიგრანტი მუშაკებისადმი დისკრიმინაციული მიდგომის გამო ომი დაიწყო. მომდევნო წლებში პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და სამოქალაქო ომებმა წევრ ქვეყნებში თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეჩერება გამოიწვია და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ ამოქმედდა ხელშეკრულება ხელახლა.

## 2. ეკონომიკური ინტეგრაციის თეორული ასპექტი

### 2.1 ინტეგრაციის შეფასება

საერთაშორისო ეკონომიკაში ინტეგრაციის ეფექტი ფასდება იმის მიხედვით თუ რა შედეგს გვაძლევს ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანება: მივყავართ მას თავისუფალი ვაჭრობისაკენ თუ, პირიქით, რამდენად ზღუდავს იგი სავაჭრო ნაკადებს. ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT) თანახმად, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პირობებში შესაძლებელია საბაჟო კავშირის და თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა. წესების მიხედვით, ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნამდე შესაძლებელია გარდამავალი მოლაპარაკებების წარმოება, რომელმაც უნდა მოამზადოს საფუძველი საბაჟო კავშირის შესაქმნელად.

90-ანი წლების დასაწყისში მსოფლიო ბანკის სპეციალისტებმა ჩამოაყალიბეს კრიტერიუმების ნუსხა, რომლის მიხედვითაც ინტეგრაციული დაჯგუფებების საერთაშორისო ეკონომიკის ჭრილში ეფექტიანი ფუნქციონირების ხარისხი შეისწავლება. ეს კრიტერიუმებია:

1. რეგიონულმა შეთანხმებებმა ეკონომიკის ყველა დარგი უნდა მოიცვას გამონაკლისის გარეშე;
2. გარდამავალი პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს და უნდა შედგეს ვაჭრობის ლიბერალიზაციის მკვეთრად განსაზღვრული გრაფიკი;
3. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პირობებში ვაჭრობის ლიბერალიზაცია წინ უნდა უსწრებდეს ან თან უნდა სდევდეს ნებისმიერი ახალი ინტეგრაციული დაჯგუფების ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ საწყისი ტარიფები საკმაოდ მაღალია;
4. საბაჟო კავშირის ფარგლებში შემოღებული ერთიანი საბაჟო ტარიფი არ უნდა აღემატებოდეს ყველაზე მცირე ტარიფს შესაბამის დარგში;
5. ინტეგრაციულ დაჯგუფებებში ახალი წევრების მიღების წესები ლიბერალური უნდა იყოს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანების გაფართოებას;
6. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა გამჭვირვალე უნდა იყოს და დაჯგუფების შიგნით პროტექციონიზმის იარაღს არ უნდა წარმოადგენდეს;
7. აუცილებელია ინტეგრაციული დაჯგუფების დაბალი ფორმებიდან დროულად მოხდეს გადასვლა განვითარების მაღალ ფორმებზე, რაც უზრუნველყოფს წარმოების ფაქტორთა რაციონალურ გადანაწილებას და გამოყენებას;

8. ინტეგრაციული გაერთიანების ჩამოყალიბების შემდეგ ანტიდემპინგური წესები უნდა აიკრძალოს, ხოლო არაწევრ ქვეყნებთან ურთიერთობაში ვაჭრობის წესი მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული.

## **2.2 ინტეგრაციის სტატიკური და დინამიკური ეფექტები**

ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის ფუძემდებლად გვევლინება კანადელი მეცნიერი ჯეკობ (იაკობ) ვაინერი, რომელმაც ანალიზის საფუძველში ჩადო ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობის შედარება ინტეგრაციაში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდგომ. ვაინერის მიხედვით საბაჟო კავშირის შექმნის შედეგად არსებობს ეკონომიკაში მოსალოდნელი ეფექტების ორი სახე: სტატიკური და დინამიკური.

სტატიკური ეფექტი არის ეკონომიკური შედეგი, რომელიც ვლინდება ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნის ადრეულ ეტაპზე მისი უშუალო შედეგის სახით. დინამიკური ეფექტი არის ეკონომიკური შედეგი, რომელიც ვლინდება ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნის გვიან ეტაპზე, როგორც დაჯგუფების ფუნქციონირების შედეგი. სტატიკურ ეფექტებს შორის უდიდესი მნიშვნელობა ვაჭრობის წარმართვის (გაუმჯობესების) და ვაჭრობის (შეზღუდვის) ეფექტებს ენიჭება. ვაჭრობის გაუმჯობესების ეფექტი სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც ინტეგრაციული დაჯგუფების, საბაჟო კავშირის შექმნის შედეგად შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც საქონელი, რომელიც ტრადიციულად შეისყიდებოდა საშინაო ბაზარზე, ხდება ძვირი, ვიდრე უცხოეთში წარმოებული იგივე საქონელი. თუ საბაჟო კავშირის შექმნამდე ადგილობრივ მწარმოებელს საიმპორტო ბაჟები იცავდა, რაც საზღვარგარეთ საქონლის შექმნას არამომგებიანს ხდიდა, საბაჟო კავშირის შექმნის შემდეგ, ტარიფების შეცვლის შედეგად, უცხოური საქონელი სამამულოზე იაფი ხდება და იწყება უცხოეთიდან ამ საქონლის შემოტანა. ანუ საბაჟო კავშირის ჩამოყალიბების შედეგად იზრდება იმპორტული საქონლის ნაკადი, რაც ვაჭრობის გაუმჯობესების მაჩვენებლებში აისახება.

ვაჭრობის გაუმჯობესება ნიშნავს ადგილობრივი მომხმარებლების გადართვას დაბალეფექტიანი საშინაო საქონლის მიღების წყაროდან მაღალეფექტიან საგარეო წყაროზე (იმპორტზე), რომელიც შესაძლებელია საბაჟო კავშირის ფარგლებში საიმპორტო ბაჟების მოხსნის შედეგად.

ვაჭრობის შეზღუდვის ეფექტი ვაჭრობის გაუმჯობესების ეფექტის საპირისპირო მაჩვენებელია, რადგან ამ შემთხვევაში საქონლის მიღების საგარეო წყარო არ გვევლინება ყველაზე ეფექტიანად. ინტეგრაციის არაწევრ ქვეყანას, რომლის მიმართაც ვრცელდება ერთიანი საბაჟო ტარიფი, შეუძლია მოცემული საქონლის მიწოდება უფრო ნაკლებ ფასად. ვაჭრობის შეკვეცა არის ადგილობრივი მომხმარებლების გადართვა ინტეგრაციის გარე წყაროდან ინტეგრაციის შიგა, ნაკლებ ეფექტიან წყაროზე, რომელიც წარმოიშობა საბაჟო კავშირის ფარგლებში საიმპორტო ტარიფის მოხსნის შედეგად. ზოგადად, ინტეგრაციული

დაჯგუფების შექმნიდან მიღებული საბოლოო შედეგი განისაზღვრება იმით, თუ როგორი შესაბამისობაა ვაჭრობის გაუმჯობესებისა და ვაჭრობის შეზღუდვის მაჩვენებლებს შორის.

საბაჟო კავშირის თეორიის წარმოშობამდე აღიარებული იყო, რომ თავისუფალი ვაჭრობა, როგორც ვაჭრობის მოდელი, ერთმნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მსოფლიოს ყველა ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებას. საბაჟო კავშირები თავისუფალი ვაჭრობის დადებით ეფექტებს აძლიერებენ იმ შემთხვევაში, თუ ინტეგრაციაში მონაწილე წევრების ტარიფი მესამე ქვეყნების მიმართ არ მაღლდება. ტარიფების მოხსნა ქვეყნებს შორის საბაჟო კავშირის შექმნის შედეგად რეგიონის შიგნით თავისუფალი ვაჭრობისკენ გადადგმულ ნაბიჯად განიხილება. თუმცა ჯ. ვაინერის მიერ განხორციელებულმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ ვაჭრობის შეზღუდვის ეფექტმა შეიძლება გაუმჯობესების ეფექტი გადაწონოს. ამიტომ საბაჟო კავშირი, როგორც სავაჭრო პოლიტიკის მოდელი, არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დადებით მოვლენად განვიხილოთ საერთაშორისო ეკონომიკაში. არ არსებობს თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის ალტერნატიული მოდელი, რომლის საფუძველზეც საერთაშორისო კეთილდღეობა ერთმნიშვნელოვნად დადებითი იქნება. აღნიშნული თეორია შემოგვთავაზა ინგლისელმა მეცნიერმა ჯონ სტიუარტ მილმა 1955 წელს. მას “მეორე უკეთესის” თეორია ეწოდება. ამ თეორიის მიხედვით თავისუფალი ვაჭრობის გვერდით, რომელიც იწვევს ერთობლივი კეთილდღეობის ამაღლებას, არ არსებობს სავაჭრო პოლიტიკის არც ერთი ვარიანტი, რომელიც განაპირობებს მსგავს შედეგს.

**ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნიდან მიღებული დადებითი ეფექტები აჭარბებს ნეგატიურს შემდეგი კანონზომიერებების პირობებში:**

- 1) რაც უფრო მაღალია საბაჟო ტარიფის დონე ინტეგრაციამდე, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ვაჭრობის გაუმჯობესების ეფექტი გადაწონის შეზღუდვის ეფექტს და პირიქით;
- 2) რაც უფრო დაბალია საერთო საბაჟო ტარიფის დონე მესამე ქვეყნების მიმართ, მით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ვაჭრობის შეზღუდვის ეფექტი გადაამეტებს გაუმჯობესების ეფექტს;
- 3) რაც მეტი ქვეყანა ინტეგრირდება ერთმანეთთან და რაც მეტია მათი სიდიდე, მით მეტია ალბათობა, რომ ვაჭრობის გაუმჯობესების ეფექტი გადაამეტებს შეზღუდვის ეფექტს;
- 4) რაც უფრო მსგავსია ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონე და რაც ძლიერია მათ შორის კონკურენცია, მით მეტია ვაჭრობის გაუმჯობესების ეფექტის შეზღუდვის ეფექტზე გადაამეტების ალბათობა. ამ შემთხვევაში თითოეული ქვეყანა ახდენს სპეციალიზაციას იმ საქონლის წარმოებაზე, რომელსაც შედარებით ნაკლები დანახარჯებით აწარმოებს და ახორციელებს მის ექსპორტს;
- 5) რაც მეტია ვაჭრობის ალბათობა პარტნიორ ქვეყნებს შორის ინტეგრაციის შექმნამდე, მით მეტია ვაჭრობის გაუმჯობესების ეფექტის ალბათობა.

სტატიკური ეფექტების რიცხვში მოიაზრება ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნის შედეგად სასაზღვრო და საბაჟო ადმინისტრაციაზე გასავლების შემცირების მაჩვენებელი.

ინტეგრაციის დინამიკური ეფექტების რიცხვში აღსანიშნავია კონკურენციის ზრდა სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებლებს შორის, რომელიც აკავებს ფასების ზრდას, აუმჯობესებს საქონლის ხარისხს, სტიმულს აძლევს ახალი ტექნოლოგიების შექმნას და დანერგვას და ა.შ. ამასთან ინტეგრაციის შედეგად წევრი ქვეყნები სარგებლობენ მასშტაბის ეკონომიის ეფექტით, რომელიც იძლევა წარმოების გაზრდის საშუალებას დანახარჯების შემცირების საფუძველზე.

ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიული ანალიზისთვის მოვახდინოთ სტატიკური და დინამიკური ეფექტების სისტემატიზაცია. სტატიკური ეფექტი ჩნდება საბაჟო კავშირში გაწევრიანებით მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში წარმოების არსებულ სტრუქტურასა და მოთხოვნაში ვაჭრობის ლიბერალიზაციის სწრაფი საპასუხო რეაქციის სახით. სტატიკურ მოკლევადიან შედეგებში ერთმანეთს ვადარებთ ვაჭრობის გაუმჯობესებისა და ვაჭრობის შეზღუდვის ეფექტებს, რომლებიც წარმოიშობა პროტექციონიზმსა და ვაჭრობის სტრუქტურაში ცვლილებების საფუძველზე. პროკონკურენციული ეფექტები და მასშტაბის ეკონომიის ეფექტები სტატიკური ეფექტებია, რომლებიც ბაზრის გაფართოების მიზეზით საშუალოვადიან პერიოდში იჩენენ თავს, კონკურენციის ზრდის შესაბამისად. დინამიკური ეფექტები მიიღება გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური კავშირის ეკონომიკურ სტრუქტურაში ცვლილებების გავლენით. განვიხილოთ შემდეგი კლასიფიკაცია:

### **სტატიკური ეფექტები**

მოკლევადიანი: 1. ვაჭრობის ეფექტები (საბაჟო კავშირი, თავისუფალი ვაჭრობის ზონა)

საშუალოვადიანი: 2. პროკონკურენციული ეფექტები;

3. მასშტაბის ეკონომიის ეფექტები;

4. ფაქტორთა მობილობის ეფექტები (ერთიანი ბაზარი);

### **დინამიკური ეფექტები**

გრძელვადიანი: 5. ზრდის ეფექტები (ევროკავშირი)

## **2.3 ვაჭრობის ეფექტები საბაჟო კავშირში**


თუ განსაზღვრული პირობები იარსებებს, თავისუფალი ვაჭრობა ყველაზე საუკეთესო პოლიტიკაა. საბაჟო კავშირი და თავისუფალი ვაჭრობის ზონა წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო ბარიერების მოხსნის საფუძველზე ყალიბდება. საბაჟო კავშირი ასევე მოიცავს საგარეო სავაჭრო პოლიტიკას არაწევრ ქვეყნებთან ვაჭრობაში ერთიანი საგარეო ტარიფის მიღების მეშვეობით. ამასთან, ქვეყნები გაერთიანებას არაოპტიმალური ტარიფის მოხსნით იწყებენ. ჩამოყალიბებული საბაჟო კავშირი კი წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციას ემყარება შეზღუდული

ვაჭრობით დანარჩენ მსოფლიოსთან: ნათელია, რომ გვაქვს ვაჭრობის დისკრიმინაციული ლიბერალიზაციის შემთხვევა. ერთი დაბრკოლების მოხსნა სხვების არსებობის პირობებში ან ერთი დაბრკოლების შენაცვლება მეორე დაბრკოლებით, კეთილდღეობას არ აუმჯობესებს. ეს მეორე უკეთესის თეორიის მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, რომ თუ ოპტიმალურობის ყველა პირობა არ შეიძლება ერთდროულად შენარჩუნებულ იქნეს, მათგან რომელიმეს მიღწევამ კეთილდღეობა შეიძლება გააუმჯობესოს, ან გააუარესოს. შედეგები კი დამოკიდებულია ცალკეულ გარემოებაზე.

## 2.4 ვაჭრობის გაუმჯობესება და ვაჭრობის შეზღუდვა

ზოგადად, რეგიონულ ეკონომიკურ გაერთიანებას ვაჭრობაზე, ასევე, წევრების კეთილდღეობაზე და დანარჩენ მსოფლიოზე პოზიტიური და ნეგატიური გავლენის მოხდენა შეუძლია. შეუძლებელია პოზიტიური და ნეგატიური ეფექტების ზუსტი შეფასება ცალკეული შემთხვევის სპეციალური კვლევის გარეშე. ჩვენ განვახორციელებთ ამ პრობლემის ილუსტრაციას ვაჭრობის მოკლევადიან პერიოდში და საბაჟო კავშირის ფარგლებში ვაჭრობის ლიბერალიზაციიდან მიღებული კეთილდღეობის ეფექტების ანალიზით. დავუშვათ, რომ ინტეგრაცია მიმდინარეობს ორ მცირე A და B ქვეყანას შორის, რომლებიც არიან ფასის მიმღებნი (სრულყოფილი კონკურენცია).

გრაფიკი 1. A და B ქვეყნების ეკონომიკები საბაჟო კავშირის შექმნამდე და მის შემდეგ



ცხრილი 1. ორ მცირე ქვეყანას შორის საბაჟო კავშირის ეფექტები

(a) ქვეყანა A

(b) ქვეყანა B

მაჩვენებელი				
	A ქვეყანა	B ქვეყანა	A ქვეყანა	B ქვეყანა
ფასი	$P_t$	$P_w$	$P_u$	$P_u$
მოთხოვნა	$Q_3$	$Q_6$	$Q_4$	$Q_5$
მიწოდება	$Q_2$	$Q_6$	$Q_{31}$	$Q_7$
იმპორტი	$Q_2 Q_3$	-	$Q_1 Q_4 = Q_5 Q_7$	-
იმპორტის ფასი	$P_w$	-	$P_u$	-
ტარიფი ერთეულზე	$P_t - P_w$	-	-	-
შესავლები ტარიფიდან	b+d	-	-	-
ექსპორტი	-	-	-	$Q_5 Q_7 = Q_1 Q_4$
ექსპორტის ფასი	-	-	-	$P_u$
ვაჭრობის გაუმჯობესება	-	-	a+c	g
ვაჭრობის შეკვეცა	-	-	d	-

1.1 ცხრილი და 1. გრაფიკი გვიჩვენებს ორი ქვეყნის ბაზრებს X ჰომოგენული საქონლის შემთხვევაში, რომელსაც არ გააჩნიათ შემცველები და შემავსებლები. მოთხოვნის და მიწოდების მრუდები არის  $D_A$  და  $S_A$  A ქვეყანაში, ხოლო  $D_B$  და  $S_B$  - B ქვეყანაში, მაშინ როცა სრულად ელასტიკური მსოფლიო მიწოდებაა W. რადგან ორივე ქვეყანა მცირეა, მათ წინაშე დგას მზარდი საწარმოო ხარჯების პრობლემა, მაგრამ B ქვეყანას შეუძლია თვითდაკმაყოფილება, როდესაც შიდა მოთხოვნა გაუტოლდება შიდა მიწოდებას,  $S_B = D_B$ , უფრო დაბალ ფასად, ვიდრე A ქვეყანაშია. გამარტივებისთვის ვუშვებთ, რომ წონასწორობა მიიღწევა მსოფლიო მიწოდების ფასში, სადაც  $P_B = P_W$ , შესაბამისად, B - ს წარმოება არ მოითხოვს დაცვას უცხოური კონკურენციისაგან. რაც არ უნდა იყოს, A ქვეყანა აწყდება მიწოდების დაბალ W მსოფლიო ფასს, იცავს თავის შიგა მრეწველობას t ადვალური ტარიფით იმპორტზე, რომელიც გადაანაცვლებს მსოფლიო მიწოდების მრუდს  $W_t$ -სკენ. ეს პოლიტიკა ზრდის A ქვეყნის საშინაო ფასს  $P_t = P_w(1+t)$ -მდე, რომლითაც ყიდულობენ მომხმარებლები W-დან საქონლის  $Q_3$  რაოდენობას, საიდანაც ადგილობრივი მიწოდებელების მიერ არის დამზადებული  $Q_2$  და იმპორტული საქონლის რაოდენობაა  $Q_2 Q_3$ . შემდეგ დავუშვათ, რომ A და B ქვეყნები საბაჟო კავშირს აყალიბებენ, ურთიერთშორის ვაჭრობის ლიბერალიზაციას ახორციელებენ და მსოფლიოსთან საგარეო ვაჭრობისას ერთიან საგარეო ტარიფს აწესებენ. შესაბამისად, საბაჟო კავშირი B-ს წარმოებას უზრუნველყოფს მაღალი გასაყიდი ფასით და აფართოებს ბაზარს. განსაზღვრული წერტილის ზემოთ არის კონკურენცია, რომელსაც A ქვეყნის ნაკლებადეფექტიანი მწარმოებლები

ეჯახებიან. ამრიგად, B-ს მწარმოებლები წარმოებას ექსპორტისთვის A-ს მოთხოვნის შესაბამისად ზრდიან. მაგრამ, საექსპორტო ხარჯების ზრდა და, შესაბამისად, ფასების ზრდა, იწვევს B-ს ექსპორტის მიწოდების გაფართოებას, რომელიც განპირობებულია ერთის მხრივ წარმოების ზრდით და, მეორე მხრივ, ადგილობრივი მოთხოვნის შემცირებით. 1.1 ნახაზზე ეს პროცესი გრძელდება საბაჟო კავშირის ინტეგრირებული ბაზარზე წონასწორობის მიღწევამდე, როცა ორი ქვეყნის კომბინირებული მიწოდება გაუტოლდება მათ კომბინირებულ მოთხოვნას  $S_A + S_B = D_A + D_B$ . ეს ტოლობა ასევე გვიჩვენებს, რომ B-ს ექსპორტი ტოლია A-ს იმპორტისა  $P_u$  ფასში. მიუხედავად ამისა, თუ არ გავითვალისწინებთ წონასწორობას და უცხოური კონკურენციას, ერთიანი ბაზარი იძულებულია მიიღოს  $P_u$  ფასი ერთიანი საგარეო ტარიფის პირობებში, რომელიც ტოლია  $t' = (P_W P_u / O P_W)$  პროცენტის. შედეგად, საბაჟო კავშირში A-ს ფასი ეცემა, ხოლო B-ს ფასი იზრდება, რომელიც აისახება მიწოდებაზე, მოთხოვნაზე, ვაჭრობის მოცულობასა და სავაჭრო პროდუქტის წარმომავლობაზე (წარმოშობაზე).

### 3. ევროკავშირი

ევროკავშირი ეკონომიკური ინტეგრაციის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. ინტეგრაციის თეორიის პრაქტიკული ასახვა ჩანს ევროკავშირის ისტორიულ ევოლუციაში.

ევროკავშირის (European Union) საფუძველს წარმოადგენს ევროპის გაერთიანება (European Community), რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1957 წელს და რომელმაც გააერთიანა სამი ორგანიზაცია: ეეგ (ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, რომელიც რომის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა 1957 წელს), ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება (1951) და ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანება (1957).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის სახელმწიფოების მიერ, მომავალში მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიებისათვის გზებისა და საშუალებების ძიებისას, 1951 წელს ევროკავშირის ჩაუყარეს საფუძველი. იგი ექვსი ქვეყნის – ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, ნიდერლანდები – გაერთიანებით დაიწყო და 1995 წლისათვის უკვე თხუთმეტ წევრ სახელმწიფოს (ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო) ითვლიდა. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ქმნიან რა პარტნიორულ გაერთიანებას, მათი მიზანია ხელი შეუწყონ დემოკრატიის და მშვიდობის განვითარებას, მოქალაქეთა კეთილდღეობას და დოვლათის სამართლიან განაწილებას.

ევროკავშირი სათავეს იღებს რამდენიმე ხელშეკრულებიდან, რომელთა უმთავრესი მიზანია ომის შემდგომ ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა და ეკონომიკური ინტეგრაციის მეშვეობით წევრი ქვეყნების ერთობლივი განვითარება. პირველი ხელშეკრულება – ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შესახებ – დაიდო 1951 წელს, რათა სულ ცოტა ხნის წინ საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ქვანახშირისა და ფოლადის პროდუქცია ერთიან, ზესა-

ხელმწიფოებრივ კონტროლს დაქვემდებარებოდა. ამ ხელშეკრულების ძირითადი მიზანი იყო ევროპის მრეწველობის აღორძინება.

ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების წარმატებამ წევრ სახელმწიფოებს უბიძგა, დაედოთ ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულება ("ევრატომი"), აგრეთვე, ბევრად უფრო მრავალმხრივი ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ; ეს ხელშეკრულებები 1957 წელს გაფორმდა. ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ, "რომის ხელშეკრულების" სახელით არის ცნობილი. იგი მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაციის პროგრამას ითვალისწინებდა. ეკონომიკური ინტეგრაცია დაიწყო თავისუფალი სავაჭრო ზონით, რაც შემდგომში საბაჟო კავშირად გადაიზარდა, ხოლო 1993 წლიდან იქცა ერთიან ევროპულ ბაზრად საერთო წესებითა და კანონმდებლობით ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ევროპის კავშირში ინტეგრაციული პროცესების მთავარი მიზნები განსაზღვრულია ძირითადი დოკუმენტებით, როგორებიცაა:

- რომის შეთანხმება (1957);
- ერთიანი ევროპული აქტი (1987);
- მასტრიხტის ხელშეკრულება (1992);
- ამსტერდამის შეთანხმება (1997).

ევროკავშირის ძირითადი დოკუმენტი დღეისათვის არის 2003 წლის "მიერთების შეთანხმება", რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 მაისს. ზემოთაღნიშნული შეთანხმებებით განსაზღვრული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ვალდებულებები ჩამოყალიბდა ერთიან დოკუმენტში, ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტში.

ევ-ის წევრები არიან ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი, შვეცია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი, ლიტვა, ლატვია, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, რუმინეთი, ხორვატია. ევროკავშირის, საერთო ფართობია 4 381 376 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა 507 890 მლნ-ია და მშპ 15 821 ტრილიონი ევროა. სულადობრივი შემოსავალი 7 ათასიდან 78 ათას დოლარამდე მერყეობს. მშპ-ს წარმოებაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილია მომსახურების სფერო (69.4 %), 25,9% მრეწველობაზე მოდის 28.4%, ხოლო 2.3 % სოფლის მეურნეობაზე.<sup>1</sup> მას მსოფლიო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 46% გააქვს და 24% შემოაქვს.

1970-იან წლებში ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ შეიმუშავა საერთო დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი, რაც ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის სახელით არის ცნობილი. ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა ოფიციალურად 1986 წელს მიღე-

<sup>1</sup> [http://www.cia.gov\(2011.30.11\)](http://www.cia.gov(2011.30.11))

ბულ ერთიან ევროპულ აქტში გაფორმდა. 1992 წელს დადებულ ხელშეკრულებაში ევროკავშირის შესახებ, რომელსაც "მაასტრიხტის ხელშეკრულებასაც" უწოდებენ, ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა გადაიზარდა უფრო თანმიმდევრულ და მრავლისმომცველ საერთო საგარეო და თავდაცვით პოლიტიკად. მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ეკონომიკური ინტეგრაცია კიდევ უფრო წინ წასწია ეკონომიკური და მონეტარული ერთიანობის სტრუქტურის შემუშავებითა და 1999 წელს ერთიანი ევროპული ფულადი ერთეულის, ევროს, შემოღებით. 1997 წელს ევროკავშირმა ახალი, ამსტერდამის ხელშეკრულება დადო. ამ ხელშეკრულების ოთხი მთავარი მიზანია მოქალაქეთა დასაქმება და მათი უფლებები, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის ზონის შექმნა, მსოფლიო მასშტაბის საქმეებში ევროპის ხმის მომძლავრება და ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურების მეტი ეფექტიანობის მიღწევა ევროკავშირის გაფართოების გათვალისწინებით.

1993 წლის ივნისში ევროპულმა საბჭომ კოპენჰაგენის სამიტზე აღიარა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების უფლება შეუერთდნენ ევროპის კავშირს, თუ დააკმაყოფილებენ შემდეგ სამ კრიტერიუმს:

- პოლიტიკური კრიტერიუმი: სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც წარმოადგენენ დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა დაცვისა და უმცირესობათა პატივისცემის გარანტიას;
- ეკონომიკური კრიტერიუმი: მოქმედი საბაზრო ეკონომიკა და უნარი მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკის სფეროებში;
- გაერთიანების სამართლის გადმოტანა ქვეყნის შიდა სამართალში (ინკორპორირება): ევროპის კავშირის სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და ფულადი სახის მიზნებისადმი ერთგულება.

მადრიდის ევროპულმა საბჭომ 1995 წლის დეკემბერში დაადასტურა ეს კრიტერიუმები და ხაზი გაუსვა განმცხადებელი ქვეყნების ადმინისტრაციული სტრუქტურების ადაპტირების აუცილებლობას ეტაპობრივი ინტეგრაციის პირობების შესაქმნელად.

ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 49-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას უფლება აქვს, გააკეთოს განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების სურვილის შესახებ.

1997 წლის დეკემბერში ლუქსემბურგის ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა 1998 წელს მოლაპარაკებების დაწყება ექვს ქვეყანასთან: კვიპროსთან, ჩეხეთთან, ესტონეთთან, უნგრეთთან, პოლონეთთან და სლოვენასთან. ეს ექვსი ქვეყანა ქმნიდა გაფართოების პირველ ტალღას. მეორე ტალღა მოიცავდა ხუთ ქვეყანას: ბულგარეთს, ლატვიას, ლიტვას, რუმინეთსა და სლოვაკეთს. მოლაპარაკებათა მიმდინარეობა დამოკიდებული იყო აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროგრესზე.

2002 წლის დეკემბერში კოპენჰაგენის ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ათი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპული ქვეყნის ევროპის კავშირში მიღების თაობაზე. ეს ქვეყნე-

ბია ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთი. რაც შეეხება ბულგარეთსა და რუმინეთს, 2007 წლისათვის ეს ორი ქვეყანაც შეუერთდა ევროპის კავშირს. 2013 წელს ოცდამერვე წევრი ქვეყანა გახდა ხორვატია.

გაფართოება, როგორც ახალ წევრებს, ასევე EU-15-ს შემოსავალს ჰპირდება. თუმცა მიუხედავად ეკონომიკური პროექტების მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, უმრავლესი ემპირიული ანალიზის მიხედვით, მოსალოდნელი შემოსავალები შედარებით შემცირდება EU-15-სთვის და, შესაძლოა, წევრი ქვეყნებისთვის არც ისე მნიშვნელოვანი იყოს. მაგალითად, ბოლდვინი (1997) მიუთითებს მთლიან რეალურ საშემოსავლო მოგებაზე 1.5%-ით CEEC-ს (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები) და უფრო ნაკლებზე EU-15-სთვის. უკეთესი შედეგებია ნაჩვენები ბრაუნის (1997) და ბროსის (2001) კვლევებში: ბრაუნი აფასებს საერთო კეთილდღეობის შემოსავლებს CEEC-სთვის 3.8–7.3%-ს შორის, მაშინ როცა 0.1%-ია ევროკავშირისთვის; ბროსი ითვალისწინებს სრულ ეფექტს რეალურ მშპ-ზე 4–9%-ით CEEC-სთვის და დაახლოებით 0.1-ით ევროკავშირისთვის. ლეჟური (2002) იკვლევს გაფართოების ეკონომიკურ მნიშვნელობას სამი მიმართულების გათვალისწინებით: მომხმარებელთა გაერთიანებისაკენ სწრაფვა, შიგა ბაზრის გაფართოება და სამუშაო ძალის თავისუფალი მიმოსვლა. ჯამში მათ გამოიტანეს დასკვნა, რომ ქვეყნების მეტ გაიზრდება 8%-ზე მეტად დროთა განმავლობაში, მაგრამ EU-15-ის ქვეყნებისათვის ზრდა იქნება უფრო ზომიერი. მაგალითად, დანიის მეტ კაპიტალთან შესაბამისად იზრდება 0.15%-თ, მაშინ როცა გერმანიაში, სადაც ეკონომიკურ ეფექტებზე ყველაზე მეტ გავლენას მიგრაცია ახდენს, შეუმჩნეველი შემცირებები შეიძლება მოხდეს ემპ-ში. ლეჟორის თვალსაზრისები განსხვავდება ევროპის კომისიის ხედვებისაგან.

ეკონომიკურ უპირატესობასთან ერთად გაფართოებას ეკონომიკური დანახარჯებიც მოაქვს, როგორც EU-15-სთვის ასევე ახალი წევრი ქვეყნებისთვის. CEEC-ს ქვეყნებმა მიიღეს მხოლოდ შეზღუდული ფინანსური დახმარება ევროკავშირისაგან 1999 წლის ბერლინის სამიტის გადაწყვეტილების თანახმად, რომელმაც შეზღუდა ევროკავშირის მოქმედებები, გაფართოების ჩათვლით.

ქვეყნების სისუსტეების ზომა და ბუნება განსხვავებულია. მნიშვნელოვანი მიზეზი არის CEEC-ს განსხვავებული მაკროეკონომიკური მიდგომები სოციალისტური სისტემის ნგრევის შემდგომ. სხვადასხვა სფეროში არსებული უთანასწორობა განპირობებულია CEEC-ს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დასაწყისიდან არსებული განსხვავებული გარემოებებით, თუმცა ის ასევე ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებიც ამ ქვეყნებში ინსტიტუციონალური რეფორმების პროგრამების საფუძველზე იქნა დანერგილი. საკანონმდებლო სისტემები, საჯარო ადმინისტრირება და წამყვანი პროდუქციისა და მომსახურების ბაზრები, CEEC-ში ჯერ კიდევ განვითარებადია.

სხვა ეკონომიკური საკითხები, რომლებიც გაფართოებამ წამოჭრა, მოიცავს იმიგრაციის, სამუშაო ადგილების და ხელფასების განაკვეთების პრობლემებს.

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიამ, ლიხტენშტეინმა და ნორვეგიამ სხვადასხვა დროს განაცხადეს ევროპის კავშირში გაწევრიანების სურვილის შესახებ. მიუხედავად ამისა, 1972 და 1994 წლებში გამართულ რეფერენდუმებზე ნორვეგიელებმა უარი თქვეს ევროპის გაერთიანებაში გაწევრიანებაზე. ლიხტენშტეინისა და შვეიცარიის განაცხადები კი შეჩერდა მას შემდეგ, რაც შვეიცარიამ რეფერენდუმის გზით უარი თქვა ევროპის ეკონომიკურ ზონაში გაწევრიანებაზე.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირის დაარსებისათვის წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკის მდგრადი ურთიერთთავსებადობის მისაღწევად მასტრიხტის ხელშეკრულება ითვალისწინებს ხუთ კრიტერიუმს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული წევრი სახელმწიფო ეკონომიკური და სავალუტო კავშირის მესამე ეტაპზე გადასვლამდე. კომისია და ევროპის ცენტრალური ბანკი მუდმივად ამოწმებენ აღნიშნული კრიტერიუმების შესრულებას. ეს კრიტერიუმებია:

- ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიგა პროდუქტის 3 პროცენტს;
- სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიგა პროდუქტის 60 პროცენტს;
- უნდა შენარუნდეს ფასების სტაბილურობა და ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი შემოწმებამდე ერთი წლის განმავლობაში. კერძოდ, ინფლაცია ერთნახევარ პროცენტზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს სამი ყველაზე წარმატებული წევრი სახელმწიფოს მონაცემებს;
- უნდა არსებობდეს გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სამი ყველაზე წარმატებული ქვეყნის მაჩვენებელს არ უნდა აღემატებოდეს ორ პროცენტზე მეტად;
- უნდა მოხდეს ევროპულ სავალუტო სისტემაში არსებული სავალუტო გაცვლის კურსების მექანიზმით გათვალისწინებული საზღვრების დაცვა ორი წლის განმავლობაში. ურთიერთთავსებადობის კრიტერიუმების დანიშნულებაა, რომ ეკონომიკურმა განვითარებამ ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შიგნით პრობლემები არ შეუქმნას თითოეულ წევრ სახელმწიფოს. ამასთანავე, სახელმწიფო ვალთან და დეფიციტთან დაკავშირებული კრიტერიუმები უნდა სრულდებოდეს მესამე ეტაპის დაწყების შემდეგაც. ამ მიზნის მისაღწევად 1997 წელს ამსტერდამის ევროპული საბჭოს მიერ მიღებული იქნა სტაბილურობის პაქტი.

ევროკავშირის საფინანსო ორგანიზაციებია: ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკი.

ევროპის კავშირის ბიუჯეტი საკუთარი სახსრებით ფინანსდება 1970 წლიდან. მანამდე ევროგაერთიანების ბიუჯეტი წევრი სახელმწიფოების შენატანებისაგან ყალიბდებოდა. დღეს ევროკავშირის ბიუჯეტის დაფინანსების წყაროებია: 1) გადასახადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტზე; 2) საბაჟო მოსაკრებელი, რომელიც იკრიბება ევროკავშირის საზღვრებზე; 3) გადასახადი დღგ-დან, რომელიც შედგენს თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ აკრეფილი დღგ-ის 1%-ს; 4) გადასახადი თითოეული წევრი სახელმწიფოს მთლიან ეროვნულ პროდუქტზე.

ბიუჯეტის მიღების პროცედურა განსაზღვრულია რომის ხელშეკრულების 272-ე მუხლით და მოიცავს რამდენიმე საფეხურს.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირი წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის ჰარმონიზების შედეგად შეიქმნა. მთლიანი პროცესი კი ერთიანი ვალუტის შემოღებით დასრულდა. მასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნამდე წევრმა სახელმწიფოებმა სამი ეტაპი გაიარეს:

- პირველი ეტაპი (1 ივლისი 1990 - 31 დეკემბერი 1993) - წევრ სახელმწიფოებს შორის კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა, ეკონომიკური პოლიტიკის მჭიდრო კოორდინაცია და ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკებს შორის მჭიდრო თანაშრომლობის დამყარება;

- მეორე ეტაპი (1 იანვარი 1994 - 31 დეკემბერი 1998) - წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის ურთიერთთავსებადობის მიღწევა ფასების სტაბილურობისა და მყარი სახელმწიფო ფინანსების უზრუნველსაყოფად;

- მესამე ეტაპი (1 იანვარი 1999) – შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი, დაფიქსირდა კურსი ევროპულ ვალუტებს შორის და შემოღებულ იქნა ერთიანი ვალუტა - ევრო.

ევრო 2001 წლის იანვრამდე მხოლოდ ნომინალურად არსებობდა. 2001 წლის დასაწყისიდან კი ევროკავშირის იმ ქვეყნებში, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს შემოეღოთ ერთიანი ვალუტა, მიმოქცევაში შემოვიდა ევროს ბანკნოტები. ევროზონაში გაერთიანებული სახელმწიფოების ფულად პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი წარმართავს, რომლის უმთავრესი ამოცანა ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა.

ევროკავშირის ძირითად მიღწევად უნდა ჩაითვალოს ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა შეიარაღებულ კონფლიქტებში და დემოკრატიული თანხმობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საერთო მიზნები.

### **3. ახალი წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური სტრუქტურა მეზ**

ყველა პირობის გათვალისწინებით, ახალი წევრი ქვეყნები, რომელთაც ყველაზე დიდი მეზ აქვთ, კლებადობის მიხედვით არიან პოლონეთი (197 მილიარდი ევრო), ჩეხეთი (63 მილიარდი ევრო) და უნგრეთი (58 მილიარდი ევრო). ხოლო ყველაზე მცირე მეზ აქვთ, მატების მიხედვით, მალტა (4 მილიარდი ევრო), ესტონეთი (6 მილიარდი ევრო) და ლატვია (8 მილიარდი ევრო). (იხ. Eurostat-ის ბევ-გვერდი, 2002).

10+2 სახელმწიფოები შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ:

- EU-15 საშუალო მაჩვენებლის 60% –ზე მეტი მეზ: კვიპროსი და სლოვენია;

- EU-15 საშუალო მაჩვენებლის დაახლოებით ნახევარი: ჩეხეთი, მალტა, უნგრეთი და სლოვაკეთი;
- EU-15 საშუალო მაჩვენებლის მიახლოებით ერთი მესამედი: ესტონეთი, პოლონეთი, ლიტვა და ლატვია;
- EU-15 საშუალო მაჩვენებლის მიახლოებით ერთი მეოთხედი: ბულგარეთი და რუმინეთი.

### **3.1 ეკონომიკური სექტორები**

10+2 ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურა აჩვენებს, რომ როგორც EU-15-ში, მომსახურება ეკონომიკის მოწინავე სექტორია და მშპ-ს 60% წარმოადგენს ყველა ქვეყანაში, რუმინეთის გარდა. მშპ-ს ზრდასთან ერთად, მომსახურებაზე მოთხოვნა იზრდება მაღალი შემოსავლების შესაბამისად. თუმცა, 1990 წლებში ეკონომიკური დაცემის მიუხედავად, სამრეწველო წარმოება მოიცავდა CEEC-ს მშპ-ს 20-30 %-ს, რაც მნიშვნელოვნად მაღალია EU-15-ის ქვეყნებთან შედარებით. ეს კი მიგვანიშნებს წარმოების სექტორის მნიშვნელოვან როლზე CEEC-ს ეკონომიკაში. სამრეწველო წარმოების ხანგრძლივი ტრადიციები დაკავშირებულია დაბალ შრომით დანახარჯებთან და იაფ ნედლეულთან, რის გამოც იზრდებოდა უცხოური ინვესტიციები.

სოფლის მეურნეობის სექტორი ევროკავშირის ქვეყნების და 10+2 სახელმწიფოების მთავარი საზრუნავია შემდეგი მიზეზების გამო:

- სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში ახალ წევრ ქვეყნებში არის 2,4% (მალტა) და 3,1% (სლოვენია) 13,8%-მდე (ბულგარეთი) და 14,6 % (რუმინეთი). EU-15-ს საშუალო მაჩვენებელი 2,1 % -ია და საბერძნეთს ყველაზე მაღალი, 6% -ზე მეტი მაჩვენებელი უჭირავს;
- სასოფლო მეურნეობაში ჩაბმულია ევროკავშირის შრომის ბაზრის საშუალოდ 4.2 %. სამ ახალ წევრ ქვეყანაში – პოლონეთში, ლიტვასა და ლატვიაში – მონაცემები მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე საშუალოდ EU-15-ში, მაშინ როცა რუმინეთსა და ბულგარეთში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 44.4 %-ს და 26.7 %-ია;
- ახალი წევრი ქვეყნების გაფართოებით კავშირის სასოფლო სამეურნეო მიწის ფართობის არეალი გაიზრდება 60 მილიონი ჰექტარით და მთლიანობაში მიუახლოვდება 200 მილიონ ჰექტარს. ამ 60 მილიონი ჰექტარიდან, ორი მესამედი სახნავი მიწაა, EU-15 სახნავი მიწების დამატებით, სულ გამოდის 77 მილიონი ჰექტარი.

მონაცემები გვიჩვენებს, თუ რატომ გახდა საკამათო სოფლის მეურნეობის რეფორმის საკითხი, რომელიც გამოჩნდა 10+2 განხილვისას და რატომაც სასოფლო სამეურნეო პოლიტიკა ერთ-ერთი უმთავრესი ევროკავშირის გაფართოებისას.

### **3.2 შრომის ბაზარი**

2001 წელს, საშუალო უმუშევრობის დონე EU-15 წევრ ქვეყნებში შეადგენდა 7.6 %-ს. მსგავსი მაჩვენებლები იყო ჩეხეთში, ესტონეთში, უნგრეთში, ლატვიასა და რუმინეთში, მაგრამ 18,6%-ია

სლოვაკეთში, 17.4%–ია პოლონეთში, 17.3% – ბულგარეთში, 12.9% – ლიტვაში და 11.8% – სლოვენიაში (Eurostat , 2002).

შრომითი მწარმოებლურობა (რეალური მზარდი მოგება თითოეულ მომუშავეზე) გაანგარიშებულ იქნა CEEC-ში.(Podkaminer, 2001). მწარმოებლურობის ზრდის მიზეზები საკმაოდ განსხვავებულია ქვეყნებს შორის. მხოლოდ პოლონეთში და სლოვაკეთში აღინიშნა მწარმოებლურობის ზრდა. უნგრეთში, სლოვენიაში და ჩეხეთში, დასაქმების ხანგრძლივობა და ნაყოფიერება იზრდება მწარმოებლურობის განვითარებასთან ერთად, მაშინ როცა ბულგარეთსა და რუმინეთში მწარმოებლურობა მიიღწევა დასაქმების დონისადმი ინერციული დამოკიდებულებით.

მნიშვნელოვანია, რომ არ არსებობს აშკარა კავშირი შრომითი დახარჯებისა და სხვა მაჩვენებლების ცვლილებებში. შრომის ნაყოფიერების ზრდა, მაგალითად, მნიშვნელოვნად დაკავშირებულია რეალური ხელფასის პირობებთან. მაღალი მიღწევებია უნგრეთში (საშუალოდ წლიური ზრდა 11.1. % იყო 1992 წელს). სხვა მხრივ, თანაბრად ძლიერი მიღწევებია პოლონეთში (11.5%). დაბალი მაჩვენებლებია ჩეხეთში (4.8%), სლოვენიასა (6.7%) და სლოვაკეთში (3.7%) უფრო აშკარად გამოხატულია ზრდა რეალურ ხელფასთან დაკავშირებით (4, 3.5, და 3.1 %). რუმინეთის მიღწევები (7.3 %) და ბულგარეთის (0.2 %) გამოწვეული იყო რეალური ხელფასების კლებით (– 3.3% და–2,4%).

დასაქმების მაჩვენებლებს შორის განსხვავება პრაქტიკულად დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუმინეთი სიის წამყვანი ქვეყანაა, 44% შრომითი რესურსების ჩართულობით სოფლის მეურნეობაში, რაც EU-15–ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე 10–ჯერ მეტია. ბულგარეთში დაახლოებით სამუშაო ძალის ერთი მეოთხედი მოდის სოფლის მეურნეობაზე და პოლონეთში ეს მაჩვენებელი ერთ მეხუთედზე დაბლაა. პოლონეთის მოსახლეობის დაახლოებით 20% ჩართულია სოფლის მეურნეობაში, რაც პოლონეთის მშპ–ს 3%–ზე ნაკლებს უზრუნველყოფს. EU-15–ში მაჩვენებელი 4.2% და 2 %-ს შორის მერყეობს(იოვანოვიჩი, 2002).

### ***3.3 ევროკავშირის ახალ წევრი სახელმწიფოების მაკროეკონომიკური განვითარება***

მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა მიჩნეულია ეკონომიკური განვითარების მთავარ მახასიათებლად. 1990წლების შუა ხანებიდან CEEC-ის უმეტეს წევრ ქვეყანაში იმპლემენტირებულ იქნა სტაბილიზაციის პოლიტიკა. ზოგიერთი CEEC-ს წევრს პრობლემა 1990 წლების ბოლოსკენ შეექმნა, მაგრამ ისინი დაძლიეულ იქნა. მაგალითად, ბულგარეთის და რუმინეთის ეკონომიკამ 1996 წელს ეკონომიკური კრიზისი განიცადა, რასაც ნეგატიური შედეგები მოჰყვა. ბალტიის ქვეყნებზე ზეგავლენა იქონია 1990 წლების ბოლოს რუსეთში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა. მალტაში თანმიმდევრული ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობს 2000 წლიდან. პროგნოზით, CEEC-ს უმრავლესი წევრი ქვეყნისათვის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში ხანგრძლივადიანი ზრდისთვის საჭირო იქნება

დაახლოებით 30 წელი (ერთი თაობა), რათა „დაბალი შემოსავლების“ მქონე ევროკავშირის ქვეყნების შემოსავლების დონეს მიაღწიონ (ფიშერი, 28; ევროკომისია, 2002, ;183).

1990 წლების შუა ხანებიდან ბევრ ახალ წევრ სახელმწიფოში სტაბილიზაციის პოლიტიკა მკაცრი ფულადი და სახაზინო პოლიტიკით დაიწყო, მაგრამ მათმა ეკონომიკამ რეცესია განიცადა და პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ მოექცა. ინფლაციის დონე CEEC-ს უმრავლეს წევრ ქვეყანაში მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა EU-15 საშუალო დონესთან (2.6%, 2001 წელს) შედარებით. CEEC-ს უმრავლეს წევრ სახელმწიფოში, როგორც ჩანს, რეფორმების პროცესში ფულადი პოლიტიკა უფრო წარმატებული აღმოჩნდა. თუმცა, საბიუჯეტო პოლიტიკის გათვალისწინებით ფულადი პოლიტიკა არც ისე წარმატებული იყო, ვინაიდან CEEC-ს უმეტეს წევრ სახელმწიფოში მსხვილი საგადასახადო გადაცდომები და კორუფცია საერთო პრობლემა იყო. დილემას წარმოადგენდა ისიც, რომ უფრო მკაცრი იძულებითი მოქმედებები იყო საჭირო გადასახადის შეგროვებისა და საგადასახადო გადაცდომების თავიდან ასაცილებლად. გადასახადის გადაუხდელობის გამო სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას კი შეიძლება ფინანსურად სუსტი საწარმოების გაკოტრება გამოეწვია, რაც თავის მხრივ ამ ქვეყნებში დაბალ საგადასახადო წლიურ შემოსავლებს განაპირობებს, საზოგადოებრივ ხარჯებს ფინანსურად უფრო პრობლემურს ხდის და ხაზს უსვამს ხაზინის დაუბალანსებლობას CEEC-ში. ეს უკანასკნელი შემდგომ საგადასახადო ბალანსის დეფიციტს წარმოშობს და გაზრდის უცხოურ ვალებს. შედეგად, ბევრ გარდამავალ ქვეყანას მოუწევს დიდი რაოდენობის ვალის გადახდა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი დავალიანების სიმძიმე ყველა ახალ წევრ ქვეყანაში, ბულგარეთის და მალტის გარდა, უფრო ნაკლები იყო, ვიდრე EU-15 –ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ CEEC-ს უმრავლესმა წევრებმა ძლიერი ძალისხმევა გამოიჩინეს საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების და სტაბილიზაციის, ასევე მთავრობის დანახარჯების შემცირების გზით.

### **3.4 ვაჭრობა**

კომუნისტური სავაჭრო ბლოკადის რღვევამ და შემდგომ 1990 წლებში ევროკავშირსა და CEEC-ს შორის ევროპული შეთანხმებების გაფორმებამ, CEEC-სა და EU-15-ს შორის ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაზარდა. ევროკავშირის ტარიფები სამრეწველო საქონელზე გაუქმდა; მნიშვნელოვნად შემცირდა არასატარიფო შეზღუდვები; ამასთან, სავაჭრო კვოტა განისაზღვრა ზოგიერთი სასოფლო სამეურნეო პროდუქტისთვის. 1993 – 2001 წლებში, საერთო ვაჭრობის ღირებულებითი მოცულობა გასამმაგდა. 2001 წელს ფაქტიურად ყველა 10+2 სახელმწიფომ თავისი ექსპორტის 50% ევროკავშირის ბაზარზე გაიტანა. ჩეხეთის, ესტონეთის, უნგრეთის, პოლონეთის და რუმინეთის ექსპორტის მაჩვენებელი 70 %-ს მიუახლოვდა.

2004 წლისათვის ახალი წევრი ქვეყნები ევროკავშირში გაწევრიანებამდე – ევროკავშირის (ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ) მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ

(მთლიანი საგარეო ვაჭრობის 14.0%), თუმცა აღინიშნებოდა სავაჭრო დეფიციტი. 2001 წელს, ევროკავშირის დადებითი სავაჭრო სალდო კანდიდატ ქვეყნებთან 11.4 მილიარდი ევრო გახდა, რომელიც ძალიან შემცირებულია 1999 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით.

### **3.5 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები**

CEEC-ში გაიზარდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ევროკავშირის კომპანიების ბაზარზე შესვლის პარალელურად. ეს პროცესი განპირობებული იყო გეოგრაფიული სიახლოვით, კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობით და ევროკავშირის ბაზრის გასვლით. ინვესტიციების ნაკადი ემსახურებოდა ტექნოლოგიათა გადაცემას, მართვის ინოვაციური მეთოდების დანერგვას და სამუშაო ადგილების შექმნას. ევროკავშირიდან ინვესტიციების ყველაზე დიდი მიმღები ქვეყნები იყვნენ ჩეხეთი, ესტონეთი და უნგრეთი. 1992–2000 წლებში CEEC-ში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა ევროკავშირის სამხრეთი ქვეყნების იმავე მაჩვენებელს (იგულისხმება საბერძნეთი, ესპანეთი და პორტუგალია) 6–ჯერ აღემატებოდა (დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხ. [www.source.oecd.org](http://www.source.oecd.org)). უცხოური პირდაპირი ინვესტიციების რეორიენტაციის პროცესი გახანგრძლივდა, რადგანაც გასათვალისწინებელი იყო ევროკავშირის სამხრეთის წევრების და ახალი წევრი სახელმწიფოების ინტერესები.

### **3.6 საფინანსო სექტორი**

CEEC-ს საფინანსო სექტორი მნიშვნელოვან განვითარებას საჭიროებს. კომუნისტური რეჟიმის პირობებში ფულს მხოლოდ მეორეხარისხოვანი ფუნქცია ეკისრებოდა, ხოლო საბანკო-საფინანსო საქმეს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამის შედეგად, CEEC-ში ფინანსური ინსტიტუციების შესაძლებლობები და მათი მართვის საორგანიზაციო საკითხები საკმაოდ განსხვავდებოდა: უნგრეთმა, პოლონეთმა და ყოფილმა იუგოსლავიამ, თავიანთი საბანკო სისტემის რეფორმა 1980–იანების მეორე ნახევარში დაიწყო, მაშინ როცა ბულგარეთს, ჩეხოსლოვაკიას და ბალტიისპირეთის ქვეყნებს საკმაოდ განუვითარებელი საფინანსო სტრუქტურა ახასიათებდათ: ცენტრალური ბანკი არეგულირებდა ფინანსურ გადარიცხვებს ფირმებს შორის, უცხოურ სავაჭრო ბანკს, შემნახველ ინსტიტუციებსა და რამდენიმე სხვა სპეციალიზებულ ბანკს შორის.

1990–იანი წლების შემდგომ, CEEC-ს ქვეყნებში შეიქმნა კომერციული ბანკები, რომელთაც ცენტრალურ ბანკთან მიმართებაში დაგროვილი ვალეები გააჩნდათ. ამასთან, მთავრობებს თავიანთი საფონდო ბაზრის და მასთან დაკავშირებული ინსტიტუციების (საინვესტიციო სახლები, საზედამხედველო სააგენტოები და ა.შ) ხელახლა დაარსება მოუწიათ, თუმცა პროცესის ნელი მსვლელობის გამო, შედეგებმა თავი იჩინა 2000 წლისათვის. მნიშვნელოვანი პროგრესი დაიწყო მას შემდეგ, რაც შემუშავდა რელევანტური საბანკო დირექტივები და რეგულაციები. ამასთან, უცხოურ ბანკებს შესაძლებლობა მიეცათ CEEC-ს ბანკების უმრავლეს მეწილეებთან ერთად მართვის სადავეები ხელში აეღოთ. შედეგად ფინანსური სექტორი ისეთ ქვეყნებში,

როგორცაა უნგრეთი და ესტონეთი (და პოლონეთი თავისი მცირე გამონაკლისებით) განვითარების მაღალ საფეხურზეა. მათ პირველებს მიეცათ საშუალება ძლიერი უცხოელი პარტნიორები ჩაერთოთ საბანკო სექტორში.

კარგად ჩამოყალიბებულ სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად, CEEC-ს ფინანსური სექტორები გამოირჩევა სხვადასხვა სისუსტეებით. მკაფიოდ შესამჩნევია, რომ ფინანსური ბაზრები CEEC-ს უმრავლეს წევრ ქვეყანაში ყველანაირი გაგებით სუსტია. ეს გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით: შედარებით მცირე ფინანსური შუამავლობით, მშპ-ს დაბალი დონით ერთ მოსახლეზე; ფინანსური სისტემისადმი უნდობლობით, რაც გამოიწვია საბანკო შეცდომებით მიღებულმა გამოცდილებამ. ამასთან ერთად, CEEC-ს ფინანსური ბაზრის სიმცირე, ხარისხის დაბალი დონე და სერიოზული კაპიტალიზაციის მიღმა ყოფნა კვლავ რჩება მთავარ პრობლემად, (ფინკ და ჰაისი, 2000:1–3; ევროკომისია, 2000).

#### 4. ევროკავშირის ინსტიტუტები

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ გარკვეულ სფეროებში გააერთიანონ თავიანთი სუვერენიტეტი და რესურსები. პოლიტიკას ამ სფეროებში ევროკავშირის ინსტიტუტები ატარებენ.

კავშირის ძირითად პოლიტიკურ ინსტიტუტებს ეკუთვნის: **ევროპის საბჭო**, რომლის მიზანია დასახოს კავშირის პრიორიტეტები და განსაზღვროს სამომავლო პოლიტიკა. საბჭოს სხდომები იმართება წელიწადში ორჯერ;

**მინისტრთა საბჭო**, გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილებით აღჭურვილი, წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისგან შემდგარი ორგანოა. საბჭოს ფარგლებში მრავალი შეხვედრა იმართება, მაგალითად, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და სხვა დარგებში. საბჭოს სხდომებში მონაწილეობენ ამ დარგების მინისტრები ყოველი წევრი სახელმწიფოდან და იღებენ გადაწყვეტილებებს მიმდინარე საკითხებზე. მინისტრები კოორდინირებას უწევენ წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პოლიტიკას იმ დარგებში, რომლებზეც მათ პასუხისმგებლობა აკისრიათ;

**ევროკომისია** მთავარი აღმასრულებელი ორგანოა, რომელსაც საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც აქვს. ევროკომისიას სათავეში 20 ევროკომისარი უდგას. იგი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს წევრი ქვეყნების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ადექვატურად შესრულებას. ევროკომისია ევროკავშირისათვის საერთო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის უშუალო მონაწილეა. კომისიის წევრებს შორის ფუნქციები მკაცრად არის განაწილებული.

**ევროპარლამენტი** ევროპის მოქალაქეთა წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც პირდაპირი გზით არის არჩეული. ის განიხილავს წინადადებებს საკანონმდებლო სფეროში, გადამწყვეტ სიტყვას ამბობს ევროკავშირის ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტები სხვადასხვა ქვეყნებში და ქალაქებშია განთავსებული: ბრიუსელი (ბელგია), სტრასბურგი (საფრანგეთი), ლუქსემბურგი (ლუქსემბურგი), მაინის

ფრანკფურტი (გერმანია). ევროკავშირის ოფიციალური პოლიტიკური ცენტრი არ აქვს, თუმცა დე-ფაქტო დედაქალაქად ბრიუსელი ითვლება.

ევროკავშირში ფუნქციონირებს შემდეგი ორგანიზაციები:

- შიდა ბაზრის სრულყოფის სამმართველო (ესპანეთი);
- ევროპის სავალუტო ინსტიტუტი და ევროპის ცენტრალური ბანკი (გერმანია);
- ვეტერინარული და ფიტოსანიტარული ინსპექციის ბიურო (ირლანდია);
- ნარკოტიკების გავრცელების კონტროლის ევროპული სამმართველო (პორტუგალია);
- ევროპოლი (ნიდერლანდები);
- ჯანდაცვის და შრომის დაცვის ევროპული სააგენტო (ესპანეთი);
- სამედიცინო პრეპარატების ექსპერტიზის ევროპული სააგენტო (დიდი ბრიტანეთი);
- გარემოს დაცვის ევროპული სააგენტო (დანია);
- განათლების ევროპული ფონდი (იტალია);
- პროფესიული განათლების განვითარების ევროპული ცენტრი (საბერძნეთი);
- ეკ-ს გზავნილებების ცენტრი; ევროპული პატენტების სააპელაციო სასამართლო (ბელგია).

ევროკავშირი არის ახალი ტიპის სტრუქტურა, რომელიც არ თავსდება ტრადიციულ სამართლებრივ კლასიფიკაციაში. მისი პოლიტიკური სისტემა ისტორიულად უნიკალურია, იგი 50 წლის მანძილზე ვითარდებოდა. შეთანხმებები ანუ ხელშეკრულებები, რომლებიც პირველადი კანონმდებლობის სახელითაა ცნობილი, საფუძვლად უდევს დიდი მოცულობის მეორად კანონმდებლობას, რომელსაც უშუალო ზეგავლენა აქვს ევროკავშირის მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მეორადი კანონმდებლობა ძირითადად შედგება ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებული დებულებებისაგან, დირექტივებისაგან და რეკომენდაციებისაგან. კანონმდებლობა ზოგად პოლიტიკასთან ერთად არის იმ გადაწყვეტილებების შედეგი, რომლებსაც ინსტიტუტები იღებენ.

ევროკავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა იყოფა სამ “საყრდენ სვეტად”: პირველი წარმოადგენს ევროკავშირის წინამორბედი სამი საერთაშორისო ორგანიზაციათაგან ორს: ევროპულ გაერთიანებას (ყოფილ ევროპულ ეკონომიკურ გაერთიანებას) და ატომური ენერჯის ევროპულ გაერთიანებას (ევრატომს). მესამე ორგანიზაციამ – ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება – შეწყვიტა არსებობა 2002 წელს; მეორე საყრდენს წარმოადგენს “საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა”; მესამე საყრდენი არის სისხლის სამართლის საქმეებში პოლიციური და სასამართლო თანამშრომლობა.

ეს “საყრდენი სვეტები” თავიანთი არსის მიხედვით არათანაბარზომიერია: ევროპული გაერთიანების როლი არსებითად აჭარბებს სხვა ორი თანამშრომლობის ფორმას. იგი წყვეტს საკითხებს საერთო ბაზრის, საბაჟო კავშირის, ერთიანი ვალუტის, საერთო სასოფლო-

სამეურნეო პოლიტიკისა და საერთო თევზჭერის პოლიტიკის შესახებ. თითოეულ საყრდენს ახასიათებს თავისი მექანიზმები, მაგრამ ყველა მათგანი სარგებლობს ევროკავშირის ორგანოების ერთიანი სისტემით.

დღესდღეობით ევროკავშირის, ევროპული გაერთიანებისა და “ევრატომის” წევრობა ერთია. კავშირში შესული ყველა სახელმწიფო ავტონომიურად ხდება ყველა ამ გაერთიანების წევრი.

ევროკავშირის ძირითად ორგანოების და ინსტიტუტების აღწერისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფოებისთვის ტრადიციული დაყოფა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოებად, ევროკავშირისთვის არ არის დამახასიათებელი.

“ევროკავშირის” გაერთიანების ხელშეკრულების შესრულება აკისრია ხუთ ძირითად ინსტიტუტს. ესენია: ევროკავშირის საბჭო, ევროკავშირის კომისია, ევროკავშირის სასამართლო, ევროკავშირის პარლამენტი და აუდიტორთა სასამართლო. ევროკავშირის საბჭო და ევროკავშირის კომისია ადმინისტრაციულ შტოს წარმოადგენენ. სასამართლო და პარლამენტი კი იურიდიულ და საკანონმდებლო სტრუქტურებს. აუდიტორთა სასამართლო კი იკვლევს და აკონტროლებს გაერთიანების ანგარიშგებას.

#### **4.1 ევროკავშირის საბჭო**

ევროკავშირის საბჭო რეალური ძალაუფლების მქონე ინსტიტუტია, რომელიც წარმოდგენილია წევრი სახელმწიფოების მთავრობათა წევრებით. საბჭო არის გადაწყვეტილებების მიმღები ძირითადი ინსტიტუტი, თუმცა მისი უფლებამოსილებები განსაზღვრულია დამფუძნებელი ხელშეკრულების საფუძველზე. გარდა ამ სახელშეკრულებლო შეზღუდვისა ევროკავშირის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს კომისიის შემოთავაზებითა და პარლამენტთან, ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან და, ასევე, რეგიონულ კომიტეტთან კონსულტაციის შედეგად. ევროკავშირის საბჭო შედგება 27 წევრისაგან, რომლებიც წევრი ქვეყნების მინისტრები არიან. ძირითადად ევროკავშირის საბჭოს შეხვედრებზე იკრიბებიან საგარეო საქმეთა მინისტრები. დანარჩენ შემთხვევებში სვადასხვა მინისტრები იკრიბებიან მათი განსახილველი საკითხების შინაარსიდან გამომდინარე.

ის, თუ რომელ სხდომას რომელი მინისტრი დაესწრება, დამოკიდებულია დღის წესრიგის საკითხებზე. თუ, მაგალითად, საბჭომ გარემოს დაცვითი საკითხები უნდა განიხილოს, სხდომას დაესწრებიან გარემოს დაცვის მინისტრები ევროკავშირის ყოველი წევრი სახელმწიფოდან და სხდომას „გარემოსდაცვითი საბჭო“ დაერქმევა. ევროკავშირის ურთიერთობას მსოფლიოსთან განიხილავს „ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობათა საბჭო“. თუმცა ამ საბჭოს უფრო ფართო, ზოგადი პოლიტიკის სფეროში პასუხისმგებლობაც აკისრია, ამიტომ მის სხდომებს ესწრებიან ის მინისტრები ან სახელმწიფო მდივნები, რომლებსაც წევრი სახელმწიფოები გადაწყვეტენ.

სულ არსებობს ცხრა განსხვავებული სტრუქტურის მქონე საბჭო:

- ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობათა საბჭო;
- ეკონომიკურ და ფინანსურ საქმეთა საბჭო;
- მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა საბჭო;
- დასაქმების, სოციალური პოლიტიკის, ჯანმრთელობის დაცვისა და მომხმარებელთა საქმეების საბჭო;
- კონკურენციასთან დაკავშირებული საკითხების საბჭო (შიდა ბაზარი, მრეწველობა და კვლევა);
- ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის საკითხთა საბჭო;
- სოფლის მეურნეობისა და თევზრეწვის საქმეთა საბჭო;
- გარემოსდაცვითი საბჭო;
- განათლების, ახალგაზრდობისა და კულტურის საკითხთა საბჭო.

ევროკავშირის საბჭოს თითოეული მინისტრი უფლებამოსილია წარმოადგინოს საკუთარი მთავრობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მინისტრის ხელმოწერა მთელი მთავრობის ხელმოწერის ტოლფასია. გარდა ამისა, ევროკავშირის საბჭოს თითოეული მინისტრი ანგარიშვალდებულია თავისი ქვეყნის პარლამენტისა და იმ მოქალაქეების წინაშე, რომლებსაც პარლამენტი წარმოადგენს. ეს უზრუნველყოფს ევროკავშირის საბჭოს გადწყვეტილებათა დემოკრატიულ კანონიერებას.

ევროკავშირის საბჭოს ექვსი ძირითადი ფუნქცია აკისრია:

- ევროპული კანონების მიღება. რიგ სფეროებში საკანონმდებლო უფლებამოსილებას საბჭო ევროპარლამენტთან იზიარებს;
- წევრი სახელმწიფოების ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირება;
- ევროკავშირისა და ერთ ან მეტ სახელმწიფოს თუ საერთაშორისო ორგანიზაციას შორის საერთაშორისო შეთანხმებების დადება;
- ევროპარლამენტთან ერთად ევროკავშირის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ევროკავშირის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის (GFSP) შემუშავება ევროპული საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე;
- წევრი სახელმწიფოების სასამართლოებსა და პოლიციის ძალებს შორის სისხლის სამართლის საკითხებზე თანამშრომლობის კოორდინირება.

### კანონმდებლობა

ევროკავშირის კანონმდებლობის უმეტეს ნაწილს ერთობლივად იღებენ საბჭო და პარლამენტი. როგორც წესი, საბჭო მოქმედებს მხოლოდ კომისიის მიერ წამოჭრილ წინადადებასთან დაკავშირებით, ხოლო კომისიის ჩვეულებრივი ფუნქციაა უზრუნველყოს, რომ ევროკავშირის უკვე მიღებული კანონმდებლობა სათანადოდ იქნეს შესრულებული.

## წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირება

ევროკავშირის ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ საერთო ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც დაემყარება მჭიდრო თანამშრომლობას მათ ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკებს შორის. ეს თანამშრომლობა ხორციელდება ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების მეშვეობით, რომლებიც ერთობლივად ეკონომიკურ და ფინანსურ საქმეთა საბჭოს (ECOFIN) ქმნიან.

### საერთაშორისო შეთანხმებების დადება

ყოველწლიურად საბჭო ოფიციალურად ხელს აწერს რიგ შეთანხმებებს ევროკავშირისა და ევროკავშირის ქვეყნებს, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ეს შეთანხმებები შეიძლება ეხებოდეს ზოგად სფეროებს, მაგალითად, ვაჭრობას, თანამშრომლობას და განვითარებას, ანდა შეიძლება არეგულირებდეს კონკრეტულ საკითხებს, მაგალითად, ტექსტილის წარმოებას, თევზის რეწვას, მეცნიერებასა და ტექნოლოგიას, ტრანსპორტს და ა.შ. გარდა ამისა, საბჭოს შეუძლია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის კონვენციების დადება ისეთ სფეროებში, როგორც არის საგადასახადო სისტემა, კომპანიებთან დაკავშირებული კანონმდებლობა ან საკონსულო დაცვა. კონვენციებით შესაძლებელია, აგრეთვე, მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა სფეროებში თანამშრომლობის რეგულირება.

### ევროკავშირის ბიუჯეტის დამტკიცება

ევროკავშირის წლიურ ბიუჯეტს ერთობლივად ადგენენ საბჭო და ევროპარლამენტი. თუ ეს ორი ინსტიტუტი ვერ თანხმდება, წესები ნებას აძლევს საბჭოს, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება „სავალდებულო დანახარჯებთან“ დაკავშირებით (ეს, ძირითადად, ეხება სოფლის მეურნეობის სფეროში დანახარჯებს და დანახარჯებს), ხოლო პარლამენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას „არასავალდებულო დანახარჯებთან“ დაკავშირებით და მას აკისრია მთლიანად ბიუჯეტის საბოლოოდ დამტკიცების უფლებამოსილება.

### საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა

წევრი სახელმწიფოები მუშაობენ საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის შემუშავებას. მაგრამ საგარეო პოლიტიკა, უშიშროება და თავდაცვა ეს ის საკითხებია, რომლებთან დაკავშირებითაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები დამოუკიდებელ კონტროლს ინარჩუნებენ. ამ სფეროებში მათ არ გაუერთიანებიათ საკუთარი ეროვნული სუვერენიტეტი, ამიტომ ევროპარლამენტი და კომისია ამ საკითხებთან დაკავშირებით მხოლოდ შეზღუდულ როლს თამაშობენ.

იმისათვის, რომ ევროკავშირს ჰქონოდა შესაძლებლობა, უფრო ეფექტიანი რეაგირება მოეხდინა საერთაშორისო კრიზისებზე, ევროპულმა საბჭომ (1999 წლის დეკემბერში ჰელსინკიში გამართულ სამიტზე) მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირში „სწრაფი რეაგირების შენაერთის“ დაარსების შესახებ. ამ შენაერთში უნდა ყოფილიყო დაახლოებით

60 000 სამხედრო მოსამსახურე, რომელთა განლაგება მათთვის განკუთვნილ ადგილზე 60 დღეში იქნება შესაძლებელი. შენაერთი სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო ქმედითუნარიანი.

### მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები

ნარკოტიკები, ტერორიზმი, საერთაშორისო თაღლითობა, ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია, ის პრობლემებია, რომლებიც უაღრესად აშფოთებს ევროპელ მოქალაქეებს. ამიტომ მათთან საბრძოლველად მხოლოდ საზღვრების მიღმა თანამშრომლობა იქნება ეფექტიანი. თუ ევროპა აპირებს ამის გაკეთებას და ყველა მისი მოქალაქისათვის მთელს ევროკავშირში სამოქალაქო მართლმსაჯულების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, მაშინ ეროვნულმა სასამართლოებმა, პოლიციის ძალებმა, საბაჟო და საიმისრაციო სამსახურებმა მთელს ევროკავშირში ერთობლივად უნდა იმუშაონ.

ევროკავშირის ყოველ წევრ სახელმწიფოს ბრიუსელში ჰყავს მუდმივი წარმომადგენლობა, რომელიც იცავს მის ეროვნულ ინტერესებს. მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტს “კორეპერი” ეწოდება და მისი ფუნქციაა საბჭოს სამუშაო საკითხების მომზადება.

საბჭოში გადაწყვეტილებები კენჭისყრით მიიღება. რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით მეტი ხმა აქვს. არსებობს სამი სახის კენჭისყრა: 1. ერთსულოვნება, როდესაც არცერთი მონაწილე არ არის წინააღმდეგი. გამოიყენება კავშირის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას (მაგ. საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, მიგრაციული პოლიტიკა, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა). ყოველ წევრ სახელმწიფოს ამ სფეროებში ვეტოს უფლება აქვს. 2. კვალიფიციური უმრავლესობა (ეს მეთოდი შემოღებულ იქნა ნიცის ხელშეკრულებით), გულისხმობს წევრთა უმრავლესობას და სულ მცირე 255 ხმას, (ხმების მაქსიმალური რაოდენობა 345) რაც უნდა მოიცავდეს ევროკავშირის მოსახლეობის 62%-ს. 3. უბრალო უმრავლესობა.

ხმათა რაოდენობა თითოეული სახელმწიფოსათვის

გაერთიანებული სამეფო, გერმანია, იტალია და საფრანგეთი	29
ესპანეთი და პოლონეთი	27
რუმინეთი	14
ნიდერლანდები	13
ბელგია, საბერძნეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და პორტუგალია	12

ავსტრია, ბულგარეთი შვედეთი	10
დანია, ირლანდია, ლიტვა, სლოვაკეთი და ფინეთი	7
ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლუქსემბურგი და სლოვენია	4
მალტა	3

საბჭოს პრეზიდენტი ქვეყანა ექვს თვეში ერთხელ იცვლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროკავშირის ყოველი ქვეყანა მორიგეობით ახორციელებს საბჭოს პროგრამის კონტროლს და თავმჯდომარეობს ყველა შეხვედრას ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში, ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღებას და შუამავლობს წევრ სახელმწიფოებს შორის კომპრომისების მიღწევას.

პრეზიდენტი ქვეყნის მთავრობის წევრები ნახევარი წლის განმავლობაში განსაზღვრავენ ევროპულ მინისტრთა საბჭოს სხდომების დღის წესრიგს და თავმჯდომარეობენ მათ.

საბჭოს პრეზიდენტ ქვეყანას დახმარებას უწევს გენერალური სამდივნო, რომელიც ამზადებს და უზრუნველყოფს საბჭოს შეუფერხებელ მუშაობას ყველა დონეზე.

ევროკავშირის პრეზიდენტობის თანმიმდევრობა

ქვეყანა	პერიოდი
უნგრეთი	2011 წლის იანვარი-ივნისი
პოლონეთი	2011 წლის ივლისი-დეკემბერი
გერმანია	2012 წლის იანვარი-ივნისი
კვიპროსი	2012 წლის ივლისი-დეკემბერი
ირლანდია	2013 წლის იანვარი-ივნისი
ლიტვა	2013 წლის ივლისი-დეკემბერი
საბერძნეთი	2014 წლის იანვარი-ივნისი
იტალია	2014 წლის ივლისი-დეკემბერი
ლატვია	2015 წლის იანვარი-ივნისი

## 4.2 ევროკავშირის პარლამენტი

ევროპარლამენტი არის ერთადერთი პირდაპირი გზით არჩეული ინსტიტუტი. ევროსაბჭოსთან ერთად იგი ქმნის ევროპული ინსტიტუტების ორ დონიან საკანონმდებლო ორგანოს და არის მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კანონმდებელი.

ევროპარლამენტი შედგება 785 წევრისაგან და ჰყავს მსოფლიოში ინდოეთის მერე მეორე უდიდესი ამომრჩეველთა რაოდენობა, მსოფლიოში უდიდესი ტრანს-ერონული ელექტორატი.

ევროპარლამენტი არის ევროკავშირის პირველი ინსტიტუტი. იგი 1970 წლიდან აკონტროლებს ევროკავშირის ბიუჯეტს და ევროკომისიის დანიშვნასთან დაკავშირებით აქვს ვეტოს უფლება.

ევროპარლამენტი მუშაობს საფრანგეთში, ბელგიასა და ლუქსემბურგში. ყოველთვიური პლენარული სესიები, რომლებსაც ევროპარლამენტის ყველა წევრი ესწრება, ტარდება სტრასბურგში (საფრანგეთი), სადაც არის პარლამენტის რეზიდენცია. საპარლამენტო კომიტეტების შეხვედრები და ნებისმიერი სხვა პლენარული სესიები იმართება ბრიუსელში (ბელგია), ლუქსემბურგში კი განლაგებულია ადმინისტრაციული ოფისები (გენერალური სამდივნო).

ევროპარლამენტი და ევროსაბჭო წარმოადგენენ ორ დონიანი საკანონმდებლო ორგანოს ორ პალატას. საკანონმდებლო უფლებები მათ შორის თანაბრად არის განაწილებული. ზემოხსენებული საქმიანობა დიდად განსხვავდება ეროვნული კანონმდებლობისაგან, არც პარლამენტს და არც საბჭოს არა აქვს უფლება გამოვიდეს საკანონმდებლო ინიციატივით, ეს ევროკომისიის უფლებაა. მაშინ როცა ევროპარლამენტი ამტკიცებს ან უარყოფს ახალ კანონმდებლობას, სწორედ ევროკომისია აკეთებს ახალი კანონის მონახაზს.

ევროპარლამენტს ასევე გააჩნია დიდი არაპირდაპირი გავლენა არაშემზღვევლი რეზოლუციებისა და საკომიტეტო სხდომების სახით. არაპირდაპირი ეფექტი აისახება საგარეო პოლიტიკაშიც, პარლამენტი ამტკიცებს განვითარებისკენ მიმართულ ყველა გრანტს.

გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების პროცედურა ამ ორ ორგანოს თანაბარ დონეზე აყენებს.

გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების პროცედურასთან ერთად, პარლამენტს ერთადერთი დემოკრატიული ინსტიტუტის მანდატი სხვა ინსტიტუტებთან შედარებით აძლევს საკანონმდებლო პროცესზე მეტი კონტროლის უფლებას.

სხვა პროცედურები მოიცავს:

- კოოპერაციას;
- კონსულტაციას;
- სანქციონების პროცედურას.

ევროპარლამენტი ოფიციალურად ფლობს ევროკავშირის ბიუჯეტის განკარგვის უფლებას. ეს უფლება მან 1970 წელს მიღებული საბიუჯეტო ხელშეკრულების საფუძველზე მოიპოვა.

ევროკავშირის ბიუჯეტი გაყოფილია გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ ხარჯებად. გათვალისწინებული ხარჯები არის ხარჯები, რომლებიც გამომდინარეობს ევროკავშირის ხელშეკრულებებიდან (მათ შორის სოფლის მეურნეობის) და საერთაშორისო შეთანხმებებიდან, ბიუჯეტის დანარჩენი ნაწილი გაუთვალისწინებელ ხარჯებზეა გათვლილი. გათვალისწინებულ ხარჯებთან დაკავშირებით ევროსაბჭოს ეკუთვნის საბოლოო სიტყვა, მაშინ როცა პარლამენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას გაუთვალისწინებელ ხარჯებზე.

ინსტიტუტები ადგენენ საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვას და კომისია ამტკიცებს მათ შედგენილ ბიუჯეტში. ორივეს, ევროსაბჭოსაც და ევროპარლამენტსაც შეუძლიათ შეიტანონ შესწორებები ბიუჯეტში. საბიუჯეტო გეგმის ძალაში შესასვლელად აუცილებელია მასზე იყოს ევროპარლამენტის პრეზიდენტის ხელმოწერა.

ევროპარლამენტი ახორციელებს ევროკავშირის სხვა ინსტიტუტების დემოკრატიულ მეთვალყურეობას. ევროკომისიის წარდგენა ხდება ევროსაბჭოს მიერ და ამტკიცებს ევროპარლამენტი უმრავლესობის წესით. პარლამენტს აქვს აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის კანდიდატურასთან დაკავშირებით ვეტოს გამოყენების, მაგრამ არა მისი წარდგენის უფლება. ევროკომისიის პრეზიდენტი შემდეგ წარუდგენს კომისიის წევრებს სახელმწიფოებთან შეთანხმებით, პარლამენტს დასაამტკიცებლად. პარლამენტს ასევე უფლება აქვს ხმათა 2/3-ით მოითხოვოს კომისიის გადადგომა. ეს უფლება პარლამენტს არცერთხელ არ გამოუყენებია.

არსებობს მეთვალყურეობის შემდეგი სახეები:

- კომისიისადმი მოთხოვნა, რომ პარლამენტს წარუდგინოს მოხსენებები და უპასუხოს პარლამენტის წევრების შეკითხვებს;
- მოთხოვნა ევროსაბჭოს პრეზიდენტისადმი, რომ მან პრეზიდენტობის დასაწყისში წარმოადგინოს თავისი სამოქმედო პროგრამა;
- პარლამენტის წევრების უფლება კომისიასა და საბჭოს წარუდგინონ საკანონმდებლო და პოლიტიკური წინადადებები და უფლება ამ ინსტიტუტების წევრებს დაუსვან წერილობითი ან ზეპირი შეკითხვები.

ევროსაბჭოს პრეზიდენტი ესწრება პარლამენტის პლენარულ სესიებს და მონაწილეობს მნიშვნელოვან დებატებში.

პარლამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს საბჭოსთან გარკვეულ სფეროებში, როგორცაა მაგალითად, საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა და სასამართლო სისტემათა თანამშრომლობა, აგრეთვე, საერთო ინტერესების ისეთ საკითხებზე, როგორც არის თავშესაფრის მიცემა, საიმიგრაციო პოლიტიკა, საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლა.

მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, პარლამენტს სხვა უფლებებიც გააჩნია. პარლამენტს შეუძლია შექმნას საგამომიებო კომიტეტი, შეუძლია ასევე გამოიძახოს დაკითხვებზე სხვა ინსტიტუტები და, თუ აუცილებელია, ევროკავშირის კანონმდებლობისა და ხელშეკრულებების დარღვევის შემთხვევაში, წარუდგინოს ისინი სასამართლოს.

გარდა ამისა, მას აქვს აუდიტორთა ევროპული სასამართლოს წევრების დანიშვნის უფლება, ასევე ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის და აღმსრულებელი საბჭოს დანიშვნის უფლება, ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი ვალდებულია პარლამენტს წარუდგინოს ყოველწლიური მოხსენება. ევროპარლამენტის მიერ ირჩევა ასევე ევროპის ომბუდსმენი.

პარლამენტის წევრები ირჩევიან 5 წლის ვადით საყოველთაო არჩევნების წესით და პოლიტიკური ალიანსების მიხედვით ღებულობენ ადგილებს. წევრთა მესამედს ქალები შეადგენენ.

2009 წლიდან წესები შეიცვალა ლისაბონის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წევრთა რაოდენობა 751 გახდა. ევროპარლამენტის პრეზიდენტს არ აქვს ხმის მიცემის უფლება, ფაქტიურად სახეზე იქნება 750 წევრი.

ევროპარლამენტში ადგილები განაწილებულია პროპორციული წესით, ანუ რაც უფრო დიდია სახელმწიფო, მით უფრო მეტ მოქალაქეს წარმოადგენს პარლამენტის თითოეული წევრი.

ამჟამად ევროპარლამენტის წევრები ღებულობენ იგივე ხელფასს, რასაც ეროვნული პარლამენტის წევრები. 2009 წლიდან ახალი კანონით ევროპარლამენტის ყველა წევრი თანაბარ 7000 ევროს უხდებიან.

პარლამენტის მუშაობა ორ ძირითად ეტაპად არის დაყოფილი:

- **პლენარული სესიისთვის მომზადება.** ამას აკეთებენ ევროპარლამენტის წევრები სხვადასხვა საპარლამენტო კომიტეტებში, რომლებიც ევროკავშირის საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში არიან სპეციალიზებული. დებატებზე გასატანი საკითხები პოლიტიკური ჯგუფების მიერაც განიხილება.
- **თავად პლენარული სესია.** პლენარული სესიები, რომლებსაც ევროპარლამენტის ყველა წევრი ესწრება, ჩვეულებრივ, სტრასბურგში იმართება (თვეში ერთი კვირა), ზოგჯერ კი ბრიუსელში (ორი დღე) ტარდება. ამ სესიებზე ევროპარლამენტი იხილავს შეთავაზებულ კანონმდებლობას და

მთლიან ტექსტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებამდე კენჭს უყრის შესწორებებს.

დღის წესრიგის სხვა საკითხები შეიძლება იყოს საბჭოს ან კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის განხილვა ან კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება ევროკავშირში ან მსოფლიოში

### **4.3 ევროკავშირის კომისია**

ევროპული კომისია არის ევროკავშირის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. იგი შედგება 27 წევრისაგან თითოეული წევრი სახელმწიფოდან. ისინი დამოუკიდებელნი არიან და მოქმედებენ მხოლოდ ევროკავშირის ინტერესებიდან გამომდინარე. მათ არა აქვთ უფლება მოღვაწეობდნენ სხვაგან. წევრ სახელმწიფოებს უფლება არა აქვთ ზემოქმედება მოახდინონ ევროკომისიის წევრებზე.

ევროკომისია ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ფორმირდება შემდეგი სახით. ევროკავშირის საბჭო სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე სთავაზობს ევროკომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას, რომელიც მტკიცდება ევროპარლამენტის მიერ. შემდეგ ევროკავშირის საბჭო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატთან ერთად აყალიბებს ევროკომისიის სავარაუდო შემადგენლობას წევრი ქვეყნების შეხედულებების გათვალისწინებით. “კაბინეტის” შემადგენლობა ნებადართული უნდა იყოს ევროპარლამენტის მიერ და საბოლოოდ დამტკიცებული ევროკავშირის საბჭოს მიერ. კომისიის თითოეული წევრი სათავეში უდგას შესაბამის ქვედანაყოფებს (ეგრეთწოდებულ გენერალურ დირექტორატს).

კომისია ასრულებს მთავარ როლს ევროკავშირის ყოველდღიური მოღვაწეობის უზრუნველყოფაში, რომელიც მიმართულია ძირითადი შეთანხმებების შესრულებაზე.

კომისია არის აღმასრულებელი ორგანო და გააჩნია 6 ძირითადი ფუნქცია:

1. ის ასრულებს ზედამხედველის როლს, რათა დარწმუნდეს, რომ კავშირში მიღებულ გადაწყვეტილებებს ასრულებს ყველა წევრი. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მიმართოს ევროკავშირის სასამართლოს.
2. მას ერთადერთს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, რა თქმა უნდა ეს ინიციატივა წარედგინება საბჭოს გეგმის ან კანონპროექტის სახით. ასევე წინადადებით მიმართავს ევროპის პარლამენტს.
3. ზოგ შემთხვევაში ის ასრულებს მედიატორის როლს ევროკავშირის საბჭოს შეხვედრებზე. ხშირად შეაქვს შესწორებები საკუთარ წინადადებებში, რათა ისინი მისაღები იყოს ყველა წევრისათვის.
4. მოლაპარაკებებს აწარმოებს საერთო პოლიტიკების გარკვეულ საკითხებზე, მაგალითად საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებზე.

5. მას გააჩნია გარკვეული ადმინისტრაციული ძალაუფლება გაერთიანებაში მოქმედი წესების კონტროლის თვალსაზრისით.
6. განაგებს ბიუჯეტს და მართავს ევროკავშირის პროგრამებს.

კომისიას გააჩნია მნიშვნელოვანი ავტონომიური უფლებები პოლიტიკის სხვადასხვა დარგში., მათ შორის აგრარულ, სავაჭრო, სატრანსპორტო, რეგიონალურ და ა.შ. კომისიას ჰყავს აღმასრულებელი აპარატი. კომისიის შტაბბინა მდებარეობს ბრიუსელში. კომისიის ძირითად სამუშაო ენებად ითვლება ინგლისური, ფრანგული და გერმანული.

ევროკომისია ამზადებს და ახორციელებს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებებს და ზედამხედველობას უწევს მათ შესრულებას. კომისიის ფუნქციებს აწესრიგებს ევროკავშირის ხელშეკრულების 211-ე მუხლი. მას მიეკუთვნება საკანონმდებლო ინიციატივის უფლება შეიმუშაოს საკანონმდებლო წინადადება და გადააგზავნოს საბჭოში, გააკონტროლოს შემდგომი კანონშემოქმედებითი პროცესი: თვალყური ადევნოს საბჭოს მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებს; დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ისეთ სფეროებში, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, კონკურენცია, ტრანსპორტი, ერთიანი შიდა ბაზრის ფუნქციონირება, გარემოს დაცვა და ა.შ. იგი თავად არ იღებს სტრატეგიულ-პოლიტიკურ ან ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მომზადებისას კომისია ატარებს კონსულტაციებს წევრი ქვეყნების მთავრობებთან და შესაბამის ექსპერტებთან. იგი ეროვნული მთავრობებისაგან დამოუკიდებელია საბაჟო კავშირის, ერთიანი ბაზრის, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისა და სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების სფეროებში.

კომისიის პრეზიდენტს შემდეგი ფუნქციები აკისრია:

- წარმოადგენს ევროკავშირის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ინიციატივებს;
- ხელს უწყობს კომისიის წევრებს შორის უთანხმოებების მოგვარებას და პარლამენტს წარუდგენს კომისიის ყოველწლიურ ანგარიშს;
- წარმოადგენს კომისიას მინისტრთა საბჭოში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრისას;
- წარმოადგენს კომისიას ევროპულ საბჭოში;
- წარმოადგენს კომისიას უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ფორუმებზე; კერძოდ, დიდი შვიდეულის შეხვედრებზე და აშშ-ევროკავშირის შეხვედრებზე, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება.

კომისია შედგება გენერალური სამდივნოსაგან და 20-ზე მეტი გენერალური დირექტორისაგან, რომლებიც დასაქმებულნი არიან ევროკავშირის ცალკეული მიმართულებით. კომისიის შტატში ირიცხება 15 ათასი თანამშრომელი. ეს არის ევროკავშირის ყველაზე დიდი დაწესებულება. მისი სხდომების ჩატარების ადგილია ბრიუსელი.

#### 4.4 ევროპული სასამართლო

ევროკავშირის განსაკუთრებულობას, რომელიც განასხვავებს მას სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან, წარმოადგენს საკუთარი სასამართლოს არსებობა. რომელიც უშუალოდ არეგულირებს არა მხოლოდ წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს, არამედ მათ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს შორისაც. ევროკავშირის სამართალი შედგება ეგრეთწოდებული პირველადი და მეორადი კანონმდებლობებისგან: პირველადი კანონმდებლობა – ევროკავშირის სადამფუძნებლო შეთანხმებები და შეთანხმებები, რომლებმაც გამოიწვიეს მასში ცვლილებები. მეორადი კანონმდებლობა – ევროკავშირის ორგანოების მიერ გამოცემული აქტებია.

ევროკავშირის სამართალს გააჩნია პირდაპირი მოქმედების უნარი ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე და პრიორიტეტები ნაციონალურ კანონმდებლობასთან შედარებით. ევროკავშირის სამართალს ყოფენ ინსტიტუციონალურ სამართლად (ნორმები, რომლებიც რეგლამენტირებას უკეთებენ ევროკავშირის ორგანოების და ინსტიტუტების ფუნქციონირებას) და მატერიალური სამართალი (ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ევროკავშირის მიზნების რეალიზაციის პროცესს). სასამართლომ უზარმაზარი როლი შეასრულა ევროკავშირის სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. კავშირის მრავალი ძირითადი სამართალდამცავი პრინციპები დაფუძნებულია არა საერთაშორისო შეთანხმებებზე, არამედ სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე.

ევროპული სასამართლო თავის სხდომებს მართავს ლუქსემბურგში და წარმოადგენს ევროკავშირის სასამართლო ორგანოს უმაღლეს ინსტანციას. სასამართლო არეგულირებს უთანხმოებებს წევრ სახელმწიფოების შორის; წევრ სახელმწიფოებსა და თვით ევროკავშირს შორის; ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის; ევროკავშირსა და ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის; მისი ორგანოების თანამშრომლების ჩათვლით (ამ ფუნქციისათვის შექმნილია სამოქალაქო სამსახურის ტრიბუნალი). სასამართლო აძლევს დასკვნებს საერთაშორისო შეთანხმებებზე. მას გამოაქვს აგრეთვე დადგენილებები ნაციონალური სასამართლოების თხოვნით. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა ევროკავშირის ტერიტორიაზე. მისი იურისდიქცია, როგორც წესი, ვრცელდება ევროკავშირის კომპეტენციის სფეროზე. სასამართლოს ფუნქციაა ხელშეკრულებებზე დაყრდნობით კანონის შესრულების კონტროლი. ამსტერდამის ხელშეკრულებით სასამართლოს კომპეტენციას დაემატა:

- ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენციის შესრულების ზედამხედველობა.
- იმიგრაციის, თავშესაფრის მიცემის, მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების საკითხების რეგულირება.
- პოლიტიკური და იურიდიული თანამშრომლობა კრიმინალურ საკითხებში.

ევროკავშირის სასამართლო იყენებს 5 სახის ინსტრუმენტს:

1. **რეგულაციები**, რომლებსაც თანაბარი ძალა აქვს ყველა წევრ სახელმწიფოში და არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას;
2. **დირექტივები**, ასევე კანონის ძალის მქონე, თუმცა მათი ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში აუცილებელია;
3. სასამართლოს **გადაწყვეტილებები** გარკვეულ პრობლემებთან დაკავშირებით, წევრების ან კონკრეტული პირების მიმართ;
4. **რეკომენდაციები** და **შეხედულებები**, რომლებიც სავალდებულო ხასიათს არ ატარებენ.

მაასტრიხტის ხელშეკრულების შესაბამისად, სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება დააკისროს ჯარიმები წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც არ ასრულებენ მის დადგენილებებს. ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე არის ევროკავშირის მოქალაქე და მასზე ვრცელდება ევროკავშირის სამართალი. ეროვნული კანონმდებლობის მხრიდან მისი შეზღუდვის შემთხვევაში მოქალაქეს უფლება აქვს სახელმწიფოს უჩივლოს ევროკავშირის სასამართლოში.

ევროკავშირის ეს ინსტიტუტი იყოფა სამი სახის სასამართლოდ: იუსტიციის სასამართლო, პირველი ინსტანციის სასამართლო და სამოქალაქო სამსახურის ტრიბუნალი.

სასამართლო შედგება 27 მოსამართლისაგან (თითო წევრი თითოეული წევრი სახელმწიფოსაგან) და 8 გენერალური ადვოკატისაგან. ისინი ინიშნებიან 6 წლიანი ვადით. რომელიც შეიძლება გახანგრძლივდეს. ყოველ 3 წელიწადში ხდება სასამართლოს შემადგენლობის ნახევრის განახლება. მოსამართლეები წევრი სახელმწიფოების თანხმობით ინიშნებიან, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ მათ ქვეყნებს, არამედ დამოუკიდებელი სუბიექტები არიან. მოსამართლეებს არ აქვთ პარალელურად სხვაგან მუშაობის უფლება. სასამართლოს პრეზიდენტს თავად წევრები ირჩევენ 3 წლით. სასამართლოში ფორმირდება 3-5 მოსამართლისაგან შემდგარი სასამართლო პალატები, მათ მიერ შერჩეული თავმჯდომარით, რომლებიც ატარებენ სასამართლო სხდომებს. "გრანდ" პალატაში შედის 13 მოსამართლე, რომელსაც სასამართლოს პრეზიდენტი თავმჯდომარეობს. სრული შემადგენლობით მოსამართლეების დასწრება ხდება მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების განხილვისას. სასამართლოს სხდომას ესწრება მოსამართლეთა კენტი რაოდენობა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება როდესაც პალატის 5 წევრიდან 3 თანხმდება გადაწყვეტილებაზე. "გრანდ" პალატის შემთხვევაში 13-დან 9 თანხმობაა საჭირო. სრული შემადგენლობის დასწრებისას კი 15-ის.

#### **4.5 აუდიტორთა სასამართლო**

აუდიტორთა სასამართლო დაფუძნდა 1975 წელს პარლამენტის ინიციატივით კავშირის ანგარიშგების მონიტორინგის, ბიუჯეტში შემოსავლების და ხარჯების კანონიერების შემოწმების მიზნით. აუდიტორთა სასამართლომ უნდა აკონტროლოს ევროკავშირის ინსტიტუტების, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ინსტიტუტების

მიერ გაერთიანების ფონდების მართვა, ევროკავშირის დახმარებები კავშირის შიგნით თუ გარეთ.

აუდიტორთა სასამართლო არის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველის როლს ასრულებს ევროკავშირის მოქალაქეთა ინტერესების დაცვაში. ის ამოწმებს ფინანსური ოპერაციების სისწორეს, რათა უზრუნველყოს ეკონომიკის ეფექტიანობა. ის უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ეხმარება პარლამენტს და საბჭოს ბიუჯეტის განაწილებაში. აუდიტორთა სასამართლო ევროკავშირის 5 უმთავრეს ინსტიტუტს შორის არის. იგი მიჩნეულია ერთ-ერთ ელემენტად რომელმაც უნდა სრულყოს დემოკრატია. აუდიტორთა უშუალო მოვალეობაა ვიზიტები წევრ ქვეყნებში და ცენტრალური თუ ადგილობრივი ადმინისტრაციებისათვის აუდიტის ჩატარება. ეს ვიზიტები ორ კვირამდე გრძელდება.

სადამფუძნებლო ხელშეკრულების 246, 248 მუხლებით აუდიტორთა სასამართლოს მთავარი ფუნქცია არის ხარჯების კონტროლი და დახმარების გაწევა ევროკავშირისათვის ფინანსური საკითხების გაუმჯობესებაში. ის აკონტროლებს გაერთიანების ყველა ორგანოს ხარჯს თუ შემოსავალს. ფინანსური წლის ბოლოს ამზადებს მოხსენებას ბიუჯეტის განაწილების შესახებ, რომელიც იბეჭდება ევროკავშირის ჟურნალში.

აუდიტორთა სასამართლოში დასაქმებულია 850 მოხელე. დასაქმებულთა 50% ქალია, თანამშრომლების 63% 44 წლამდე ასაკისაა (მინიმალური ასაკი 25, მაქსიმალური – 60) მისი ბიუჯეტია 120 მლრდ. ევრო, რაც არის 27-ვე ქვეყნის შემოსავლების 1% და ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის 0.1%. თუმცა ზოგიერთი ქვეყნის მაგ. რუმინეთის შემოსავალს თითქმის უტოლდება. აუდიტორთა სასამართლო დაყოფილია 5 ჯგუფად. თითოეული ბიუჯეტის გარკვეულ სექტორს აკონტროლებს. ესენია: 1. ბუნებრივი რესურსების მართვა და დაცვა; 2. სტრუქტურული პოლიტიკა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კვლევები, საგარეო საქმიანობა; 3. საკუთარი რესურსები, საბანკო საქმიანობა, ადმინისტრაციული ხარჯები; 4. კავშირის ინსტიტუტები, ორგანოები და შიდა პოლიტიკა; 5. (CEAD coordination, communication, evaluation, assurance and development) კოორდინაცია, კომუნიკაცია, შეფასება, დაზღვევა და განვითარება. აუდიტორთა სასამართლო ხელმძღვანელობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით.

წევრები ინიშნება 6 წლის ვადით. საბჭო პარლამენტთან კონსულტაციის შემდეგ ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს წევრებს. ეს წევრები წარმოდგენილია წევრი სახელმწიფოების მიერ. წევრები შეიძლება მეორე ვადით აირჩეს.

ამრიგად, ევროკავშირი წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს უდიდეს ინტეგრაციულ გაერთიანებას. მან ეტაპობრივად გაიარა ინტეგრაციის ოთხივე საფეხური და მიაღწია ინტეგრაციის უმაღლეს ფორმას. დღეს ის გვამლევს ქვეყანათა თანამშრომლობის ყველაზე წარმატებულ მაგალითს, რომლის განხორციელების სურვილი აქვთ სხვა დიდ სახელმწიფოებსაც. მაგ: აშშ, კანადა, მექსიკა. ლათინური ამერიკის ქვეყნები. ევროკავშირმა

შექმნა ერთიანი ევროპული ოჯახი, რომლის წევრობისკენ მიისწრაფის ყველა ახლოს მდებარე სახელმწიფო, რადგანაც დამოუკიდებლად განვითარების მაღალი დონის მიღწევა სულ უფრო რთულდება გლობალიზაციის პირობებში. წარმატებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ევროკავშირის ინსტიტუტებმა, რომლებიც მოქალაქეთა ინტერესებს იცავენ და დემოკრატიის სადარაჯოზე დგანან.

ევროკავშირის ინსტიტუტებმა გაამართლეს თავიანთი არსებობა, მაგრამ საჭიროა მათი ადაპტირება კავშირის გაფართოებასთან და იმ მზარდი ამოცანების შესრულებასთან, რომლებიც მათ პასუხისმგებლობას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ყველამ ვინც კი მონაწილეობს ამ უპრეცედენტო პროცესში, თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რათა უზრუნველყოს ევროკავშირის ინსტიტუციური სისტემის ქმედითი მუშაობის გაგრძელება. საჭიროა რეფორმების კონცენტრირება გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ერთსულოვანი კონსესუსის დაჟინებული მოთხოვნა ყველა შემთხვევაში სისტემის პარალიზებას გამოიწვევს. ერთადერთი სისტემა, რომელიც იმუშავებს – ეს არის უმრავლესობის არჩევნებზე დამყარებული პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემა კონტროლისა და დაბალანსების მექანიზმებით.

ევროკავშირის 27 სახელმწიფო თავისუფლად, მშვიდობიანად, ყოველგვარი კონფლიქტების გარეშე ახერხებს თანაცხოვრებას, რაც პირველ რიგში სწორედ ამ ინსტიტუტების დამსახურებაა. ინსტიტუტები დაკომპლექტებულია სხვადასხვა ქვეყნების სრულიად განსხვავებული წარმომადგენლებით, რომელთაც ეროვნული თუ ინდივიდუალური ინტერესები გააჩნიათ, მაგრამ ეს არ არის ხელის შემშლელი ფაქტორი თანამშრომლობისათვის, პირიქით, ეროვნული მრავალფეროვნება კიდევ უფრო საიმედოს ხდის მათ საქმიანობის შედეგებს. ეს არის დემოკრატიული თანაცხოვრების საუკეთესო მაგალითი.

#### **4.6 ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემა**

ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, ევროპის ცენტრალური ბანკი, ფრანკფურტში (გერმანია) მდებარეობს. იგი პასუხისმგებელია ევროკავშირის ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე. ცენტრალური ბანკის მთავარი მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც ევროს იყენებენ და საფინანსო სისტემის სტაბილიზაცია საფინანსო ბაზრებისა და ინსტიტუტების კონტროლის გზით.

ევროპის ცენტრალური ბანკი თანამშრომლობს ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ცენტრალურ ბანკთან. ერთობლიობაში ისინი ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემას ქმნიან. განსაკუთრებით მჭიდროა ბანკების თანამშრომლობა ევროზონის ფარგლებში, რომელშიც 17 წევრი ქვეყანა შედის და სადაც ევრო გამოცხადებულია ოფიციალურ ვალუტად. ბანკების კავშირს "ევროსისტემა" ეწოდება.

ევროპის ცენტრალური ბანკის უფლებამოსილება განისაზღვრება შემდეგი ფუნქციებით: 1. ევროზონისათვის ძირითადი საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრა და ფულის მიწოდების კონტროლი; 2. ევროზონის უცხოური სავალუტო რეზერვების მართვა და გაცვლითი კურსის ბალანსის შენარჩუნების მიზნით ვალუტის ყიდვა-გაყიდვა; 3. საგადასახადო სისტემების შეუფერხებლად ფუნქციონირების მიზნით ფინანსურ ბაზრებსა და ინსტიტუტებზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ხელშეწყობა; 4. ევროზონის დანარჩენი ცენტრალური ბანკების ევროს გამოშვების უფლებით აღჭურვა; 5. ფასების ტენდენციების მონიტორინგი და რისკების შეფასება.

ევროპის ცენტრალური ბანკის სტრუქტურაა: აღმასრულებელი საბჭო - ხელმძღვანელობს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას და შედგება 8 წლის ვადით დანიშნული 6 წევრისაგან. მმართველი საბჭო - განსაზღვრავს ევროზონის მონეტარულ პოლიტიკასა და საპროცენტო განაკვეთებს. გენერალური საბჭო - ხელს უწყობს საკოორდინაციო და საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებასა და ევროზონაში ახალი წევრების მიღებას. საბჭო შედგება ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და 27 წევრი ქვეყნის ეროვნული ცენტრალური ბანკის მმართველისაგან.

ცენტრალური ბანკი მთლიანად დამოუკიდებელია. არც მას, არც ეროვნულ ცენტრალურ ბანკებს თუ მათ მმართველ ორგანოებს არა აქვთ უფლება, მოითხოვონ ან მიიღონ რეკომენდაციები ევროკავშირის ნებისმიერი სხვა ორგანოსგან. ევროკავშირის ინსტიტუტები და მთავრობები ვალდებული არიან პატივი სცენ ამ პრინციპს.

#### **4.7 ევროპის საინვესტიციო ბანკი**

2004 წლის გაფართოება ევროპის საინვესტიციო ბანკში(EIB) რიგი გადაწყვეტილებების მიღებაზე აისახა. EU-25-ში, დირექტორთა რაოდენობა დირექტორთა საბჭოში 13-26-ის ფარგლებში მერყეობს. დირექტორთა რედისტრიბუცია შესაძლებელია თითოეული წევრის სახელმწიფოს მიერ. ერთი წევრის ცვლილება შეიძლება კომისიის მიერ მოხდეს. ეს განასხვავება EU-25-სა და EU-15-ს შორის, სადაც დიდი წევრი ქვეყნები სამ დირექტორს ირჩევდნენ, ესპანეთი ირჩევდა ორს და დანარჩენები თითოს. გადაწყვეტილების მიღება მოიცავს საბჭოს მარტივ უმრავლესობას, EU-25-ის გადაწყვეტილებები შეიძლება განხილული იყოს საბჭოს 1/3 წარმომადგენლობით, რაც EIB-ს 50%-ის კაპიტალის მოიცავს, ამასთან, რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით მეტი ძალა აქვს მას გადაწყვეტილების მიღებისას. როცა მოთხოვნილი უმრავლესობა შეიკრიბება, ხმის მიცემისათვის მოთხოვნილი 17 ხმა იცვლება 18-ით რაც მოითხოვს კაპიტალის წარმომადგენლობის 68%-ს. საბოლოოდ, გაფართოება EIB-ს მმართველი კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტთა გაზრდას მოითხოვს 6-დან 8-მდე.

## 5. გაფართოება და ევროკავშირის ეკონომიკა

ევროკავშირის გაფართოების ტრადიციული მოდელი გარკვეულ პრინციპებს ეფუძნება, რომელიც კავშირშია, როგორც აპლიკანტი ქვეყნის, ისე მიმდინარე წევრების უფლებებთან. ეს პრინციპები წარმატებით მოერგო წინა გაფართოების ციკლს და შესაძლოა მისაღები მოდელი იყოს მომავალი აპლიკანტი ქვეყნებისთვისაც. ტრადიციული მოდელის მთავარი არსი გასაწევრიანებელი ქვეყნების მოთხოვნილებების ევროკავშირის სამართალთან, პრაქტიკასთან და ტენდენციებთან შესაბამისობაა. გაწევრიანების მსგავსი პროცედურა ძალიან ჰგავს გაწევრიანებას კლუბში წინასწარ დადგენილი წესებით (იოვანოვიჩი, 2000). თუმცა 10+2 გაფართოების ციკლი, განსხვავებულია წინა ციკლებთან შედარებით, ვინაიდან მსგავსი გამოწვევების წინაშე ევროკავშირი აქამდე არ ყოფილა. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს გამოწვევები გამომდინარეობს ახალი წევრი ქვეყნების დაბალი განვითარებისა და იმ პროცესიდან, რომ ისინი ჯერ კიდევ ეფექტიანი და კონკურენციული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების გზაზე არიან. ეს საკითხი ბევრ კითხვას წარმოშობს, არა მხოლოდ როგორ უნდა გაუმკლავდნენ ახალი წევრები ევროკავშირის საქონლის ინტეგრირებული ბაზრების მოთხოვნებს, არამედ თვითონ ევროკავშირი როგორ გაუმკლავდება ამავე საკითხს. გაფართოება ბევრ კომპლექსურ კითხვას წარმოშობს, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ბაზრის ინტეგრაციისა და საერთაშორისო გადარიცხვების ასპექტებთან. სავაჭრო ინტეგრაციის არსებული თეორიის თანახმად, ვაჭრობის სავარაუდო ნამატი და გაფართოება ერთად „იმუშავებენ“ ეკონომიკური პირობებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველანაირი საფრთხე გამოირიცხება. მაგალითად EU-15-ის ქვეყნების მწარმოებლები უფრო შეამცირებენ საქონლის ფასს CEEC-ს იაფფასიანი კონკურენციული ფასიდან გამომდინარე.

### 5.1 ევროინტეგრაციის „საბაზრო ტენდენციები“

ოკუპაციამდელი ევროპის შიდა ბაზარი და მისი „დასასრული“, როგორც დაფუძნების დოკუმენტებშია ასახული, შესაძლოა ევროპული ინტეგრაციის გაუხმაურებელ ეკონომიკურ ასპექტებს ასახავდეს. მდიდარი და მრავალფეროვანი ევროპის კულტურული მემკვიდრეობა, ევროპელი მოაზროვნეების ტრადიციული ინტელექტუალური კომუნიკაცია პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და თუნდაც კულტურულ საკითხებზე და მშვიდობის დამყარების ძლიერი სურვილი ასახულია რობერტ შუმანის ცნობილ მისის 1950 წლის დეკლარაციაში – ყველა ეს წმინდა ევროპული ელემენტი კი თანამედროვე დებატების თემაა. მაშინაც კი, როცა ევროპული ინტეგრაციის ეკონომიკური ასპექტები ოფიციალური ევროპული ქმედებების, აქტივობების დონეზე პოულობენ გამოხატულებას, ერთიანი ევროპული ღირებულებების უმრავლესობის მსგავსად ისინი უფრო მეტად ბუნდოვანებას იძენენ, რადგან ევროპულ საგარეო პოლიტიკასთან ინტეგრირებულნი წარმოგვიდგებიან.

ისტორიული კონტექსტის და, ნაწილობრივ, ევროკავშირის წარუმატებლობების მიზეზით, ევროკავშირის პოლიტიკური ინტეგრაციის განვითარებაზე მსჯელობისას, ბაზარზე ორიენტირებული ევროინტეგრაცია განიხილება სამხედრო და პოლიტიკური ინტეგრაციის დეფიციტის მიზეზის სახით. ძალა, რომელიც რეალურად მართავს ევროპულ ინტეგრაციას, ეკონომიკური ინტეგრაციაა. ევროპული ინტეგრაციის პროცესის დასაბამიდან ევროპაში საბაზრო მიმოცვლის განვითარებას მთავარი ადგილი უკავია. დროთა განმავლობაში უფრო აშკარა ხდება, რომ ევროინტეგრაციის სხვა გონიერი ეკონომიკური ალტერნატივა არ არსებობს და გამოცდილება აჩვენებს, რომ ეკონომიკის გარდა ევროინტეგრაციას არანაირი სასიცოცხლო საფუძველი არ გააჩნია. ძირითადად, ეკონომიკური ინტეგრაცია შეიძლება განხორციელდეს ორი ალტერნატიული მეთოდით: თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნით ან მომხმარებელთა კავშირის შექმნით. ორივე რეჟიმის ქვეშ, პარტნიორები ერთმანეთს შორის სავაჭრო შეზღუდვებს აუქმებენ, კერძოდ ტარიფებს, რომელიც გამოიყენება პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე. ვაჭრობის ლიბერალიზაციის შინაარსი შეიძლება შევიწროვდეს ან გაფართოვდეს ორივე შემთხვევაში, მაგალითად, მხოლოდ საქონლის წარმოებით ან სასოფლო სამეურნეო წარმოებითა და მომსახურებით. მკაფიო განსხვავებაა არაპარტნიორი ქვეყნების მიდგომებში. თავისუფალ სავაჭრო ზონაში ეს დამოკიდებულია თითოეული წევრზე, დატოვებენ თუ არა ეროვნულ სუვერენიტეტს, რათა გააფართოონ წევრთა სია ვაჭრობის თავისუფალ ზონაში. მომხმარებელთა კავშირი განსხვავებულია იმაზე დაყრდნობით, რომ მათ საერთო საგარეო სავაჭრო პოლიტიკა აქვთ. ორივე ტიპის ინტეგრაცია იყო და ახლაც არის ევროპაში: EFTA-სა და ევროპული თავისუფალი ვაჭრობის ზონაში შეთანხმებების დროს და ევროკავშირში მომხმარებელთა გაერთიანების მეშვეობით. რეალურად, საქმე ეკონომიკური თეორიის პირობებში ეფექტიანობის, ვაჭრობის მოცულობისა და კეთილდღეობის მხრივ უკეთესადაა წარმოდგენილი თავისუფალ ვაჭრობის ზონაში, ვიდრე მომხმარებელთა კავშირში. ამ საკითხის ამოსავალი წერტილი არის ის, რომ თავისუფალი ვაჭრობის ზონა წევრ სახელმწიფოებს საშუალებას უტოვებს საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში უფრო ლიბერალურები იყვნენ, ვიდრე პარტნიორებთან ურთიერთობისას.

## **5.2 ოთხი თავისუფლება და გაფართოება**

ნებისმიერი კოოპერაციის მიზანი და სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ინტეგრაცია შესაძლოა მხოლოდ იმ ქვეყნებს მოიცავდეს, რამდენსაც პარტნიორთა შეთანხმება გადაწყვეტს. 1957 წელს ევროკავშირის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) მიერ მიღებული წესდებით, ც განისაზღვრა, რომ წევრ ქვეყნებს შორის ერთიანი ბაზარი/შიგა ბაზარი და ერთიანი ევროპული ბაზარი (მინიჭებული სახელი წლების განმავლობაში იცვლება) უნდა იყოს კავშირის ბირთვი.

ბაზრის მთავარი საფუძველი ე.წ. „ოთხი თავისუფლება“ – საქონლის, მომსახურების კაპიტალისა და ადამიანების თავისუფალი გადაადგილება. ბაზრის ლიბერალიზაცია, ოთხი თავისუფლების გაფართოებით მუდმივად შედიოდა კავშირის პროგრამაში.

## *საქონლის თავისუფალი გადაადგილება*

ეს თავისუფლება ევროინტეგრაციის „დასაბამიდან“ არსებობს, კერძოდ, TEC 23 და 24 მუხლები, ითვალისწინებენ, რომ არანაირი შიდა ბარიერი არ უნდა იქნეს შემოღებული საქონლის მიმოქცევისას, მესამე ქვეყნებიდან შემომავალი პროდუქციის ჩათვლით, როცა ისინი გადმოკვეთენ ერთიან საგარეო საზღვარს.

გაფართოების კონტექსტით, ეს თავისუფლება შეიძლება შეზღუდული მნიშვნელობის მატარებელი იყოს, ვინაიდან ახალ წევრებს ევროკავშირთან თავისუფალ სავაჭრო ზონაზე შეთანხმებები უმრავლეს პროდუქციასთან დაკავშირებით უკვე ჰქონდათ გაფორმებული და შედარებით მცირე რაოდენობის ტარიფი გაუქმდა. თუმცა, არასატარიფო ბარიერები, რომლებიც თანაბრად მიუღებელია ერთიანი ევროპული ბაზრისათვის, პრობლემად იყო და რჩება. ეს ბარიერები გულისხმობს საერთო ტერიტორიას ყველა წევრ ქვეყანას შორის, ტექნიკურ სტანდარტებსა და საქონლის სერტიფიცირებას, რომელიც, თავის მხრივ, ახალ წევრ სახელმწიფოებში ფართო ადმინისტრაციულ ცვლილებებს საჭიროებს. სირთულეების აღმოფხვრა ნაწილობრივ შესაძლებელია დროებითი გარდამავალი ხელშეკრულებებით, რომელთაც რამდენიმე ქვეყანა უერთდება – კვიპროსის, პოლონეთისა და სლოვენის ჩათვლით.

## *ადამიანების თავისუფალი მიმოსვლა*

TEC-ის მუხლი 39 (1) მიხედვით, „მომუშავეთა თავისუფალი მოძრაობა დაცული უნდა იყოს საზოგადოების მიერ“. ამ თავისუფლებამ არანაირი სერიოზული პრობლემა არ უნდა შეუქმნას EU-15-ს, იმის გათვალისწინებით, რომ რომელიმე ქვეყანა შეიძლება გადაიტვიტოს სხვა ქვეყნის მუშაკებით.

თუმცა, მნიშვნელოვანია სწორად გავიგოთ, რომ EU-15-ის ზოგიერთი შრომის შიგა ბაზარი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება თუ ეს თავისუფლება გაფართოებულ ევროკავშირში ზღვარგადასულად გამოყენებული იქნება. CEEC-დან EU-15-ში დიდი რაოდენობის მიგრაციის საფრთხე გაზვიადებულია. ზოგი EU-15-ის წევრი ქვეყანა, გერმანიისა და ავსტრიის ჩათვლით, ამაში ზედმეტად დარწმუნებულნი იყვნენ მიგრაციის საფრთხის საკითხით და მოლაპარაკებების განმავლობაში მოითხოვდნენ ფრთხილ და გრძელვადიან პერიოდს, რომლის დროსაც ახალი წევრი ქვეყნის მოქალაქეებს არ შეეძლებოდათ ავტომატურად მიეღოთ სრული დაშვება EU-15-ის შრომის ბაზრებზე.

ამასთან, სამუშაოს პირდაპირი მოძიების შესაძლებლობის გაჭიანურებასთან ერთად, გაფართოება ამ თავისუფლების სხვა პრობლემებსაც წარმოშობს. მაგალითად, დამსაქმებლების თვალთახედვით, მშრომელთა თავისუფალი მიმოსვლა სირთულეებს წარმოქმნის თავიანთი დასაქმებულების ხარისხისა და კვალიფიკაციის მონიტორინგთან დაკავშირებით. ახალი წევრი ქვეყნები, რა თქმა უნდა, ევროკავშირის სამართლის მიხედვით აღიარებენ დიპლომებსა და სერთიფიკატებს, თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებები, რამდენად შედარებითია CEEC-ის კვალიფიკაციები. ამის შედეგად, EU-15 მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს მუშაკთა კვალიფიკაციებზე და, კერძოდ, ახალ წევრ ქვეყნებს მოუწევთ რეფორმის გატარება

მოუწევთ თავიანთ საგანმანათლებლო ინსტიტუციებში, რათა თავიანთ მუშაკებს ევროკავშირის ნორმების შესაბამისად კომპეტენციასთან დაკავშირებით გარანტია მისცენ.

### *მომსახურების წარმოების თავისუფლება*

TEC-ის 49-ე მუხლში ვკითხულობთ „მომსახურების წარმოების თავისუფლების შეზღუდვები საზოგადოებაში უნდა აიკრძალოს“ იმ გაგებით, რომ ევროკავშირის მომსახურების მიმწოდებელი ქვეყნები არ უნდა განცალკევდნენ მიმღები ქვეყნებისგან.

საქონლისა და ადამიანების მოძრაობის თავისუფლებების მსგავსად, ხარისხის კონტროლის პრობლემა აქვს მომსახურების თავისუფალ გადაადგილებასაც, მითუმეტეს რომ ხშირად ხდება განუსაზღვრელი ხასიათის მომსახურების მიწოდება. მომსახურების ექსტრა-ტერიტორიული მიმწოდებლებით განპირობებული კონკურენტთა თავიდან მოცილების პრობლემა ხორციელდება ადმინისტრაციული ხერხებით. ეს არის მთავარი მიზეზი, თუ რატომ არის განუვითარებელი მომსახურების სასაზღვრო ბაზრები ევროკავშირში.

განვითარებული საკანონმდებლო სისტემა შექმნილია ევროკავშირში მომსახურების თავისუფალი მოძრაობის გასაუმჯობესებლად, რომლის დროსაც რთულია რეგიონული ინტერესების ბალანსის ლეგიტიმური დაცვა და, მეორეს მხრივ, პროტექციონიზმის შეჩერება გარე კონკურენტების წინააღმდეგ. შედეგებიდან ჩანს, რომ EU-15-ის წევრმა ქვეყნებმა ამ მოლაპარაკებების დროს პოზიციები შეარბილეს.

### *კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება*

10+2 მოლაპარაკებების დროს კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების საკითხი ნაწილობრივ სენსიტიური იყო და აბსოლუტური პრიორიტეტი ჰქონდა მინიჭებული. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, ის რომ CEEC არეგულირებდა კერძო კაპიტალის მესაკუთრეობას. პრობლემები გამომდინარეობდა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მოუწესრიგებლობიდან, რაც ნიშნავდა საბაზრო ეკონომიკური სისტემის ინფრასტრუქტურის სერვისის (საბანკო სისტემის, ფინანსური მომსახურების და ა.შ) განუვითარებლობას. მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევებშიც კი, სადაც არ იყო საჭირო სისტემის ფუნდამენტური რეფორმა, საფინანსო სერვისის ინდუსტრიაში მაინც გამოჩნდა რეფორმებისათვის ფართო გასაქანი. რეფორმა საჭირო იყო შეთანხმების წინა პერიოდში, რადგან სერვისები საჭიროებდა ერთიან რეგულაციას კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის პირობებში. მაგალითად, ინვესტორთა უსაფრთხოების ასპექტი და საკითხები, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკურ კრიმინალისტიკას, ერთობლივად რეგულირებული უნდა იყოს, რათა კაპიტალის რეგიონალური მიმწოდებლები არ მოხვდნენ უსამართლობის გავლენის ქვეშ.

კაპიტალის თავისუფალ მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა მიზეზები ევროკავშირის წევრებთან მიმართებაში იყო და არის სენსიტიური და ძალიან მნიშვნელოვანი ზრდის კონტექსტით. 1957 წლის EEC-ს წესდება შეიცავდა მუხლს კაპიტალისა და გადასახადების

ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ საკითხმა არასრულყოფილი განვითარება ჰპოვა მანამ, სანამ 1992 წლის პროგრამა ჩამოყალიბდებოდა. ახლა საკმარისი რაოდენობის საკანონმდებლო ცვლილებებია მიღებული, თუმცა პრობლემა მაინც არსებობს. ამ პრობლემებს შორისაა კაპიტალის წარმოშობის ზედამხედველობის პრინციპი, რომელიც კაპიტალის ბაზრებზე წარმოიშვა. სასაქონლო ბაზარის პრაქტიკის ანალოგიურად, ერთ ქვეყანაში, სადაც მიმწოდებელი ფინანსურ მომსახურებას უკეთებს აკრედიტაციას, სხვა წევრი ქვეყნების ბაზრებზეც უნდა იქნეს აღიარებული. თუმცა საფინანსო და სადაზღვეო მომსახურებები იმდენად სენსიტიურია და ხშირად პერსონალურიც, რომ ეს პრინციპი უზომოდ პრობლემატურია. სრული ეფექტის მისაღწევად განსხვავებული ეკონომიკური ფონისა და ტრადიციების ახალ წევრ ქვეყნებში ევროკავშირის სტანდარტები მომხმარებელთა დაცვის მიზნით უფრო სადაო ფორმას იღებს.

### *კონკურენცია და კონკურენტუნარიანობა*

ტერმინი „შიგა ბაზარი“ ეროვნული ბაზრის და ევროპული ბაზრის დონეზე განიხილება. ეს არამხოლოდ პრობლემაა ტერმინის თვალსაზრისით, არამედ სუბსტანციაც. ეროვნულ დონეზე, შიგა ბაზრის გაზრდა ნიშნავს ორი სახის აქტივობას: (ა) საბაზრო გაცვლის სტიმულირებას, რომელიც აძლიერებს საბაზრო კონკურენციას მონოპოლიების შეზღუდვითა და ადმინისტრაციული შეზღუდვების გაუქმებით; და (ბ) ეროვნული კონკურენციის გაზრდას, რაც ნიშნავს ეროვნული მიმწოდებლების შესაძლებლობათა გაზრდას გარე ბაზრებზე შეღწევით, ან ეროვნული მწარმოებლების დაცვას „გარე“ კონკურენტებისაგან. ამ ორი მოქმედების თანხვედრამ შესაძლებელია უსამართლო კონკურენცია განაპირობოს. სხვა სიტყვებით, დაფნის გვირგვინს მოიგებს ის, ვინც გაიმარჯვებს მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკურენტთან. თუმცა, პოლიტიკოსები ხშირად ცდილობენ და აძლიერებენ ეროვნულ კონკურენციას „დახმარებით“ – ეს ეროვნული ფირმების სუბსიდირებაა, ან მათი გაძლიერება სხვა გზებით (მაგალითად, მარგარეტ ტეტჩერის „იყიდე ბრიტანული“ კამპანია, 1980–იან წლებში). მაგრამ, სპორტსმენის დოპინგის მსგავსად, მსგავსი დახმარებები მხოლოდ ხელოვნურ უპირატესობას იძლევა და საბოლოოდ მიმღების ჯანმრთელობას ანგრევს. თუმცა, აქვე იკვეთება ფუნდამენტური პრობლემა კონკურენციასა და კონკურენტუნარიანობას შორის. ეს პრობლემა ევროკავშირშიც ბევრ მნიშვნელოვან სიძნელეს წარმოშობს, რაც ეროვნული კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას ემუქრება. იგი ცვლის წარმოების ღირებულებას მწარმოებლებისთვის, გადასახადის გადამხდელებისთვის საბოლოო უპირატესობის მიღების გარშე. ეს საკითხი პრობლემატურია ევროკავშირის ზოგიერთ სექტორში, გემთმშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ჩათვლით, ვინაიდან იქ მთავარი საზრუნავი წამგებიანი და დანახარჯიანი სუბსიდირების ეფექტებია.

ევროკავშირის დღის წესრიგში ამ სახის პრობლემებთან ბრძოლა ხანგრძლივად არსებობდა და კონკურენციის პოლიტიკის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა. ადგილობრივ მთავრობებს ეკრძალებათ სუბსიდიების გაწევა TEC –ის 87–ე მუხლის თანახმად. „ნებისმიერი დახმარება, რომელიც წევრი ქვეყნის ან სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიყენება როგორც დაფინანსების წყარო, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კონკურენციას რომელიმე საწარმოს სასარგებლოდ ან საქონლის წარმოებას და ეს წევრ ქვეყნებს შორის ვაჭროაზე აისახება, საერთო

ბაზრისთვის შეუთავებელი იქნება“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო დახმარება მკაცრად იკრძალება „ნებისმიერი ფორმით“ – პრინციპულად. მთავარი საკითხი კომისიისთვის არის ამ პრინციპის დაცვა. ეს მიდგომა წარმოიშვა EU-25–ში ახალი წევრი ქვეყნების მიღების შემდეგ, ვინაიდან ბევრი ფირმა ვერ იქნება კონკურენტუნარიანი „დახმარების“ გარეშე. ადგილობრივი პოლიტიკოსები და ადმინისტრატორები, რომელთაც კულტურაში ტრადიციულად „ინტერვენციული მიდგომა“ ახასიათებთ, ამ მიდგომას საზოგადო სახეს სძენენ. ამ გამოწვევების განალიზებამ მოითხოვა ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებამდელი პერიოდის მასალების გაანალიზება, როდესაც კომისიამ სახელმწიფო დახმარებების მონიტორინგი ჩაატარა აპლიკანტ ქვეყნებში და გამოაქვეყნა დეტალური გამოძიების შედეგები ამ საკითხთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამ აკრძალული პრინციპისა, პრაქტიკაში წევრ ქვეყნებში სახელმწიფო ფინანსური დახმარებები ფირმებში დაახლოებით ეროვნული ბიუჯეტის ერთ-მესამედს შეადგენს. ევროკავშირის ბიუჯეტის ნახევარი ბიუჯეტი სოფლის მეურნეობის დახმარებაზე და ერთი მესამედი კი სტრუქტურული და რეგიონული პოლიტიკის დაფინანსებაზე მიდის. ევროკავშირის ეს სექტორები კონკურენციის მხრივ გაკრიტიკებულია. ამგვარად, ევროკავშირის ბიუჯეტის 80 % სახელმწიფო დახმარებას შეადგენს, ვრცლად რომ განვმარტოთ, ეს დახმარებები დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო არსებობს, CAP (ერთიანი აგრარული პოლიტიკა)–ის დაფინანსების საკითხიდან გამომდინარე, ან ნებისმიერი მცდელობისას, რომ აღმოიფხვრას დაბალი კონკურენტუნარიანობა ერთიანი პოლიტიკის გატარებით. ამასთან, ირონიულია, რომ პარალელურად მიმდინარეობს სახელმწიფო დახმარებების მონიტორინგი ეროვნული ხელისუფლების მიერ, კომისია კი ზედამხედველობას უწევს საგრანტო დახმარებებს კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის ჩარჩოებში.

მუდმივი განხილვის საკითხად იქცა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით ევროკავშირის დანახარჯების მიზნობრიობის თემა. 2001 წლის სტოკჰოლმის სამიტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ „სახელმწიფო დახმარებების დონე ევროკავშირში უნდა შემცირდეს და სისტემა უფრო გამჭირვალე უნდა გახდეს“ (ევროსაბჭო, 2001: 52). ერთი წლის შემდეგ, 2002 წლის მარტში, ბარსელონას სამიტზე განახლდა ეს საკითხი. სამიტმა ცვლილებებისკენ და სახელმწიფო დახმარებების ლოგიკურ ჩარჩოებში მოქცევისკენ მოუწოდა წევრებს, რათა სამომავლოდ ისინი მიმართული იყოს უფრო მეტად „ჰორიზონტალური“ ობიექტებისაკენ, როგორცაა გარემო და სოციალური პოლიტიკა (ევროსაბჭო, 2002d: 52). მას შემდეგ, რაც ევროსაბჭოს გააჩნია საკანონმდებლო როლი, რათა ევროინტეგრაციის ზოგადი განვითარებების მიმართულებები შეიმუშავოს, მოსალოდნელია ზოგიერთი ფუნდამენტური რეორიენტაციები. ასევე, გაფართოებას ემთხვევა პრობლემატური ასპექტების ზრდა, რომლებიც სახელმწიფო დახმარების გზით კონკურენტუნარიანობის ამალგების პოლიტიკას ეხება. გასაცნობიერებელია, რომ ეს მომავალი დებატების თემა იქნება ევროკავშირში, ვინაიდან ახალი წევრი ქვეყნებიც ჩაერთვებიან განხილვაში. მოსალოდნელია, რომ ისინი გამოკვეთენ მათი ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი დაფინანსების გამჭირვალედ გამოყოფის საკითხს.

#### **ბიბლიოგრაფია:**

1. Nugent, N. (2004) European Union Enlargement. Basingstoke: Palgrave Macmillan
2. Crampton R.J. 1997. Eastern Europe in the Twentieth Century - and After, New York: Routledge
3. European Union Economics, Theo Hitiris, FT Prentice Hall, 5-th edition
4. European Integration 1950-2003. Superstate or New Market Economy? John Gillingham, Cambridge, 2003
5. The Economics of Europe and EU, Larry Ned, Cambridge Un.pr., 2007
6. The Economics of EU: Policy and Analysis, Forth Edition, Edited by Mike Artis and Frederick Nixon, Oxford Un. Press, 2007
7. European Union Economics. 5-th Edition, Theo Hitiris, Printice Hall/Financial time

*ვებ-რესურსები:*

<http://www.petersoninstitute.org>

[www.europa.eu](http://www.europa.eu)

[www.eu-integration.gov.ge](http://www.eu-integration.gov.ge)

[www.euractive.com](http://www.euractive.com)

[www.euobserver.com](http://www.euobserver.com)

[www.geplac.org](http://www.geplac.org)

<http://www.crrccenters.org/>

[http://ec.europa.eu/taxation\\_customs/taxation/gen\\_info/info\\_docs/tax\\_inventory/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/taxation_customs/taxation/gen_info/info_docs/tax_inventory/index_en.htm)

*დავალეზები სემინარული მუშაობისათვის*

1. ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის საფუძველზე განიხილეთ ინტეგრაციის მიზნები, პოლიტიკა და ეფექტები სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების პოზიციებიდან:
  - ინტეგრაციის გავლენა კონკურენციაზე, ეკონომიკურ ზრდაზე და საერთაშორისო ვაჭრობაზე;
  - ფაქტორთა მობილობის შედეგები ინტეგრაციის პირობებში: რეგიონული და საერთაშორისო დონეები;
  - პროტექციონიზმის და ლიბერალიზაციის შედარებითი ანალიზი;
2. გაანალიზეთ და შეაჯამეთ ევროკავშირის ევოლუციის დადებითი და უარყოფითი ასპექტები
  - შეისწავლეთ ევროკავშირის ეკონომიკის დინამიკა და ტენდენციები მისი დაფუძნებიდან დღემდე;

- განიხილეთ ევროკავშირის საქონლის და წარმოების ფაქტორთა ბაზრების განვითარების პრობლემები;
  - გაანალიზეთ ევროკავშირის მმართველობითი სტრუქტურების ფუნქციები და პრობლემები.
- 3. გაანალიზეთ და შეაჯამეთ ლისაბონის ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები: მოთხოვნები და შედეგები**
- განახორციელეთ ლისაბონის ხელშეკრულების ძირითადი პუნქტების შედარებითი ანალიზი რეალურ შედეგებთან მიმართებაში;
  - ახსენით ევროკავშირის პერსპექტივა მის ძირითად კომპეტენციებთან მიმართებაში.

*კვლევები და მონაცემთა წყაროები:*

ევროკავშირის ოფიციალური საიტი: [http://europa.eu/index\\_en.htm](http://europa.eu/index_en.htm)

ევროკომისიის ოფიციალური საიტი: [http://ec.europa.eu/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/index_en.htm)

ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი ჩეხეთში: <http://www.europeum.org/en/>

[ვიშეგრადის ქვეყნების თანამშრომლობის პლატფორმა: http://www.visegradgroup.eu/](http://www.visegradgroup.eu/)

სლოვაკეთის ატლანტიკური კომისია: <http://www.ata-sac.org/index.php?cmd=>

ანალიტიკური პუბლიკაციები-„ვიშეგრადის მიმოხილვა“ და „ვიშეგრადის პერსპექტივა“: <http://visegradinsight.eu/>

## **6. ვიშეგრადის ქვეყნების მიმოხილვა**

## 6.1 ვიშეგრადის ჯგუფი: ცნება, ისტორია

ვიშეგრადის ჯგუფი შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც საშინაო და საგარო საკითხებში რეგიონალური თანამშრომლობის მექანიზმი ცენტრალური ევროპის ოთხ ქვეყანას უნგრეთს, ჩეხეთსა, სლოვაკეთსა და პოლონეთს შორის. თანამშრომლობის ეს მექანიზმი შექმნილ იყო კომუნიზმის მემკვიდრეობის დასაძლევად და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისათვის საჭირო რეფორმების მხარდაჭერისათვის. ინტეგრაციის პროცესების დაჩქარებისათვის არჩეულ იქნა რეგიონალური თანამშრომლობის მექანიზმი, გამომდინარე იქედან, რომ ოთხივე ქვეყანას მეტნაკლებად მსგავსი სასტარტო პირობები გააჩნდა. 1989 წლის მოვლენების შემდგომ, როცა მოხდა ტოტალიტარული რეჟიმის ნგრევა, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და უნგრეთის თანამშრომლობის სამეული რეგიონული თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითად იქცა. 2004 წელს უკვე ვიშეგრადის ოთხეული ევროკავშირის წევრები გახდნენ.

ვიშეგრადის ჯგუფის ისტორია ჯერ კიდევ 1335 წლიდან იწყება, როდესაც ბოჰემიის, უნგრეთის და პოლონეთის მეფეები ვიშეგრადში<sup>1</sup> შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს სამ სამეფოს შორის ურთიერთობების განმტკიცება. უფრო თანამედროვე ისტორია კი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ვლაცლავ ჰაველის ინიციატივით იწყება, როცა ამ ქვეყნების ხელმძღვანელებმა ჩაატარეს სამიტები ბრატისლავაში (აპრილი 1990), ვიშეგრადში (თებერვალი 1991), კრაკოვში (ოქტომბერი 1991) და პრაღაში (მაისი 1992). ოფიციალურად ვიშეგრადის ჯგუფი შეიქმნა 1991 წლის 15 თებერვალს „ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე უნგრეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთსა და პოლონეთს შორის თანამშრომლობის შესახებ დეკლარაციის ხელმოწერით“. შეხვედრას, რომელიც უნგრეთის ქალაქ ვიშეგრადში შედგა, ესწრებოდნენ ჯოზეფ ანტალი უნგრეთის პრემიერ მინისტრი, ლებ ვალენსა - პოლონეთის პრეზიდენტი და ვლაცლავ ჰაველი - ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი.

1993 წლის 1 იანვრიდან, მას შემდეგ რაც ჩეხოსლოვაკია ორ დამოუკიდებელ ქვეყანად გაიყო, ვიშეგრადის სამკუთხედი (ბუდაპეშტი, პრაღა და ვარშავა) ვიშეგრადის ოთხეულად იქცა. დეკლარაციაში განისაზღვრა ვიშეგრადის ჯგუფის ძირითადი მიზნები:

<sup>1</sup>ვიშეგრადი (უნგრ. *Vyšehrad*) — ისტორიული მნიშვნელობის ციხე სოფელი პეშტის მედიეში, უნგრეთში.

- სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და თავისუფლების სრულად აღდგენა;

- ტოტალიტარული სისტემის ყველა არსებული სოციალური, ეკონომიკური და მენტალური ასპექტის აღმოფხვრა;

- საპარლამენტო დემოკრატიის და სახელმწიფო სამართლის მშენებლობა, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების პატივისცემა;

- თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის შექმნა;

- სრული ჩართულობა ევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში, ასევე უსაფრთხოებისა და საკანონმდებლო სისტემაში.

ორგანიზაციული სტრუქტურის თვალსაზრისით თანამშროლობის ფორმად რეგულალური შეხვედრები და საერთო სტრატეგიების დასახვა იქცა პრემიერ-მინისტრებისა და მინისტრების დონეზე. ამ მიზნით ოთხივე ქვეყნის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე შეიქმნა ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი, რომლის ძირითადი მიზანი რეგიონული მასშტაბის პროექტების დაფინანსებაა. ფაქტობრივად ვიშეგრადის თანამშრომლობა არ არის ინსტიტუციონალიზებული რაიმე ფორმით. ის ემყარება მისი წარმომადგენლების პერიოდულ შეხვედრებს სხვადასხვა დონეზე. პრემიერ მინისტრის ოფიციალური შეხვედრა ყოველწლიურად ეწყობა. სამიტებს შორის საპრეზიდენტო პოზიცია აქვს ამ ოთხი ქვეყნიდან ერთ ერთს, რომელიც პასუხისმგებელია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

მიუხედავად საერთო რეგიონალური თანამშრომლობისა და განვითარების მსგავსი სტრატეგიების არჩევისა, ვიშეგრადის ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც სახელმწიფოს ზომებით, ასევე მოსახლეობის ოდენობებით, ეთნიკური კომპოზიციითა და სხვა რიგი მაჩვენებლების მიხედვით.

---

## 6. 2. ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკა

2004 წელს ვიშეგრადის ქვეყნების შესვლა ევროკავშირში დაკავშირებული იყო გარკვეულ ხარჯებსა და სარგებელთან. ძირითადი სარგებელი მდგომარეობდა შემდეგში:

- შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ევროკავშირის გლობალურ ბაზარზე;
- აუმჯობესებული საინვესტიციო გარემო და დაბალი რისკი. ევროკავშირის წევრობა ვიშეგრადის ქვეყნებს უფრო მიმზიდველს ხდის, ეკონომიკური პერსპექტივის და საინვესტიციო რისკის თვალსაზრისით;
- ვიშეგრადის ქვეყნების მოქალაქეებისათვის ევროკავშირის შრომის ბაზრის გახსნა; შეუზღუდავი შრომითი მობილურობა დადებით გავლენას მოახდენს ვიშეგრადის ქვეყნების შრომის ბაზრებზე, რაკი ხელს შეუწყობს შრომით მიგრაციას და შეამცირებს უმუშევრობას;
- ხელმისაწვდომობა ტრანსფერებზე ევროკავშირის სტრუქტურული და დაახლოების ფონდებიდან.

მნიშვნელოვანი განსხვავება ვიშეგრადის ცალკეულ ქვეყნებს შორის უკავშირდება მათ პრესოციალისტურ ეკონომიკურ განვითარებას. უნგრეთის, სლოვაკეთის და პოლონეთის ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირთან ეკონომიკურ ინტეგრაციაზე. საპირისპიროდ, ჩეხეთი ტრადიციულად დასავლეთ ევროპასთან ეკონომიკურ ურთიერთობაზე იყო ორიენტირებული. ვიშეგრადის ქვეყნები იყვნენ გარდამავალი ეკონომიკის ყველაზე განვითარებული ქვეყნები და გაცილებით უკეთესი საწყისი პოზიცია ჰქონდათ. ვიშეგრადის ყველა ქვეყანამ დაახლოებით ერთი და იგივე დრო - 41- 42 წელი გაატარა კომუნისტურ რეჟიმში.

მას შემდეგ რაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გააცნობიერეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მნიშვნელობა ვიშეგრადის ქვეყნებისათვის, ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ევროკავშირი ახლა ვიშეგრადის ქვეყნების ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. ვიშეგრადის ქვეყნების გახსნილობა და მათი ვაჭრობის რეორიენტაცია

ევროკავშირის მიმართულებით, ხაზს უსვამს ევროკავშირთან ინტეგრაციით მისაღებ შესაძლო სარგებელს.

ცხრილი 1 საწყისი პირობები: პერიოდი 1989-90<sup>2</sup>

	ჩეხეთის რესპუბლიკა	სლოვაკეთი	უნგრეთი	პოლონეთი	საშუალო <sup>3</sup>
მოსახლეობა(მილიონი)	10.3	5.4	10.0	38.7	15.9
მანძილი ბრიუსელიდან(კმ)	913	1223	1412	1338	2992
მთლიანი ეროვნული პროდუქტი, 1989.(მსყიდველობითი პარიტეტის მიხედვით, აშშ დოლარებში)	8600	7600	6810	5150	5593
კომუნისტური მმართველობის წლები	42	42	42	41	57
სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ოდენობა	11	12	15	27	21
მრეწველობაში დასაქმებულთა ოდენობა	45	32	38	36	38

1990-იანი წლების დასაწყისში(ტრანსფორმაციის პერიოდის დასაწყისი) ვიშეგრადის ოთხივე ქვეყნის ეკონომიკური ზრდა დაბალი იყო. რეცესიის ფაზა ვიშეგრადის ქვეყნებში ინდივიდუალური თავისებურებებით გამოირჩეოდა, ჩეხეთის რესპუბლიკაში ეს იყო 1997-1998 წლები ხოლო სლოვაკეთში ვარდნა იყო 1999 - 2000 წლებში და პოლონეთში 2001 - 2002 წლებში.

<sup>2</sup> Fidrmuc, J. –Fidrumc, J. –Horvath, J. The Constraints of the Growth in Visegrad Countries, Wolrd Bank Research Project: Determinants of Economic Growth, in Global Development Network, 2003

<sup>3</sup> 25 გარდამავალი ქვეყნის ეკონომიკის მიხედვით, ვიშეგრადის ქვეყნების ჩათვლით

ცხრილი 2. რეალური მშპ-ს ზრდის ტემპები ვიშეგრადის ქვეყნებსა და ევროკავშირში 1999-2009 წლებში<sup>4</sup>

	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
ევროკავშირი	3.0	3.9	2.0	1.2	1.3	2.5	2.0	3.1	2.9	0.9	-4.2
ჩეხეთი	1.3	3.6	2.5	1.9	3.6	4.5	6.3	6.8	6.0	3.2	-4.8
უნგრეთი	4.2	5.2	4.1	4.4	4.3	4.7	3.9	4.0	1.2	0.6	-6.5
პლონეთი	4.0	4.3	1.2	1.4	3.9	5.3	3.6	6.2	6.6	5.0	1.7
სლოვაკეთი	0.0	1.4	3.4	4.8	4.7	5.2	6.5	8.5	10.4	6.4	-5.8

ისტორიული ფაქტები ასახულია ეკონომიკის ზოგად განვითარებაში და როგორც მშპ-ს მოცულობის დინამიკაში ვხედავთ ვიშეგრადის ოთხეულის ეკონომიკა სწორი მიმართულებით მიდის. ყველაზე აშკარა სლოვაკეთის მშპ-ს ზრდაა. 1999 წელს ზრდა შეჩერდა და 2002 წელს გაგრძელდა 4,8%-ით და მცირედ გაუსწრო უნგრეთს, რომლის მაჩვენებელი იყო 4,4%. 2004 წელს სლოვაკეთმა უჩვენა 5.2%-იანი ზრდა და მხოლოდ 0,1%-ით ჩამორჩა პოლონეთს. არა ერთმა ინდიკატორმა უჩვენა, რომ აღნიშნული წლიდან სლოვაკეთი იყო ქვეყანა, სადაც ზრდა მნიშვნელოვნად დაჩქარდა. 2007 წლამდე სლოვაკეთმა 0,4%-იან ეკონომიკურ ზრდას მიაღწია და ოთხეულს შორის მისი ეკონომიკა ყველაზე ძლიერი გახდა. 2007 წელს ძლიერი ეკონომიკის თვალსაზრისით მეორე პოზიციაზე პოლონეთი იყო, მშპ-ს ზრდის 6,6%-იანი ზრდის ტემპით. უნგრეთში მშპ-ს ზრდა ყველაზე დაბალი იყო, მხოლოდ 1,2%, რითაც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, რომელიც 2007 წელს 2,9%-ს შეადგენდა. 2008 წელს სიტუაცია შეიცვალა. ამერიკის ფინანსურმა კრიზისმა არა მხოლოდ ვიშეგრადის ოთხეულის ეკონომიკური აქტივობის შემცირება გამოიწვია, არამედ მთელ ევროკავშირზე მოახდინა გავლენა.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი სრულად შეეხო სლოვაკეთს, 2008 – 2009 წლებში. სლოვაკეთის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით მესამე კვარტალში შემცირდა

<sup>4</sup> წყარო: ევროსტატი: <http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/eurostat/home/>

მთლიანი შიდა პროდუქტი- მუდმივ ფასებში შემცირდა 4,9%-ით. მიმდინარე ფასებში შემცირება 5,6%-ს შეადგენდა. 2009 წლის მესამე კვარტალში მშპ-მ მუდმივ ფასებში მიაღწია 12051 მილიარდ ევროს, რაც 2008 წლის მესამე კვარტალთან შედარებით 5%-ით დაბალია. 2009 წლის მესამე კვარტალში ჩეხეთის რესპუბლიკის მშპ 4,1%-ით შემცირდა.

უნგრეთმა კრიზისი ოთხეულს შორის ყველაზე მძიმედ გადაიტანა. ეკონომიკის რეცესია, რომელიც ყველაზე მძიმე იყო გასული 18 წლის განმავლობაში სწორედ 2009 წლის მესამე კვარტალს დაემთხვა.

ცხრილი 3. უმუშევრობა პროცენტებში<sup>5</sup> (სულ)

	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
ევროკავშირი				8.7	8.5	8.9	9.0	9.1	8.9	8.2	7.1	7.0	8.9
ჩეხეთი	4.8	6.4	8.6	8.7	8.0	7.3	7.8	8.3	7.9	7.2	5.3	4.4	6.8
უნგრეთი	9.0	8.4	6.9	6.4	5.7	5.8	5.9	6.1	7.2	7.5	7.4	7.8	10.8
პლონეთი	10.9	10.2	13.4	16.1	18.3	20.0	19.7	19.0	17.8	13.9	9.6	7.1	8.2
სლოვაკეთი	12.4	12.6	16.4	18.8	19.3	18.7	17.6	18.2	16.3	13.4	11.1	9.5	11.9

ცხრილში 3. წარმოდგენილი უმუშევრობის დონეების შედარება ხაზს უსვამს ფაქტს, რომ ეს ინდიკატორი განსაკუთრებით პრობლემატურია სლოვაკეთისა და პოლონეთისათვის.

ორივე ქვეყანაში უმუშევრობის საშუალო დონე დიდი ხნის მანძილზე ორნიშნა ციფრით იყო გამოხატული და ევროკავშირში ყველაზე მაღალ მაჩვენებლს წარმოადგენდა.

ჩეხეთის რესპუბლიკასა და უნგრეთში უმუშევრობა დიდი ხნის განმავლობაში საშუალოდ 7%-ს შეადგენდა.

უმუშევრობის მაღალი დონის ტენდენცია 2004 წლის დასაწყისამდე შენარჩუნდა, როდესაც სლოვაკეთი ევროკავშირში შევიდა. ახალი სამუშაო ადგილების შექმნამ და ეკონომიკურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო უმუშევრობის შემცირებას.

<sup>5</sup> წყარო: ევროსტატი-<http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/eurostat/home/>

ცხრილი 4. სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსები (HICP, ყველა საქონელი)<sup>6</sup> - ინფლაციის საშუალო წლიური დონე %

	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
ევროკავშირი	1.7	1.3	1.2	1.9	2.2	2.1	2.0	2.0	2.2	2.2	2.3	3.7	1.0
ჩეხეთი	8.0	9.7	1.8	3.9	4.5	1.4	-0.1	2.6	1.6	2.1	2.0	6.3	0.6
უნგრეთი	18.5	14.2	10.0	10.0	9.1	5.2	4.7	6.8	3.5	4.0	7.9	6.0	4.0
პლონეთი	15.0	11.8	7.2	10.1	5.3	1.9	0.7	3.6	2.2	1.3	2.6	4.2	4.0
სლოვაკეთი	6.0	6.7	10.4	12.2	7.2	3.5	8.4	7.5	2.8	4.3	1.9	3.9	0.9

ვიშეგრადის ქვეყნების ინფლაციის დონეების შედარება უჩვენებს მსგავსებას პოლონეთსა და უნგრეთს შორის. ეს დაკავშირებულია დეველვაციის მართვის შერჩეული სავალუტო კურსის რეჟიმთან. ორივე ქვეყანაში ინფლაცია ორნიშნა რიცხვით იყო გამოხატული, მაგრამ დროთა განმავლობაში ახერხებდნენ შემცირებას. პოლონეთმა 1999 და უნგრეთმა 2001 წელს მიაღწიეს ინფლაციის ერთნიშნა მაჩვენებლს. სავალუტო პოლიტიკის ჩარჩოს ცვლილებამ ინფლაციისთვის, ხელი შეუწყო ინფლაციის დონის შემცირებას ოთხივე ქვეყანაში.

სლოვაკეთმა გაატარა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები 1993 წელს ჩეხეთის რესპუბლიკისაგან გამოყოფის შემდეგ. საგადასახადო, საპენსიო, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო სლოვაკეთს ბიუჯეტის კონსოლიდირებასა და 2004 წელს ევროკავშირში გაწევრიანებაში. 2009 წელს სლოვაკეთმა მიიღო ევროკავშირის სავალუტო სისტემა - ევროს სახით და გახდა ევროზონის წევრი.

უცხოური ინვესტიციები საკმაოდ მაღალი იყო განსაკუთრებით ავტომობილებისა და ელექტრონულ სექტორში. სლოვაკეთის ეკონომიკურმა ზრდამ მოლოდინს გადააჭარბა

2001 – 2008 წლებში, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა. გლობალური ეკონომიკური ვარდნა მოიცავს მთავრობის მნიშვნელოვან ინტერვენციებს და სტრატეგიული

<sup>6</sup> წყარო: ევროსტატი <http://epc.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/eurostat/home/>

კომპანიების ნაციონალიზაციას. 2009 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 5%-ზე მეტით შემცირდა, ხოლო უმუშევრობამ 11%-ს გადააჭარბა, რადგან გლობალურმა რეცესიამ სლოვაკეთის ეკონომიკის ბევრ სექტორზე მოახდინა გავლენა.

უნგრეთი ცენტრალიზებულად დაგეგმილი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდა, ერთ სულზე დაახლოებით ევროკავშირის საშუალოს ერთი მესამედით. კერძო სექტორი მშპ-ს დაახლოებით 80%-ს შეადგენს. უნგრეთში გავრცელებულია კომპანიების უცხოელების მიერ ფლობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ინტენსიური შემოდინება. ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა მშპ-ს 9%-ზე მეტით 2006 წელს და 3,3%-ით 2008 წელს. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა, ექსპორტის შემცირებამ და დაბალმა შიდა მოხმარებამ, ასევე ფიქსირებული აქტივების დაგროვებამ უარყოფითად იმოქმედა უნგრეთის ეკონომიკაზე.

ჩეხეთის რესპუბლიკა ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და აყვავებული ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ღია საინვესტიციო კლიმატი ჩეხეთის ცენტრალიზებულიდან დაგეგმილიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთ ერთი ძირითადი ელემენტი იყო. როგორც ევროკავშირის წევრი 2004 წლიდან, შედარებით დაბალი ფასების სტრუქტურით და კვალიფიციური მუშახელით, ჩეხეთი მიმზიდველია ინვესტიციებისათვის. ექსპორტით ამოძრავებული ჩეხეთის ეკონომიკა ყოველწლიურად 6%-ით იზრდებოდა 2005 – 2007 წლებში, ხოლო

2008 წელს 2,5%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, რეალური ეკონომიკური ზრდა შემცირდა 4,8%-ით 2009 წელს, ძირითადად გარე მოთხოვნის შემცირების გამო, რადგან ჩეხეთის საექსპორტო ბაზრები გლობალური კრიზისით გამოწვეულ რეცესიას განიცდიდნენ.

2009 წლამდე პოლონეთის ეკონომიკური ზრდა ყოველწლიურად დაახლოებით 5%-ს შეადგენდა, კერძო მოხმარების ზრდის, კორპორაციული ინვესტიციების და ევროკავშირის დაფინანსების წყალობით. ერთ სულზე მშპ კიდევ ბევრით ჩამორჩება ევროკავშირის საშუალოს. 2004 წელს ევროკავშირში გაწევრიანებამ და ევროკავშირის სტრუქტურულ ფონდებზე ხელმისაწვდომობამ ხელი შეუწყო ეკონომიკის ზრდას. 2008 წელს უმუშევრობა სწრაფად შემცირდა 7%-მდე, 2010 წლის იანვრისათვის ისევ გაიზარდა 9%-მდე, მაგრამ იგი ევროკავშირის საშუალოზე დაბალია.

ცხრილი 5 . ვიშეგრადის ქვეყნების ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, (წყარო: Central Intelligence Agency: The World Factbook <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/index.html>).

ქვეყანა	მთლიანი შიგა პროდუქტი (მრლ. დოლარებში, 2012 წ.)	ეკონომიკური ზრდა(რეალური ზრდა)	მშპ ერთ სულზე(2012 წლის აშშ დოლარებში)	უმუშევრობის დონე(2012 წელი)	ეკონომიკის სტრუქტურა(მშპ-ს სექტორების მიხედვით) 2012 წ.	დარგობრივი სტრუქტურა
პოლონეთი	470.4	2% (2012) 4.3% (2011) 3.9% (2010)	\$21,000 (2012) \$20,500 (2011) \$19,700 (2010)	12.6%	სოფლის მეურნეობა: 3.5% მრეწველობა: 34.2% მომსახურების სექტორი: 62.3%	
ჩეხეთი	193.5	-1% (2012) 1.7% (2011) 2.7% (2010)	\$27,200 (2012) \$27,500 (2011) \$27,100 (2010)	8.6%	სოფლის მეურნეობა: 1.8% მრეწველობა: 39.6% მომსახურების სექტორი: 58.6%	
სლოვაკეთი	134.1	2% (2012) 3.2% (2011) 4.4% (2010)	\$24,600 (2012) \$24,200 (2011) \$23,500 (2010)	13.6%	სოფლის მეურნეობა: 3.8% მრეწველობა: 37% მომსახურების სექტორი: 59.2%	
უნგრეთი	128.8	-1.7% (2012) 1.7% (2011) 1.3% (2010)	\$19,800 (2012) \$19,900 (2011) \$19,500 (2010)	11.2%	სოფლის მეურნეობა: 4.5% მრეწველობა: 27.2% მომსახურების სექტორი: 68.3%	

ვიშეგრადის ოთხივე ქვეყნის შემთხვევაში ეკონომიკის სტრუქტურა ძირითადად წარმოდგენილია მომსახურების სექტორით, საშუალოდ ეკონომიკების დარგობრივი სტრუქტურის 62, 1 % მოდის მომსახურების სექტორზე, მრეწველობის მიერ გამოშვებულ


პროდუქციაზე 24, 6 % მოდის, ხოლო სოფლის მეურნეობაზე საშუალოდ 3,4 %. (იხ. ცხრილი 5).

ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ოდენობით ვიშეგრადის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე ჩეხეთია, რომელსაც სლოვაკეთი, პოლონეთი და ბოლოს უნგრეთი მოსდევს. 2012 წლის მონაცემების მიხედვით ვიშეგრადის ოთხ ქვეყანას შორის არსებული მაქსიმალური განსხვავება ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მიხედვით საშუალოდ 6000 დოლარია. ამ კუთხით ყველაზე მცირე მაჩვენებლით უნგრეთი გამოირჩევა (2012 წლისათვის 19.800 აშშ დოლარი). ეკონომიკური ზრდის ტემპების მიხედვით, ეკონომიკის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2010-2012

წლებში დაფიქსირდა სლოვაკეთში 2010 წლისათვის - 4.4 %, ეკონომიკის ზრდის უარყოფითი ტემპები მხოლოდ ჩეხეთსა და უნგრეთში დაფიქსირდა 2012 წლისათვის - 1% და - 1.7 %-ის ოდენობით.

ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის განხილვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკების დარგობრივი სტრუქტურა მსგავს კომპოზიციას იმეორებს, მაგრამ ჯერ კიდევ რჩება მნიშვნელოვანი განსხვავებები ისეთი სოციალური ინდიკატორების მიხედვით, როგორცა უმუშევრობის დონე. ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე 2012 წლისათვის პოლონეთსა და სლოვაკეთში აღირიცხა(იხ. ცხრილი 5). რაც შეეხება ვიშეგრადის ქვეყნების კლასიფიკაციას მშპ-ის ოდენობის მიხედვით(2012 წლისათვის), იგი შემდეგნაირად გამოიყურება:

*დიაგრამა 1. ვიშეგრადის ქვეყნები მშპ-ის ოდენობის მიხედვით(2012 წლის მონაცემები, მლდ. აშშ. დოლარებში):*



## 7. საერთაშორისო ვაჭრობის საკითხები ვიშეგრადის ქვეყნებში

ქვეყნებს შორის რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი საგარეო ვაჭრობის განვითარებაა. ამ მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობა შესაძლებელია განვიხილოთ როგორც პოლიტიკური ნებისა და ეკონომიკური ინტერესების პრაქტიკაში რეალიზების საშუალება. ვიშეგრადის ქვეყნების შემთხვევაში, საბაზრო პრინციპებზე და საბაზრო ინსტიტუტებზე დაფუძნებული ვაჭრობის განვითარება მხოლოდ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. რეგიონის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების რეგულირების სხვადასხვა ინსტიტუციური მექანიზმები არსებობდა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან. თანამედროვე ეტაპზე რეგულირების ამ ინსტიტუციური მექანიზმებიდან პრაქტიკაში დარჩა მათგან ყველაზე ეფექტური მექანიზმი, ევროკავშირის ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპის შესაბამისი.

1190-იან წლებამდე რეგიონის ქვეყნებს შორის ვაჭრობის საკითხები რეგულირდებოდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მიერ (COMECON- The Council for Mutual Economic Assistance, შეიქმნა 1949 წელს). აღნიშნული ინსტიტუციური მექანიზმი, ისევე როგორც მონაწილე ქვეყნების ეკონომიკები არ ეფუძნებოდა საბაზრო პრინციპებს, ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობის საკითხები რეგულირდებოდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მიდგომის ფარგლებში. ეკონომიკური ურთიერთობები ეფუძნებოდა კონტროლირებად სავალუტო კურსებს, განსაზღვრულ ესპორტ-იმპორტის ფასებს და ა.შ.. სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების აღნიშნული მექანიზმის საბოლოო არაეფექტურობა დადასტურდა ამავე ქვეყნებში გეგმური ეკონომიკური სისტემების კოლაფსით და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ისტორიული პროცესებით.

1994 წლისათვის შეიქმნა ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ზონა (CEFTA-Central European Free Trade Agreement), რომლის შემადგენლობაშიც თავდაპირველად შედიოდნენ ვიშეგრადის ქვეყნები, მოგავინებით მათ შეურთდა რუმინეთი და ბულგარეთი<sup>2</sup>.

1980-იანი წლების დასასრულს, ეკონომიკური ურთიერთდახმარების კავშირის წევრებმა ერთმანეთში საერთო შიდა პროდუქციის 40-50%-დან 75%-მდე (რუმინეთის შემთხვევაში)

---

<sup>2</sup> ქვეყნები, რომლებიც გახდნენ ევროკავშირის წევრები დატოვეს აღნიშნული სავაჭრო კავშირი. ამჟამად ამ კავშირის წევრები არიან: ალბანეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მაკედონია, მოლდოვეთი, მონტენეგრო, სერბეთი, გაეროს მისია კოსოვოში (როგორც კოსოვოს წარმომადგენლობა).

ივაჭრეს<sup>3</sup>. მიუხედავად ამისა, საგარეო ვაჭრობის განვითარება არ იყო ოპტიმალური, რაც განპირობებული იყო სტანდარტული ეკონომიკური აგენტების დონეზე სპეციალიზაციის სტრუქტურის განსაზღვრული მექანიზმის ნაკლებობით. საბაზრო მექანიზმი ჩანაცვლებულ იქნა მაკრო დონეზე ბიუროკრატიული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებით. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი პრობლემა, რომელიც სავაჭრო ბალანსა და ზრდას შეეხებოდა, შორეულ პერსპექტივაში აუცილებლად უნდა დამდგარიყო.

საბჭოთა კავშირის ბლოკის დაშლის შემდეგ, ეკონომიკური ურთიერთდახმარების კავშირის ყველა ქვეყანამ დაიწყო კონტროლირებადი და მართვადი რეჟიმებიდან გადასვლა საბაზრო ინსტიტუტებზე დაფუძნებულ ეკონომიკებზე, რომელიც განისაზღვრება მიწოდებისა და მოთხოვნის ძალებით და არა ბიუროკრატიული ცენტრალური დაგეგმარებით. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მათი განვითარების ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებდა კონვერტირებადი სავალუტო სისტემა ან კონკურენციული ფასები. სახელმწიფო დამგეგმარებლებს შეეძლოთ ექსპორტის ფასების შემცირება გაყიდვების სტიმულირების მიზნით, თუმცა, ეს ავტომატურად არ მოქმედებდა იმპორტზე. მათ ასევე ადვილად შეეძლოთ გაეკონტროლებინათ მოხმარება, ვინაიდან პირდაპირი კონტროლი გააჩნდათ ხელფასებზე, დასაქმებასა და ფასებზე<sup>4</sup>.

ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ზონა დაარსდა 1994 წელს და მასში თავდაპირველად ვიშეგრადის ოთხი ქვეყანა იყო გაერთიანებული. მოგვიანებით მას შეურთდა მოლდოვა, რუმინეთი და ბულგარეთი. დამფუძნებელმა წევრებმა ევროკავშირში გაერთიანების შედეგად 2004 წელს დატოვეს კავშირი.

#### ჩეხეთი

ჩეხეთის რესპუბლიკა ვიშეგრადის ქვეყნებს შორის ყველაზე მეტად არის დასავლური ორიენტაციის ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. იგი მდებარეობს ევროკავშირის შუაგულში და მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ესაზღვრება. განვითარებულ ეკონომიკებთან სიახლოვე ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ჩეხეთის საშუალო დონეზე უფრო მეტად განვითარებული ეკონომიკური

<sup>3</sup> WINIECKI, J. Transition Economies and Foreign Trade. Rout- ledge, 2002

<sup>4</sup> POZNANSKI, K.Z. Poland's Protracted Transition. Cambridge: Cambridge University Press, 1996

განვითარებისათვის. დღესდღეობით, ჩეხეთი ხშირად ხასიათდება როგორც გარდამავალი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული შემთხვევა. მიუხედავად ჩეხოსლოვაკიის დაშლასთან დაკავშირებული ხარჯებისა (1992-1993 წლებში), ჩეხეთის მთავრობამ, 1989 წლის ნოემბრის ხავერდოვანი რევოლუციის შემდგომ ადრეულ პოსტ-კომუნისტურ პერიოდში სწრაფად მოახერხა განეხორციელებინა ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები. ძლიერი ეკონომიკური რეფორმები, ისეთები როგორცაა, მასობრივი პრივატიზაცია და საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია.

შვეინარმა და უვალიკმა თავიანთ კვლევაში <sup>5</sup> (2009) ყურადღება მიაპყრეს 1989 წელს ვიშეგრადის ეკონომიკების მდგომარეობაზე. ჩეხოსლოვაკეთი ამ პერიოდისათვის მათ დაახასიათეს როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ყველაზე ნაკლებად რეფორმირებული ქვეყანა და პოლონეთსა და უნგრეთთან შედარებით უფრო ნაკლებგანვითარებული საბაზრო ეკონომიკა. ქვეყანას გააჩნდა საჯარო სექტორის ყველაზე მაღალი წილი (წმინდა ეროვნული პროდუქტის 97%). ეკონომიკა კონცენტრირებული იყო მონოპოლისტურ ფირმებს შორის და იგი წარმოადგენდა სხვა საბჭოთა ქვეყნებზე ყველაზე დამოკიდებულ ეკონომიკას. ეკონომიკური ურთიერთდახმარების კავშირის ქვეყნებს შორის მოქმედებდა ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებების გართულებული სისტემა, რომელიც არაკონვერტირებად ვალუტაზე იყო დაფუძნებული. ცენტრალური და აღმოსავლურ ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავდებით, რომლებიც უკვე 1980-იან წლებში ჰიპერინფლაციის გამოწვევის პირისპირ იდგნენ, ჩეხოსლოვაკიას, გარდამავალი პერიოდის ადრეულ წლებში შედარებით უფრო ზომიერი ინფლაცია შეეხო და ჩეხოსლოვაკიის ბიუჯეტის დეფიციტი და უმუშევრობა ასევე დაბალი იყო.

1993 წლიდან 1999 წლამდე ჩეხეთის რესპუბლიკამ ევროკავშირში იმპორტი გაზარდა 8 მილიარდი აშშ დოლარიდან 18.4 მილიარდ აშშ დოლარამდე. აღნიშნული ზრდა მოიცავდა 16.3% საშუალო წლიური ზრდის ტემპს, მაშინ როდესაც ჩეხეთის ექსპორტი მსოფლიოს დანარჩენ ქვეყანაში წლიური ზრდის საშუალო მაჩვენებელს – 4% შეადგენდა. ვაჭრობის ლიბერალიზაციამ ჩეხ ექსპორტიორებს უზარმაზარი შესაძლებლობები მისცა. ზემოთხსენებული ავტორები 1990-იან წლებში საგარეო ვაჭრობის ამ გასაკვირად ჩქარ ტემპს ჩეხეთის ეკონომიკური გარდაქმნისათვის გარდამტეხ მომენტად თვლიან.

---

<sup>5</sup> SVEJNAR, J. and UVALIC, M. The Czech Transition, Research Paper No 2009/17, United Nation University, March 2009

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ჩეხური იმპორტი და ექსპორტი მთლიანობაში თითქმის 500 პროცენტით გაიზარდა.

საგადამხდელო ბალანის დადებითი სალდო აღრიცხულ იქნა 1991 წელს, თუმცა, უკვე ერთი წლის შემდეგ ბალანსის დეფიციტი დაფიქსირდა. აღნიშნული გამოწვეული იყო პოლიტიკური მდგომარეობის მოსალოდნელი არასტაბილურობითა და საგადასახადო რეფორმის შედეგად დღგ-ს დაბეგვრის შემოღებით. იმპორტის წილი გაიზარდა წინასწარი მომარაგების სახით. მომდევნო წლებში ჩეხი მომხმარებლების მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა მხოლოდ ჩეხი მწარმოებლების მიერ და შესაბამისად საჭირო იყო მათი იმპორტით შევსება. ჩეხურმა ექსპორტ-იმპორტმა მიაღწია ზრდას მომდევნო წლებში ყოველწლიური მაჩვენებლების ზრდის შედეგად. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ 2002 წელი, ასევე 2004 წელი – რომელიც გამოირჩეოდა ექსპორტის ყველაზე მაღალი წლიური განხვავებით და 1995 წელი – იმპორტის ყველაზე მაღალი განსახვავებით. თუმცა, უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ჩეხეთის ბალანსის დეფიციტი ფიქსირდება.

ტერიტორიულად, ჩეხური ექსპორტი ურთიერთდახმარების კავშირის ყოფილი ქვეყნებიდან ძირითადად ევროკავშირის წევრ 15 ქვეყნისაკენ შეიცვალა. 1993 წლიდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი ჩეხური ექსპორტის 80 პროცენტს, ხოლო ჩეხური იმპორტის 70 პროცენტს შეადგენს. ამდენად, განვითარებული ქვეყნები, განსაკუთრებით გერმანია, შეადგენდა ჩეხური ექსპორტის ყველაზე ფართო ჯგუფს ექსპორტ-იმპორტისათვის, რომელსაც შემდგომ ევროპული გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებადი ქვეყნები მოსდევნენ. ჩინეთი წარმოადგენდა მნიშვნელოვან საიმპორტო პარტნიორს, რომელთან ურთიერთობა თანდათანობით გაიზარდა. მთლიანობაში, 2004 წლის შემდეგ ჩეხეთის რესპუბლიკისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ გერმანია, სლოვაკეთი, პოლონეთი და საფრანგეთი. ევროკავშირის ქვეყნებზე ჩეხეთის ექსპორტის 85 პროცენტზე მეტი, ხოლო ევროკავშირის გარეთ სხვა განვითარებულ ქვეყნებზე ექსპორტის 9 პროცენტზე მეტი შეადგენდა.

ისტორიულად ჩეხური ექსპორტი გადამუშავებული საქონლისაგან შედგებოდა. მანქანებისა და ტრანსპორტირების საშუალებების ექსპორტი გაიზარდა უკანასკნელი ათწლეულების

განმავლობაში, 1999 წელს ისინი ჩეხური მთლიანი ექსპორტის 43 პროცენტს შეადგენდა. მათი რაოდენობა გაიზარდა 1000 პროცენტით მოცემული პერიოდისათვის. ექსპორტის საქონლის სხვა მნიშვნელოვანი ჯგუფს წარმოადგენდა ქიმიკატები და სამომხმარებლო საქონელი, მაგალითად, ტექსტილი და ავეჯი, საწარმოო მოწყობილობები და სხვა ინდუსტრიული საქონელი. ასევე აღსანიშნავია ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან ჩეხეთის განადგურებულ სოფლის მეურნეობის სფეროში სუბსიდირებული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის თავისუფალი იმპორტის ეფექტი. 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში, მანქანები და სხვა სატრანსპორტო ტექნიკა წარმოადგენდა საექსპორტო პროდუქციის უდიდეს ჯგუფს (50 პროცენტი), რომელსაც შემდგომ მოყვებოდა მანუფაქტურული პროდუქცია (დაახლოებით 20 პროცენტი). ამ ორ ჯგუფზე ასევე მოდიოდა იმპორტის უდიდესი წილი.

#### სლოვაკეთი

სხვა გარდამავალი ეკონომიკების მსგავსად, 1989 წლის შემდგომ სლოვაკეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ვაჭრობას ახასიათებს ექსპორტ-იმპორტის მკვეთრი ზრდა, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფო მონოპოლიის მოხსნითა და მასობრივი ლიბერალიზაციით.

სლოვაკეთმა განიცადა ექსპორტის შედარებითი შემცირება 1996 წელს. შესაბამისად, ზრდადი საექსპორტო მაჩვენებელი ბალანსის დეფიციტის შემცირებასთან ერთად წარმოადგენდა 1998 წელს სლოვაკეთის ახალი მთავრობის უმთავრეს პრიორიტეტს. სტაბილიზაციის ახალი ზომები განხორციელდა 1999-2003 წლებში, კონკრეტულად კი, კორექტირებული ფასების ზრდა, არაპირდაპირი გადასახადების ზრდა, დღგ-ს ბაზა და იმპორტის მოსაკრებლის ხელახალი დანერგვა. მათი საერთო ამოცანა იყო საშინაო მოთხოვნის კლება და მაშასადამე, იმპორტის კლება. 1998 წელს ბალანსის მოკლევადიანი სტაბილიზაცია და 1990-იან წლებში გაზრდილი დეფიციტი გამოწვეული იყო მზარდი იმპორტით, ამავე დროს, ცალკეული მკვლევარები მიუთითებენ შედარებით სტაბილურ ექსპორტზე. ცალკეული მონაცემების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი აღემატებოდა სლოვაკეთის მთლიანი შიდა პროდუქტის კრიტიკულ 10 პროცენტთან ღირებულებას. უფრო მეტიც, სლოვაკეთის საგარეო ვალი 1990-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. დაახლოებით 2005 წლისათვის სლოვაკეთის ექსპორტის დინამიკას ახასიათებს შემცირების ტენდენცია, პროფიციტისა და დეფიციტის ბალანსის ტურბულენტური ცვლილებებით. 2006 წელს დაფიქსირდა ექსპორტ-იმპორტის ღირებულების მნიშვნელოვანი

ზრდა (შესაბამისად, ექსპორტის დაახლოებით 24% და იმპორტის დაახლოებით 22%). დეფიციტი გაიზარდა უცვლელად 2004-2007 წლებში. ალანსის დეფიციტი მკვეთრად გაიზარდა 2008 წელს. ამ წლის შემდეგ, ბალანსის დეფიციტი შედარებით შემცირდა და მისი სიჭარბე იქნა დაფიქსირებული 2009-2011 წლების პერიოდისათვის.

მანქანები და ელექტრონული მოწყობილობები წარმოადგენდნენ ახალი ქვეყნის საწყის ეტაპზე სლოვაკეთის ექსპორტის მნიშვნელოვან ნაწილს. მის დიდ ნაწილს შუალედური პროდუქცია შეადგენდა, რომელიც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ფასების ფაქტორზე. ასევე აღსანიშნავია, რომ რკინისა და ფოლადის ისტორიულად მნიშვნელოვანი წილი შემცირდა 1990-იან წლებში და ამავე დროს, თანამედროვე სექტორი, რომელსაც შეადგენდა აუდიო-ვიზუალური აღჭურვილობა და ავტომობილები, ექსპორტორებისათვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა. აღნიშნული ზრდა ძირითადად დაკავშირებული იყო ფოლკსვაგენ ბტრატისლავასთან, რომელიც სლოვაკეთის უდიდესი ექსპორტიორი გახდა. სოფლის მეურნეობის პროდუქტებმა შეადგინეს მთლიან ექსპორტში მხოლოდ დაახლოებით ოთხი პროცენტი. საავტომობილო ინდუსტრიამ დღემდე შეინარჩუნა წამყვანი პოზიცია. მეორე მხრივ, საავტომობილო ინდუსტრიის კომპონენტებმა შეადგინეს ახალ ქვეყანაში სლოვაკეთის იმპორტის უდიდესი წილი.

სლოვაკმა ექსპორტიორებმა სწავად მოახდინეს დასავლეთის ბაზრებზე გადასვლა. სლოვაკური ექსპორტის ძირითად ბლოკად (90 პროცენტი) ევროკავშირი და ცენტრალური ევროპის თავისუფალი სავაჭრო ზონა ჩამოყალიბდა (შემდგომში CEFTA). 1990-იან წლებში ექსპორტი ევროკავშირში გაორმაგდა, თუმცა ექსპორტი CEFTA-ის ქვეყნებში ასევე სტაბილურად იმავე ზომის იყო. ექსპორტის ყველაზე მეტად შემცირება ჩეხეთის რესპუბლიკასთან დაფიქსირდა, რომელიც 1997-1999 წლების რეცესიით იყო გამოწვეული და ასევე, რუსეთთან (სლოვაკეთის დამოკიდებულება ნედლეულის იმპორტზე მოიცავდა ხანგძლივ პასიურ სავაჭრო ბალანსს). 21-ე საუკუნეში ძირითადი საექსპორტო პარტნიორები გახდნენ გერმანია (დაახლოებით 30 პროცენტი, მაგრამ, ეს მაჩვენებელი დროთა განმავლობასი შემცირდა; 2011 წელს 23% შეადგენდა) და ჩეხეთის რესპუბლიკა (დაახლოებით 10 პროცენტი, მაგრამ ზრდის ტენდენციით; 2011 წელს 20 პროცენტი). 2011 წელს სხვა მნიშვნელოვანი პარტნიორები გახდნენ მეზობელი ქვეყნები: პოლონეთი, უნგრეთის და ავსტრია. სლოვაკური ექსპორტი ამ ქვეყნებში წინა წლების მაჩვენებლების შედეგად გაიზარდა.

### უნგრეთი

ორი ათწლეულის განმავლობაში ექსპორტი ყოველწლიურად იზრდებოდა. გამონაკლისს შეადგენდა 2009 წელი. მიუხედავად ამისა, უნგრეთმა 1990-იანი წლების დასაწყისიდან 2009 წლამდე უარყოფითი ბალანსი განიცადა.

გარდამავალი ეკონომიკის ევროპული ქვეყნების ტიპური დამახასიათებელი თვისება, დასავლური ბაზრებისაკენ ექსპორტის გადატანა, უნგრეთშიც დაფიქსირდა. 1990 წელს ექსპორტის წილი ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებში 35 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 1991 წელს - 42 პროცენტით. 1991 წელს ეკონომიკური ურთიერთდახმარების ქვეყნებში ექსპორტი ასევე შემცირდა (27 პროცენტით). ევროკავშირში ექსპორტის წილი დასავლური ბაზრების გახსნის შემდეგ 40 პროცენტიდან 75 პროცენტამდე გაიზარდა.

კერძო საქმიანობების ლიბერალიზაციამ გამოიწვია ექსპორტზე ორიენტირებული მცირე ბიზნესის განვითარება. 1991 წელს მცირე ბიზნესი 69 პროცენტით გაიზარდა, განსაკუთრებით სამანქანო, ქიმიურ, მსუბუქი ინდუსტრიისა და საკვებგადამამუშავებელი ექსპორტის კატეგორიებში. უნგრეთი ამჟამად ორიენტირებულია მანქანებისა და სატრანსპორტო აღჭურვილობის ექსპორტზე, რომელიც მთლიანი ექსპორტის ნახევარზე მეტს შეადგენს. შემდეგ მოდის წარმოებული საქონლისა და საკვების ექსპორტი.

### პოლონეთი

1980-იან წლებში არსებული საექსპორტო საქონლის შემადგენლობა შეიცვალა ბუნებრივი რესურსების და არაკვალიფიციური შრომის ინტენსიური პროდუქციით. მხოლოდ ნახშირისა და ფერმერულმა პროდუქციამ შეძლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბაზრებზე საკუთარი წილის გაზრდა. 1990-1991 წლებში ექსპორტი გაიზარდა პროდუქციის ყველა კატეგორიებში, რაც მთავარია გადამამუშავებელ სფეროში, სადაც ზრდის საშუალო წლიური განაკვეთი 40 პროცენტს შეადგენდა<sup>7</sup>.

სფეროში, სადაც ზრდის საშუალო წლიური განაკვეთი 40 პროცენტს შეადგენდა .

---

<sup>7</sup> KAMINSKI, B. The collapse of state socialism: the case of Poland. Princeton: Princeton University Press, 1991

1994 წლის შემდეგ, ექსპორტის საერთო მოცულობა წინა წელთან შედარებით ყოველწლიურად იზრდებოდა. ყველაზე მკვეთრი ზრდა 2000 წელს იქნა მიღწეული. ექსპორტის მოცულობა უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში 600 პროცენტით გაიზარდა. დეფიციტზე ყველაზე მეტი გავლენა მოახდინა რუსეთთან და ჩინეთთან საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ. მხოლოდ ამ ორ ქვეყანასთან ზრდის დეფიციტმა 2005-2007 წლების პერიოდში შეანელა ნამატი ევროკავშირის 24 ქვეყნიდან (ვახი და სხვები, 2008).

პოლონეთში საგარეო ვაჭრობის ცვლილებების აღწერისათვის აუცილებელია აღინიშნოს ცვლილებები ევროკავშირის 15 ქვეყანასთან 5 წლის განმავლობაში, რომელიც 2001 წელს - 6.6 მილიარდი ევროსა დეფიციტიდან 2006 წელს 1 მილიარდი ევროს ნამატით შეიცვალა. ექსპორტების ზრდა შედარებით შემცირდა 2007 წელს და 2009 წელს დაფიქსირდა უმნიშვნელო ნეგატიური ზრდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთა კავშირი შემდგომი ოთხი ათწლეული განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი გახდა პოლონელი მწარმოებლებისათვის (ჩეხოსლოვაკიასთან და გერმანიასთან ერთად). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოლონელმა მწარმოებლებმა სწრაფად გადაინაცვლეს დასავლეთის ბაზრებისაკენ. გერმანია გახდა ექსპორტის ძირითადი პარტნიორი და განსაკუთრებით კი, იმპორტის. დღეისათვის, ევროკავშირზე მოდის ექსპორტის თითქმის 80 პროცენტი და იმპორტის 60 პროცენტი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე საჭირო ბრუნვა მხოლოდ დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს.

საექსპორტო პროდუქცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1990-იანი წლების დასაწყისისათვის საექსპორტო პროდუქციას მინერალები და საკვები შეადგენდა. 2005 წლიდან საექსპორტო პროდუქციის ძირითად ჯგუფს შეადგენდა ელექტრო-სამანქანო ინდუსტრიის საქონელი. პოლონური საქონლის მზარდი კონკურენტულუნარიანობა დაფიქსირდა შემდგომ წლებშიც. მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტის ღირებულება 2000 წელს 56.8 პროცენტიდან, 2006 წელს 63.7 პროცენტამდე გაიზარდა. დღეისათვის, პოლონელი მწარმოებლები ძირითადად ფოკუსირებულნი არიან სამანქანო და ელექტრო მოწყობილობების, ასევე, სატრანსპორტო აღჭურვილობის ექსპორტზე. აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო მოწყობილობა ისტორიულად პოლონური ექსპორტის მნიშვნელოვან

კატეგორიას წარმოადგენს. სხვა წარმატებულ საექსპორტო პროდუქციის ჯგუფს შეადგენს მეტალი და ქიმიკატები.

ვიშეგრადის ცალეული ქვეყნების ვაჭრობის მახასიათებლების განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვიშეგრადის ქვეყნების საერთაშორისო ვაჭრობის საერთო მახასიათებელს წარმოადგენდა ძლიერი ორიენტაცია აღმოსავლეთის ბლოკისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების კავშირის ქვეყნებისაკენ; ისინი ერთმანეთს შორის ვაჭრობდნენ. თუმცა, ეს ვაჭრობა არ იყო განვითარებული სახელმწიფო დაგეგმარებისა და თავისუფალი ბაზრის არარსებობის გამო. ვიშეგრადის ქვეყნების ვაჭრობის დომინანტური ნაწილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შეიცვალა საბჭოთა წნეხის დასასრულს, რომლის მიზანიც საბჭოთა ბლოკში საქონლის შენარჩუნება წარმოადგენდა.

ვაჭრობამ გადაინაცვლა მაღალი შემოსავლების მქონე დასავლეთის ქვეყნებისაკენ. ჰეკშერ-ოჰილინის ფაქტორის თეორიის საფუძველზე, ტრადიციული შრომის ინტენსიური წარმოების პროდუქციის ექსპორტის ზრდა მოსალოდნელი იყო. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ასევე გამოირჩეოდნენ ხელსაყრელი ადგილმდებარეობით, ისინი მდებარეობენ ევროპის შუაგულში, ევროპის მსხვილ პროდუქციის ცენტრებთან შედარებით ახლოს. ცხრილი №1 წარმოადგენს ამ თეორიის ემპირიულ მტკიცებულებას. დასავლეთისაკენ ორიენტირებული ვაჭრობის ზრდა შესაძლოა უფრო სწრაფი ყოფილიყო ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო.

**ცხრილი 1: ექსპორტის გეოგრაფიული ცვლილება: აგრეგირებული ექსპორტის პროცენტული წილები <sup>8</sup>**

ქვეყანა		1928	1988	1994	1996
ჩეხეთის რესპუბლიკა	დასავლეთისაკენ	55.2	33.5	58.9	62.8
	აღმოსავლეთისაკენ	19.8	55.2	31.8	30.6
უნგრეთი	დასავლეთისაკენ	40.9	37.2	71.5	69.0

<sup>8</sup> წყარო: WINIECKI, J. Transition Economies and Foreign Trade. Rout- ledge, 2002.

	ადმოსავლეთისაკენ	37.3	45.5	25.2	28.8
პოლონეთი	დასავლეთისაკენ	62.7	44.7	75.0	71.6
	ადმოსავლეთისაკენ	14.2	40.8	15.0	21.4

ადრეული გარდამავალი პერიოდის ვაჭრობის სხვა დამახასიათებელი ნიშანი გახლავთ ის ფაქტი, რომ ცენტრალური და ადმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა აწარმოებდა უფრო დახვეწილი და მაღალი ხარისხის პროდუქციის იმპორტს დასავლეთიდან ექსპორტის ხარისხთან შედარებით. დღეისათვის, საერთო ექსპორტის უდიდესი ნაწილი ევროკავშირში ხდება, განსაკუთრებით გერმანიაში (რომელიც წარმოადგენს ჩეხი და პოლონელი ექსპორტიორების ძირითად პარტნიორს). სლოვაკური ექსპორტები ძირითადად ჩეხეთის რესპუბლიკაში და ასევე, გერმანიაში წამოვდება.

2004 წელს ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, ყველაზე აღსანიშნავი მოვლენა გახლდათ ორმხრივი ვაჭრობის სწრაფი გაზრდა. 2007 წელს ვიშეგრადის ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა 2003 წელთან შედარებით ორნახევარჯერ გაიზარდა. ამ ქვეყნების ევროკავშირის “მველ” წვერ სახელმწიფოებთან ვაჭრობის ზრდის კოეფიციენტი ამ რიცხვის 50 პროცენტს შეადგენდა. მიუხედავად სწრაფი გაფართოებისა, ვიშეგრადის წვერ ქვეყნებს შორის ინდივიდუალური ორმხრივ ურთიერთობებს მრავალმხრივი ხასიათი ჰქონდა ვაჭრობის შემადგენლობასთან დაკავშირებით. უნგრეთის სპეციალიზაცია სატრანსპორტო მოწყობილობებისა და კომპონენტების ექსპორტში ვიშეგრადის სხვა ქვეყნებთან შედარებით გადაჭარბებული იყო. სხვა განსაკუთრებული მოვლენა გახლდათ სლოვაკეთი, სადაც მთავარი სასაქონლო ჯგუფების საწყისი პროპორციები არც შეცვლილა ვაჭრობის მოცულობის სწრაფი ზრდის პერიოდში. საავტომობილო და სატრანსპორტო ინდუსტრია წარმოადგენს სლოვაკეთის, პოლონეთისა და უნგრეთის ძირითად საექსპორტო ნაწილს. უნგრეთი ასევე აწარმოებს საკვების ექსპორტს, პოლონეთი და სლოვაკეთი განთქმულია ელექტრული მოწყობილობებით, რომლებიც ფართოდ გამოიყენება.

## **ბიბლიოგრაფია:**

Fidrmuc, J. –Fidrumc, J. –Horvath, J. The Constraints of the Growth in Visegrad Countries, Wolrd Bank Research Project: Determinants of Economic Growth, in Global Development Network, 2003

WINIECKI, J. Transition Economies and Foreign Trade. Rout- ledge, 2002.

Crampton R.J. 1997. Eastern Europe in the Twentieth Century - and After, New York: Routledge

KAMINSKI, B. The collapse of state socialism: the case of Poland. Princeton: Princeton University Press, 1991

Nugent, N. (2004) European Union Enlargement. Basingstoke: Palgrave Macmillan

Bellamy, R., Warleigh, A. (eds.). (2001). Citizenship and Governance in the European Union. London: Continuum. ISBN: 978-0826453471

POZNANSKI, K.Z. Poland's Protracted Transition. Cambridge: Cambridge University Press, 1996

SVEJNAR, J. and UVALIC, M. The Czech Transition, Research Paper No 2009/17, United Nation University, March 2009

## **ვებ-რესურსები:**

<http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/eurostat/home/>

<https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/index.html>

<http://www.visegradgroup.eu/>

[http://europa.eu/index\\_en.htm](http://europa.eu/index_en.htm)

## **დავალელები სემინარული მუშაობისათვის**

1. მოახდინეთ ვიშეგრადის ქვეყნების შედარებითი ეკონომიკური ანალიზი შემდეგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით:

- მთლიანი შიგა პროდუქტი
- მთლიანი ევროვნული პროდუქტი
- მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე

- ინფლაციის საშუალო დონე
2. გაანალიზეთ და მოახდინეთ ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარება 1990-2012 წლებში

მოახდინეთ ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორების ანალიზი ვიშეგრადის ქვეყნებში

3. შეისწავლეთ ვიშეგრადის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის დინამიკა 1990-2012 წლებში:

- სავაჭრო ბალანსის დინამიკა
- ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები და რეგიონები
- იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა
- ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა

*მონაცემთა წყაროები:*

საერთაშორისო სავალუტო ფონდი: [www.imf.org](http://www.imf.org)

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია: [www.unctad.org](http://www.unctad.org)

ევროსტატი: <http://epp.eurostat.ec.europa.eu>

ცენტრალური დაზვერვის სააგენტო, პუბლიკაცია მსოფლიო ფაქტების კრებული: <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/index.html>

ვიშეგრადის ქვეყნების თანამშრომლობის პლატფორმა: <http://www.visegradgroup.eu/>

ევროპული კვლევების ინსტიტუტი ჩეხეთში: <http://www.europeum.org/en/>

## 8. ვიშეგრადის ქვეყნების კოოპერაციის პირობები და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესების მიმოხილვა

ევროკავშირი სუვერენული სახელმწიფოების თანამშრომლობისა და ეკონომიკური ორგანიზაციის ახალ მოდელს წარმოადგენს, რომლის წევრი სახელმწიფოებიც იზიარებენ დემოკრატიულ ღირებულებებს და ემორჩილებიან ბაზარზე დაფუძნებულ ეკონომიკის პრინციპებს. წლების განმავლობაში, ევროკავშირმა ხელი შეუწყო დემოკრატიულ და ლიბერალურ პოლიტიკურ კულტურაზე დამყარებული კანონის პატივისცემას. ვიშეგრადის ქვეყნებს გადაწყვეტილი ჰქონდათ შეერთებოდნენ ამგვარ თანამეგობრობას. ევროკავშირის წევრობის სურვილმა განაპირობა 1991 წლის 15 თებერვალს ვიშეგრადის ჯგუფის მხარდაჭერა. ვიშეგრადის თანამშრომლობა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ქვერეგიონალური თანამშრომლობის სტრუქტურაა, რომელიც ჩამოყალიბდა 1989 წლის პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ. ამ კავშირის ჩამოყალიბების მიზეზი ნაწილობრივ გამომდინარეობს ცენტრალური ევროპის რეგიონის განხვავებულობისაგან დანარჩენ ევროპასთან შედარებით, რომელსაც საკუთარი იდენტობა და დინამიზმი გააჩნია, რასაც განსაკუთრებული ღირებულება შემოაქვს საერთაშორისო არენაზე. ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებმა განაცხადეს საკუთარი სურვილის შესახებ, მჭიდროდ ეთანამშრომლათ ევროკავშირის წევრობის კუთხით. ყურადღების ძირითადი საგანი გახდა ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია, ევროკავშირთან მიმართებით საერთო მოსაზრებების ქონა, რაც მათ საშუალებას მისცემდა უკეთ დაეცვათ საკუთარი ინტერესები და დაესვათ უსაფრთოების საკითხები რეგიონული ასპექტების კუთხით. ევროპულმა თანამეგობრობამ 1989 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი ინტერესი გამოთქვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ,

არა მხოლოდ პოლიტიკური კუთხით, არამედ, ასევე, სხვადასხვა ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისითაც. ევროპულმა თანამეგობრობამ ჩამოაყალიბა დიპლომატიური ურთიერთობები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან. მას შემდეგ, ევროპული ინტეგრაცია ორიენტირებული იყო ამ ქვეყნებზე, რომლებმაც გადაწყვიტეს დემოკრატიის ფორმირებისა და საბაზრო ეკონომიკის პროცესების დაწყება. 1990-იან წლებში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გამოთქვეს ევროკავშირის წევრობის სურვილი.

ზოგადად, გაფართოების პროცესი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ევროკავშირისათვის. გაფართოებამ მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა ყველა მხარეს და ახალი სიცოცხლე შესძინა ახალი წევრი სახელმწიფოების ეკონომიკურ

და პოლიტიკურ ცხოვრებას. გაფართოების მეხუთე ტალღა სიმბოლურად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უმაღლეს დიპლომატიურ, როდესაც ევროკავშირმა განაცხადა, რომ ის მიიღებდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თავის ოჯახში. ექსპერტების მოსაზრებით, 2004 წელს გაფართოების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში კომუნისტური რეჟიმების დამხობის შემდეგ ევროპის გაერთიანების საოცნებო ამოცანა, რომელიც გააუქმებდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან არსებულ ევროპის აღმოსავლეთ-დასავლეთად დაყოფას.

გაფართოების წინა ტალღებისაგან განსახვავებით, რომელიც დაყოფილი ევროპის კონტექსტში მიმდინარეობდა, 2004 წლის გაფართოების ტალღა პირველად შეეხო ევროპის ხელახალი გაერთიანების საკითხს. რეუნიფიკაცია მიზნად ისახავდა ევროპაში მცხოვრები ხალხებისათვის თავი მოეყარა კონსტიტუციურ ჩარჩოში, რომელიც მათ სტიმულს მისცემდა მშვიდობისა და სტაბილურობის გარემოში ერთობლივი მუშაობისათვის”. გაფართოების მეხუთე ეტაპი ისტორიული და უპრეცედენტო იყო ევროკავშირის ისტორიაში, მან შექმნა შესაძლებლობები კონტინენტზე მშვიდობიანი ინტეგრაციის შემდგომი პროცესების მხარდაჭერისათვის.

პოზიტიური და გრძელვადიანი მხარდაჭერის საბაზისო ინსტრუმენტი იყო ე.წ. ასოცირების ხელშეკრულებების მომზადება და რატიფიცირება. ეს დოკუმენტები გაფორმდა ევროკავშირისა და სხვა ერებს შორის და ისინი მოიცავდა ინტეგრაციის დონეს, რომელიც უფრო ნაკლები იყო ვიდრე წევრობა, მაგრამ უფრო მეტი ვიდრე თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება. ისინი ამავდროულად ქმნიდნენ წინაღობას სრული წევრობისაკენ მიმავალ გზაზე. ასოცირების ხელშეკრულებები ვიშეგრადის ქვეყნებთან 1991 წელს გაფორმდა, ამ ხელშეკრულებებს ევროპის ხელშეკრულებებსაც უწოდებენ. 1990-იანი წლებში, ასოცირების ხელშეკრულებები გაფორმდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანასთან. ევროპის ხელშეკრულებებმა შექმნა საფუძველი ევროკავშირისა და კანდიდატი ქვეყნებისათვის მოეხდინათ ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული დაახლოება. თანამშრომლობის სფერო მოიცავდა პოლიტიკურ თანამშრომლობას, ხელსაყრელ სავაჭრო ურთიერთობებს, ეკონომიკურ საქმიანობასა და კულტურულ თანამშრომლობას. ევროპის ხელშეკრულებები წარმოადგენდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ შანსს და ორმხრივად იქნა ხელმოწერილი, ეს ხელშეკრულებები თითოეული კანდიდატი ქვეყნის საჭიროებებზე იყო მორგებული, თუმცა, ამავდროულად მოიცავდა საერთო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კომერციულ ამოცანებს და ქმნიდა რეფორმების განხორციელების ჩარჩოს. ევროპის ხელშეკრულებების ფარგლებში ხელმოწერილი სავაჭრო ხელშეკრულებებს უნდა ჩამოეყალიბებინათ თავისუფალი სავაჭრო ზონა ევროკავშირისა და თითოეულსახელმწიფოს შორის. შესაბამისად, გაფართოებას უფრო ღია მსოფლიო ვაჭრობამდე მივყავდით<sup>1</sup>.

## **8.1 ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების ეტაპების მიმოხილვა**

ევროპის ხელშეკრულების ხელმოწერების კომპლექსური სტრატეგიას საფუძველი ჩაეყარა ევროპის საბჭოს კოპენჰაგენის შეხვედრაზე (1993 წელი). კოპენჰაგენის სამიტმა ნათელი სიგნალი მისცა ამ ქვეყნებს, რომ ისინი მომავალში ევროკავშირის წევრები გახდებოდნენ, თუკი დააკმაყოფილებდნენ გარკვეულ პირობებს. გაფართოების პირობები თითოეული ქვეყნისათვის მოიცავდა თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების პატივისცემის, კანონის უზენაესობის პრინციპებს, ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ეს ქვეყნები გახდებოდნენ ევროკავშირის წევრები. ევროკავშირის შეთანხმება (მუხლი 6, მუხლი 49) აყალიბებს ამ პრინციპებს. ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება ხანგრძლივი და მკაცრი პროცესის დასაწყისია. ოფიციალური ამოსავალი წერტილია ქვეყნის მიერ განაცხადის გაკეთება – თუმცა იგი, როგორც წესი, ყალიბდება ევროკავშირთან ძლიერი ორმხრივი ურთიერთობის არსებობის შედეგად. დასაბუთებულ განაცხადს შედეგად მოაქვს ევროკავშირის შეფასების პროცედურების მთელი რიგი, რომელმაც შესაძლოა მოიტანოს ქვეყნის გაწევრიანება ან შესაძლოა უარი ეთქვას ქვეყანას წევრობაზე. ქვეყნის მიერ ამ პროცესის სისწრაფე საერთო მიზნების განხორციელების პროგრესით იზომება.

ცხრილი 1. გვიჩვენებს, რომ ვიშეგრადის ქვეყნებმა ერთობლივი ნაბიჯები გადადგეს ევროკავშირის წევრობისათვის. სლოვაკეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ევროპის ხელშეკრულებას ერთ და იმავე დროს მოაწერეს ხელი (1991 წლის 16 დეკემბერს), როგორც “ჩეხოსლოვაკიის” სახელმწიფომ (უნგრეთთან და პოლონეთთან ერთად). მაგრამ, შემდეგ ჩეხოსლოვაკია ორ ქვეყანად გაიყო და ახალი რეალობის პირობებში 1993 წლის 4 ოქტომბერს ორმა ქვეყანამ ხელახლა მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. ამ ქვეყნებში ჩატარებულ რეფერენდუმებში, იმ მოქალაქეთა პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მასში და თანხმობა განაცხადეს თავიანთი ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებაზე, თითქმის ერთი და იგივე იყო. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ეს პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო სლოვაკეთში. მოქალაქეთა გაფართოების პროცესისადმი მხარდაჭერა ყველაზე მეტად

---

<sup>1</sup> Peter Bielik et al. Economics, Social Policy and Citizenship in the European Union. Nitra 2010, Slovak University of Agriculture p. 18

ევროკავშირის 15 ახალ სახელმწიფოს შორის უნგრეთსა და პოლონეთში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი ვიშეგრადის ჯგუფის წევრ ჩეხეთის რესპუბლიკაში დაფიქსირდა. მაგრამ, სხვა წევრ ქვეყნებთან შედარებით ვიშეგრადის ქვეყნებში მოსახლეობის მხარდაჭერა ევროკავშირში გაწევრიანებაზე ყველაზე მაღალი იყო.

ცხრილი <sup>2</sup> 1. ევროპის ხელშეკრულებების ხელმოწერისა და ძალაში შესვლის თარიღები

	ევროპასთან შეთანხმების ხელმოწერის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი	მოქალაქეთა წილი, რომლებმაც რეფერენდუმში მიიღეს მონაწილეობა(%)	თანხმობის წილი(%)
ჩეხეთის რესპუბლიკა	4 ოქტომბერი, 1993	1 თებერვალი, 1995	55,21	77,33
უნგრეთი	16 დეკემბერი, 1991	1 თებერვალი, 1994	45,64	83,76
პოლონეთი	16 დეკემბერი, 1991	1 თებერვალი, 1994	58,85	77,45
სლოვაკეთი	4 ოქტომბერი, 1993	1 თებერვალი, 1995	52,15	92,46

ევროკავშირის გაწევრიანების მსურველმა თითოეულ ქვეყანამ უნდა წარადგინოს განაცხადის ფორმა საბჭოში. უნგრეთმა განაცხადის ფორმა 1994 წლის 31 მაისს წარადგინა, პოლონეთმა 1994 წლის 5 აპრილს, სლოვაკეთმა 1995 წლის 27 ივნისს და ჩეხეთის რესპუბლიკამ 1996 წლის 17 იანვარს. ამის შემდეგ ევროპის კომისია გამოთქვამს ფორმალურ მოსაზრებას აპლიკანტი ქვეყნის შესახებ და საბჭო წყვეტს – მიიღოს თუ არა განაცხადი. როდესაც საბჭო ერთხმად დაამტკიცებს მოლაპარაკების მანდატს, მოლაპარაკებები ფორმალურად ღიად ცხადდება ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანასა და კანდიდატ ქვეყანას შორის. აუცილებელ პირობას წარმოადგენს აპლიკანტი ქვეყნის მზაობა მოლაპარაკებების დაწყებამდე დააკმაყოფილოს ძირითადი კრიტერიუმები. გაწევრიანების კრიტერიუმები ასევე ცნობილია, როგორც კოპენჰაგენის კრიტერიუმები.

ე.წ. “კოპენჰაგენის კრიტერიუმები” 1993 წლის დეკემბერში იქნა დამტკიცებული ევროპის საბჭოს მიერ და მოითხოვს ასოცირებული ქვეყნისაგან ჰქონდეს:

<sup>2</sup> წყარო: ევროკომისია: [http://ec.europa.eu/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/index_en.htm)

- სტაბილური ინსტიტუციები, რომლებიც წარმოადგენენ დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და უმცირესობების პატივისცემისა და დაცვის წინაპირობას;
- მოქმედი საბაზრო ეკონომიკა, ისევე როგორც უნარი გაუმკლავდეს კონკურენციის წნეხს და ევროკავშირს შიგნით საბაზრო ძალების მუშაობას.
- წევრობის მოვალეობების შესრულების უნარი, განსაკუთრებით პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ამოცანების შესრულების უნარი.

კოპენჰაგენის კრიტერიუმები ევროკავშირის მმართველობის მთავარი მახასიათებლებიდან გამომდინარეობს. ვიშეგრადის ქვეყნების სოციალისტური წარსულის გათვალისწინებით, ევროპის საბჭომ მოითხოვა მათი ეკონომიკური გარდაქმნა და ევროკავშირის სისტემაში ჰარმონიზაცია, მანამ სანამ მათ დაიწყეს ევროკავშირის ერთიან ბაზარსა და ევროკავშირის პოლისების სფეროებში ინტეგრაცია.

1993 წელს, კოპენჰაგენის სამიტზე, ევროპის საბჭომ გამოაცხადა, რომ

“ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ სურვილი გახდნენ ევროკავშირის წევრები, შესაძლოა გახდნენ კავშირის წევრები”.

გაფართოების ძირითადი ნაბიჯები დასახულ იქნა ევროპის საბჭოს შეხვედრებზე (ცხრილი 2)

ცხრილი 2. ევროკავშირის ძირითადი კონფერენციები გაფართოებაზე

1993	ევრო საბჭო კოპენჰაგენში	შეთანხმება მიღების კრიტერიუმების თაობაზე. ევროსაბჭომ განსაზღვრა „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“, რომლებიც მოიცავდა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, საკანონმდებლო წინაპირობებს ქვეყნების წევრობის განხილვისათვის
1994	ევრო საბჭო ესენში	გაწევრიანების წინა პირობების შესახებ შეთანხმების მიღება
1994	ევრო საბჭო მადრიდში	საჭიროებების დამტკიცება გარდამავალი პერიოდისათვის სოფლის მეურნეობასა და სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობაში
1995	ევრო საბჭო მადრიდში	შეთანხმება, რომ კანდიდატმა ქვეყანამ სრულად უნდა მიიღოს ევროკავშირის მოთხოვნები და

		რეგულაციები
1997	ევრო საბჭო ლუქსემბურგში	ევროკავშირმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იწყებდა მოლაპარაკებებს წევრობაზე პირველი ჯგუფის ქვეყნებთან(ლუქსემბურგის ქვეყნები)
1999	ევრო საბჭო ბერლინში	ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერება
1999	ევრო საბჭო ჰელსინკიში	ყველა კანდიდატ ქვეყანასთან ღია მოლაპარაკებების დაწყება(რუმინეთისა და ბულგარეთის გარდა)
2000	ევრო საბჭო ნიცაში	ევროკავშირის ინსტიტუტების მომზადება გაფართოებისათვის
2002	ევრო საბჭო კოპენჰაგენში	ევროკავშირი აწესებს გაფართოების თარიღს მაისი, 2004 წელი
2003	ევრო საბჭო ათენში	მიღების კონვენციების ხელმოწერა

1993 წელი- ევროპის საბჭო, შეთანხმება ასოცირების ხელშეკრულებაზე

კოპენჰაგენში საბჭომ ევროპულ სახელმწიფოებს გაწევრიანების მოწვევა გადასცა.

ევროპის საბჭომ განსაზღვრა “კოპენჰაგენის კრიტერიუმები”, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი კრიტერიუმები აპლიკანტებისათვის, რომელთა პირობები უნდა დაეკმაყოფილებინათ აპლიკანტებს წევრობის მიღებამდე.

1994 წელი - ევროპული საბჭო ესენში - ხელშეკრულება გაწევრიანების წინა პერიოდის სტრატეგიაზე.

1994 წელი - ევროპის საბჭო მადრიდში – გარდამავალი პერიოდის საჭიროების იდენტიფიცირება სოფლის მეურნეობისა და თავისუფალი გადაადგილების, შრომითი ურთიერთობების სფეროებში.

1995 წელი - მადრიდში ჩატარებულმა ევროპის საბჭომ განმარტა, რომ კანდიდატმა ქვეყანამ ასევე უნდა განახორციელოს ევროკავშირის პროცედურები და წესები.

1997 წელი – ევროპის საბჭოს შეხვედრა ლუქსემბურგში – საბჭომ განაცხადა, რომ კანდიდატი ქვეყნების პირველმა ჯგუფმა შესაძლოა დაიწყოს მოლაპარაკებები გაწევრიანებაზე.

1999 წელი – ევროპის საბჭოს შეხვედრა ბერლინში, რომელიც მიემდგვნა ფინანსური დახმარების გაძლიერებას.

1999 წელი – ევროპის საბჭოს შეხვედრა ჰელსინკში – მოლაპარაკებების დაწყება ყველა კანდიდატ ქვეყანასთან (რუმინეთისა და ბულგარეთის გარდა).

2000 წელი – ევროპის საბჭო – ევროკავშირის ინსტიტუტების მომზადება გაფართოებისათვის.

2002 წელი – ევროპის საბჭო კოპენჰაგენში – ევროკავშირი აწესებს გაფართოების თარიღს - 2004 წლის მაისს.

2003 წელი – ევროპის საბჭოს შეხვედრა ათენში – გაწევრიანების ხელშეკრულების ხელმოწერა.

2000 წლის მაისი – კომისიამ მიიღო გაფართოების კომუნიკაციის სტრატეგია.

გაწევრიანების წინარე სტრატეგია მოიცავდა:

- გაწევრიანების ხელშეკრულებები – ხელშეკრულებები ევროკავშირსა და ასოცირებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობის, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებასა და სხვა სფეროებზე;- პროგრესის შესახებ წარმოადგენილი ანგარიშების სისტემატური მონიტორინგი, რომლებიც კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესრულებას ეხებოდნენ. შეფასებას ახორციელებდა ევროკომისია.

-გაწევრიანების პარტნიორობა – ხელშეკრულება თითოეული ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების პირობებზე.

• Acquis Communautaire–ის მიღების ეროვნული პროგრამა – თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მოამზადოს ევროკავშირის კანონმდებლობის განხორციელების სტრატეგია.

• ფინანსური დახმარება – ფინანსური დახმარება ევროკავშირის ფონდების მეშვეობით, რომელიც დაეხმარება გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს ევროკავშირის კრიტერიუმების მიღწევაში.

• გაწევრიანების მოლაპარაკებები – პირობების დადება და თარიღები, რომლის ფარგლებში ევროკავშირში თითოეული ქვეყანა გაწევრიანდება.

ეს სტრატეგია გამიზნული იყო დახმარების გასაწევად ევროკავშირსა და ასოცირებული ქვეყნებისათვის მოეხდინათ წარმატებული ინტეგრაცია ევროკავშირში. გაწევრიანება ასევე მოითხოვს კანდიდატი ქვეყნისათვის შექმნან პირობები ინტეგრაციისათვის ადმინისტრაციულ სტრუქტურებში მათი განხორციელებით. მნიშვნელოვანია ევროკავშირის კანონმდებლობის ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანა, მაგრამ, უფრო

მნიშვნელოვანია კანონმდებლობის ეფექტური განხორციელება შესაბამის ადმინისტრაციულ და სამართლებრივ სტრუქტურებში, რაც წარმოადგენს წინაპირობას ევროკავშირის წევრობისათვის აუცილებელი ორმხრივი ნდობისათვის.

აუცილებელია, უზრუნველყოფილი იყოს, რომ ინსტიტუციები და გადაწყვეტილების მიღების პროცესები ეფექტური და ანგარიშვალდებული დარჩეს. მათ უნდა შეძლონ გაფართოების პროცესის მიმდინარეობისას, განაგრძონ განვითარება და ყველა სფეროში საერთო პოლიტიკის განხორციელება და ასევე საჭიროა, იყვნენ იმ მდგომარეობაში, რომ შეძლონ არჩეული პოლიტიკის გრძელვადიანი დაფინანსება.

## **8.2 ვიშეგრადის წევრების მიერ გაწევრიანების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასება**

გაფართოების პროცესის მიმოხილვა (ანალიზი) შესაძლოა ვიპოვოთ 2000 წლისათვის ევროკავშირის მიერ გამოცემულ დოკუმენტებში, სტრატეგიულ გაიდლაინებში, რომლებიც მიღებულ იქნა კომისიის მიერ ევროპის მადრიდის საბჭოს მოთხოვნების შესაბამისად, ამ დოკუმენტებში გაწერილია გაფართოების პროცესის ძირითადი ნაბიჯები. კომისიამ ასევე განსაზღვრა ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შემომტანი სახელმწიფოების შეფასების პრინციპები და პროცესი. კოპენჰაგენის ზემოთხსენებული კრიტერიუმების გარდა, ევროპის დოკუმენტების შესრულების გაუმჯობესებაც იქნა შეფასებული. კომისიამ 1997 წლის 15 ივნისს გამოთქმულ მოსაზრებაში შეაფასა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 კანდიდატი ქვეყანა, მათი უნარი მიეღოთ და განეხორციელებინათ ევროკავშირის კანონმდებლობა და გასცა რეკომენდაციები მოლაპარაკების პროცესის დაწყების შესახებ. ვიშეგრადის ქვეყნებზე შემდეგი მოსაზრებები გამოითქვა:

### **სლოვაკეთი**

1999 წელს კომისიის მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება ევროკავშირში სლოვაკეთის განაცხადის თაობაზე. კომისიამ დაადგინა, რომ: “სლოვაკეთი დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებს ევროპის საბჭოს კოპენჰაგენში დათქმულ პირობებს. სლოვაკეთის ინსტიტუციების არასტაბილურობის გამო, მათ აკლიათ პოლიტიკური ცხოვრების ძირფესვიანობა და არსებობს ნაკოვანებები დემოკრატიის ფუნქციონირებაში”. დოკუმენტში “გაწევრიანების პარტნიორობა სლოვაკეთზე” ნათქვამია: მოკლევადიან პოლიტიკურ პრიორიტეტებად სლოვაკეთისათვის განისაზღვება “თავისუფალი და სამართლიანი, საპრეზიდენტო, ეროვნული და ადგილობრივი არჩევნები, ეფექტური ოპოზიციის მონაწილეობა საპარლამენტო სამეთვალყურეო კომიტეტებსა და სამეთვალყურეო საბჭოებში და კანონმდებლობის მიღება უმცირესობის ენის გამოყენებასა და მასთან დაკავშირებულ ზომებთან”.

## უნგრეთი

1997 წელს კომისიის მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება ევროკავშირში უნგრეთის განაცხადის განხილვის თაობაზე. კომისიამ დაადგინა, რომ: “უნგრეთი ატარებს დემოკრატიის მახასიათებლებს, გააჩნია სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების დაცვასა და პატივისცემას”. უნგრეთმა დააკმაყოფილა კოპენჰაგენის პოლიტიკური კრეტერიუმები.

ყურადღება უნდა მიექცეს კორუფციასთან ბრძოლის საჭიროებას, აუცილებელია უფრო ეფექტური საშუალებების გამოყენება და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსახლეობასთან დაკავშირებული მდგომარეობის გაუმჯობესება.

## ჩეხეთის რესპუბლიკა

1997 წელს კომისიის მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება ევროკავშირში ჩეხეთის რესპუბლიკის განაცხადის თაობაზე. კომისიამ დაადგინა, რომ: “ჩეხეთის რესპუბლიკა აკმაყოფილებს დემოკრატიული სახელმწიფოსადმი წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს, გააჩნია სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების დაცვასა და პატივისცემას”. გაწევრიანების პარტნიორობის ხელშეკრულება ჩეხეთის რესპუბლიკასთან ახსენებს საშუალოვადიან პრიორიტეტებს: “მუშაობის გაგრძელება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობის ინტეგრაციისათვის; კანონების გაძლიერება, რომლებიც უზრუნველყოფენ მედიის თავისუფლებას; ყურადღების შემდგომი გამახვილება საჯარო სერვისებისადმი თანასწორი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად”. ჩეხეთის რესპუბლიკა შესაძლოა ჩაითვალოს ფუნქციონალურ ეკონომიკად და მან უნდა შეძლოს გაუმკლავდეს კონკურენციის წნეხსა და კავშირის შიგნით საბაზრო ძალებს საშუალო ხანგძლივობის პერსპექტივაში, თუმცა, ამისათვის აუცილებელია კორპორატიული მმართველობის გაუმჯობესება და საწარმოთა რესტრუქტურისა და დაჩქარება. ჩეხეთის რესპუბლიკა მზად იქნება წევრობის მოვალეობებისათვის, თუკი მოხდება ევროკავშირის კანონმდებლობასთან სწრაფი დაახლოება და შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურების გაძლიერება, რამაც უნდა დააჩქაროს წინა წელს მიღწეული შენელებული პროცესი, განსაკუთრებით, შიდა ბაზრის, სოფლის მეურნეობის, სამართლიანობისა და შინაგან საქმეთა სფეროსთან დაკავშირებით”.

1997 წელს კომისიის მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება ევროკავშირში პოლონეთის განაცხადის თაობაზე. კომისიამ დაადგინა, რომ: “პოლონეთი ატარებს დემოკრატიის მახასიათებლებს, გააჩნია სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების დაცვასა და პატივისცემას”. არ არსებობს განსაკუთრებული პრობლემები ძირითადი უფლებების პატივისცემის მიმართ. თუმცა, არსებობს გარკვეული შეზღუდვები პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებით. პოლონეთი შესაძლოა ჩაითვალოს ფუნქციონალურ ეკონომიკად და მან უნდა შეძლოს გაუმკლავდეს კონკურენციის წნეხსა და კავშირის შიგნით საბაზრო ძალებს საშუალო პერიოდის პერსპექტივაში. თუკი პოლონეთი გააგრძელებს ევროკავშირის კანონმდებლობის გადმოტანას, განსაკუთრებით, ერთიან ბაზართან დაკავშირებით, და გაამლიერებს მუშაობას მისი განხორციელებისათვის, პოლონეთი შეძლებს შუალედური პერიოდის პერსპექტივაში სრულად მიიღოს მონაწილეობა ერთიან ბაზარში. განსაკუთრებული მცდელობები და ინვესტიციებია საჭირო კანონმდებლობის დასახვეწად შემდეგ სექტორებში: სოფლის მეურნეობა, გარემო და ტრანსპორტი. უფრო მეტი ადმინისტრაციული რეფორმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თუკი პოლონეთს გადაწყვეტილი აქვს ჰქონდეს სტრუქტურები, რომლებიც იყენებენ და ახორციელებენ კანონმდებლობას ეფექტურად.”

ევროკომისიამ ასევე დააფიქსირა მოსაზრება, რომ ვიშეგრადის ჯგუფის წევრმა ყველა კანდიდატმა ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად კომუნისტური სავაჭრო ბლოკის დაშლის შემდეგ. აღნიშნა რა, რომ თითოეული ამ ქვეყნის გაწევრიანების საწყისი მდგომარეობა განსხვავებული იყო, ევროკომისიამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა თანმიმდევრულ განაცხადს, რომელიც გამაგრებული იყო ბაზარზე ორიენტირებული რეფორმებითა და ეკონომიკური პოლიტიკის ფართო სპექტრით. ამავე დროს, ანალიზი მიუთითებდა რომ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა კანდიდატმა ქვეყანამ მიაღწია ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებელს, კვლავ არსებობდა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური რისკები. კომისიამ ჩათვალა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პოლონეთი წარმოადგენდნენ ფუნქციონალურ საბაზრო ეკონომიკებს. მათ სჭირდებოდათ უფრო მეტი პროგრესის მიღწევა - მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორებიცაა ფინანსური ბაზრები, კვლავ საჭიროებდნენ განვითარებას. სლოვაკეთი მიუახლოვდა კანონმდებლობისა და სისტემურ მახასიათებლებს, მაგრამ გადაჭარბებული სამთავრობო ჩარევები და

ტრანსპარანტულობის ნაკლებობა ვერ ეთავსებოდა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას. უფრო მეტიც, მაკროეკონომიკური სტაბილურობა გაუარესდა. კომისიამ ჩათვალა, რომ უნგრეთს, პოლონეთს და ჩეხეთის რეპუბლიკას უნდა გაეგრძელებინათ შესაძლებლობების გაძლიერება რათა გამკლავებოდნენ კონკურენციის წნეხს. სლოვაკეთის უნარი გაეძლო ევროკავშირს შიგნით კონკურენციის წნეხისა და საბაზრო ძალებისათვის შუალედური პერიოდის პერსპექტივაში დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა, აუცილებელი იყო მთავრობის მიერ სასწრაფო ნაბიჯების გადადგმა სრულად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად.

#### კანონმდებლობის კონვერგენციის პრობლემები

უნგრეთი დაბალანსებულად განაგრძობდა დაახლოების პროცესს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შიდა საბაზრო კანონმდებლობის ჩარჩოს ჩამოყალიბების დასრულებას. მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთმა დააკმაყოფილა გაწევრიანების პარტნიორობის ხელშეკრულების მოკლევადიანი პრიორიტეტები ეკონომიკური რეფორმების სფეროში, ხელი შეუწყო რა ვეტერინარული, ფიტოსანიტარული, ფინანსური კონტროლის ინტიტუტების, სასამართლო და შიდა საქმეების სფეროების გაძლიერებას, არასაკმარისი იყო ყურადღება, რომელიც იქნა მიმართული რეგიონალური განვითარების სტრუქტურების გაძლიერებისაკენ და საავტორო უფლებების კანონმდებლობის შიდა ბაზრის პრიორიტეტებისა და სახელმწიფო დახმარების კანონმდებლობის გაძლიერებისაკენ.

პოლონეთს ტრანსპორტის კანონმდებლობასთან და მის განხორციელებასთან შერეული პროგრესი გააჩნდა. შიდა ბაზრის კანონმდებლობასთან დაკავშირებული პროგრესი დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობდა, რაც გამოწვეული იყო სტანდარტებისა და სერტიფიცირების სფეროებში ინსტიტუციურ სტრუქტურებთან დაკავშირებული ახალი მიდგომების მიღების გაჭიანურებით. დაახლოების საერთო პროცესში ძირითადი სისუსტე გარემო გახლდათ. არასაკმარისი ყურადღება ექცეოდა სოფლის მეურნეობას, გარემოს, ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული შესაძლებლობების პრიორიტეტებს. სლოვაკეთის საერთო სისწრაფე დაახლოების პროცესისაკენ შენედა, სტრუქტურების განხორციელების გაძლიერება სათანადოდ არ მინდინარეობდა და გარკვეულ სექტორებში, იქ, სადაც აუცილებელი იყო კონცენტრირებული ნაბიჯების გადადგმა, შეფერხებები შესამჩნევი იყო (მაგალითად, შიდა ბაზარი, გარემო). მიუხედავად იმისა, რომ ტარდებოდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, კვლავ არსებობდა მრავალი პოლიტიკური პრობლემა, რომლებიც მოგვარებას საჭიროებდნენ. ინტელექტუალური და ინდუსტრიული კანონმდებლობის მიღების გარდა, შიდა ბაზრის,

ადმინისტრაციული შესაძლებლობებისა და გარემოს სფეროების მოკლევადიან პრიორიტეტებს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ჩეხეთის რესპუბლიკამ მცირე პროგრესი განიცადა დაახლოების საერთო პროცესში. შიდა ბაზრის კუთხით, შესამჩნევი პროგრესი იქნა მიღწეული სტანდარტებისა და სერტიფიცირების სფეროებში, თუმცა, უფრო ნაკლებად საბანკო და სააქციო ბაზრის მეთვალყურეობის სფეროებში. შიდა ბაზრის სხვა ძირითად სფეროებში, როგორებიცაა ინტელექტუალური და ინდუსტრიული ქონება, საჯარო შესყიდვები, მონაცემთა დაცვა, დაზღვევა და სახელმწიფო დახმარების კონტროლი, მხოლოდ მცირე იქნა მიღწეული.

#### გაწევრიანების პროცესი

კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე, 1997 წლის დეკემბრის ლუქსემბურგის სამიტზე დაიწყო გაფართოების პროცესი და ღია მოლაპარაკებები კანდიდატი ქვეყნების პირველ ჯგუფთან, ე.წ. “ლუქსემბურგის ქვეყნებთან”: ჩეხეთის რესპუბლიკასთან, ესტონეთთან, უნგრეთთან, პოლონეთთან, სლოვენიასა და კვიპროსთან. გაწევრიანების პროცესი დაიწყო 1998 წლის 30 მარტს ბრუსელში წევრი-ქვეყნების, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების და კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე.

გაწევრიანების პროცესი 2 ძირითად კომპონენტზე იყო დაფუძნებული:

გაწევრიანების წინა პერიოდის სტრატეგიის მხარდაჭერა, რომლის ამოცანაც იყო ხელი შეეწყო ყველა კანდიდატი ქვეყნისათვის რაც შეიძლება სწრაფად და გაწევრიანებამდე მოეყვანათ შესაბამისობაში საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მოლაპარაკების პროცესი ექვს ქვეყანასთან დაიწყო (ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვენია და კვიპროსი). ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებიდან მოლაპარაკებები დაიწყო ყველა ქვეყანასთან სლოვაკეთის გარდა. კომისიამ გამოყო 100 მილიონი ევროს ბიუჯეტი აღნიშნული პროცესისათვის. 1998-1999 წლებისათვის პროგრამები ფოკუსირებული იყო ბულგარეთისათვის, ლატვიისათვის, ლიტვის, სლოვაკეთისა და რუმინეთისათვის ინვესტიციების მხარდაჭერაზე, ეკონომიკურ რესტრუქტურირებასა და კორუფციასთან ბრძოლაზე.

მოლაპარაკებები სამ ეტაპად მიმდინარეობდა:

1. შემოწმება – ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შედარება;
2. მოლაპარაკები პროცესი – რომელიც კანონმდებლობას 31 თავად ჰყოფდა და დეტალურად ახდენდა კანონმდებლობისა და დასახული გარდამავალი პერიოდის ამოცანების შედარებას იმ სფეროებში, რომელიც საჭირო იყო ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოსათვის;
3. რატიფიკაციის პროცესი – გაწევრიანების შეთანხმების რატიფიკაცია ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნებისა და ევროპარლამენტის მიერ.

მოლაპარაკებები ახალ ქვეყნებთან კანონმდებლობის 31 თავს მოიცავდა და რთული და კომპლექსური იყო. მოლაპარაკების ძირითადი პრინციპი იყო არ მომხდარიყო პერმანენტული გადახვევა ევროკავშირის წესებიდან, რაც დაშვებული იყო კანდიდატი ქვეყნებისათვის, ვინაიდან ისინი აწყდებოდნენ ტექნიკურ და პრაქტიკულ სირთულეებს გარდამავალ პერიოდში; გარდამავალი პერიოდი 6-დან 12 წლამდე გრძელდებოდა. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც არ იქნა ჩართული ე.წ. “ლუქსემბურგის ქვეყნებში” სლოვაკეთი გახლდათ. სლოვაკეთის მთავარი ამოცანა იყო შესულიყო ევროკავშირში ვიშეგრადის ჯგუფის პარტნიორებთან ერთად და ეს მრავალი მიზეზით იყო განპირობებული. პოლიტიკური ინტერესების გარდა, ეს ძირითადად გამომდინარეობდა სურვილით გამოყენებულიყო ჩეხეთისა და სლოვაკეთის საბაჟო კავშირის უპირატესობა მანამ სანამ მოხდებოდა ევროკავშირის ჰარმონიზებულ რეჟიმში ინტეგრაცია სლოვაკეთ-შენგენის ზონის საზღვარზე მეზობელ ქვეყნებთან ერთად და გაძლიერებულიყო რეგიონებს შორის სასაზღვრო თანამშრომლობა. პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ საპარლამენტო არჩევნების გამო სლოვაკეთმა შეძლო შუალედური პერიოდის პოლიტიკური კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

მოგვიანებით, 1999 წლის 12 დეკემბერს ჰელსინკში გამართულ ევროპის საბჭოს სამიტზე, წევრმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს დაეწყოთ მეორე ჯგუფის ქვეყნების გაწევრიანების პროცესი. ეს ქვეყნები იყვნენ – ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, რუმინეთი და სლოვაკეთი – ე.წ. “ჰელსინკის ქვეყნები”. მოლაპარაკებები დაიწყო 2000 წლის 15 თებერვლიდან. გაწევრიანება (მოლაპარაკებები 12 კანდიდატი ქვეყნიდან 10-თან დასრულდა 2002 წელს კოპენჰაგენის 2002 წლის სამიტზე. თითქმის 10 წლის განმავლობაში დასრულდა ისტორიული ციკლი “კოპენჰაგენიდან კოპენჰაგენამდე”, 1993 წლის შემდეგ, როდესაც 2002 წლის 13 დეკემბერს პირველად იქნა გაცხადებული გაწევრიანების კრიტერიუმები, კოპენჰაგენის ევროპის საბჭომ

დაასრულა მოლაპარაკებები გაწევრიანების შესახებ 10 ქვეყანასთან). ვიშეგრადის ყველა ქვეყანა უნდა შესულიყო ევროკავშირში 2004 წელს (ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი) და კვიპროსი, ესტონეთი, ატვია, ლიტვა, მალტა და სლოვენია.

კომისია იყო პასუხისმგებელი გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნების პროგრესის მონიტორინგზე გაწევრიანების მთელი პერიოდის განმავლობაში და იგი სისტემატურად აწვდიდა დასკვნებს საბჭოს 2003 წლის განმავლობაში, ამ ანგარიშებში კომისია სისტემატურად გამოკვეთდა იმ საყურადღებო საკითხებს, რომლებზეც ყურადღების გამახვილება იყო საჭირო. ანგარიშის დოკუმენტი საბოლოო იყო და ქვეყნის გაწევრიანების შესახებ საერთო მომზადების დონეს განსაზღვავდა. ამ ანგარიშის მიხედვით, ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებს შემდეგი სფეროებისათვის უნდა მიექციათ ყურადღება: ჩეხეთის რესპუბლიკას, უნგრეთსა და პოლონეთს არ ჰქონდათ დასრულებული ევროკავშირის საჯარო შესყიდვების წესებთან ჰარმონიზაცია. რაც შეეხება საქონლის, სერვისების, ადამიანებისა და კაპიტალის თავისუფალ მიმოსვლას, აქ ჰარმონიზაცია შეუფერხებლად მიმდინარეობდა. რაც შეეხება ფინანსურ სერვისებს, პოლონეთი საჭიროებდა საფინანსო სექტორთან დაკავშირებულ საბოლოო ტრანსპორტირებას. ჩეხეთის რესპუბლიკა და სლოვაკეთი ამას დაზღვევის სექტორში საჭიროებდნენ. ჩეხეთის რესპუბლიკას, პოლონეთსა და სლოვაკეთს უნდა გაეძლიერებინათ მცდელობები რათა უზრუნველყოთ ყველა სახელმწიფო დახმარების ზომების შესაფერისი განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ძირითადად არსებობდა, ყველა კანდიდატ ქვეყანას პრიორიტეტად უნდა გაეხადა მომზადების დასრულება სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის სფეროებში, რომლებიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენდნენ მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრებაზე.

პოლონეთმა და სლოვაკეთმა უნდა დააჩქარონ დარჩენილი საქმიანობა დღგ-თან დაკავშირებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მოწესრიგების თვალსაზრისით. პოლონეთმა და სლოვაკეთმა იგივე უნდა გააკეთონ საბაჟო გადასახადის გასაუქმებლად. რაც შეეხება ფინანსურ კონტროლს, აუცილებელი იყო ნაბიჯების გადადგმა ჩეხეთის რესპუბლიკაში, უნგრეთსა და პოლონეთში შიდა საჯარო ფინანსური კონტროლის ოპტიმიზაციისათვის. დამატებითი მოქმედება იყო საჭირო უნგრეთში, პოლონეთსა და სლოვაკეთში გაწევრიანებისათვის საჭირო ყველა ზომების მისაღებად რათა მომხდარიყო ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვა. ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირთან დაკავშირებით, პოლონეთს უნდა გადაედგა საბოლოო ნაბიჯები, რომელიც საჭირო იყო ქვეყნის ცენტრალური ბანკის სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად. რაც შეეხება სოციალურ პოლიტიკასა და დასაქმებას, მაშინ როცა

გაწევრიანების წინა პერიოდის მომზადების პროცესებმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადეს, ჩეხეთის რესპუბლიკას, უნგრეთსა და პოლონეთს უნდა დაეჩქარებინათ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე, პოლონეთს უნდა ემუშავა შრომის კანონზე. ბუნების დაცვა ჩეხეთის რესპუბლიკაში, უნგრეთსა და პოლონეთში კვლავ არასაკმარისი იყო, ისევე როგორც ინდუსტრიული დაბინძურება და რისკების მენეჯმენტი უნგრეთში, პოლონეთსა და სლოვაკეთში.

ყველა კანდიდატ ქვეყანაში არსებობდა ერთი კონკრეტული პრობლემა და ის განხორციელებული პროგრამების ხარისხს ეხებოდა. პროგრამების დაწყება გადაიდებოდა თუკი სამართლებრივი ჩარჩო, მათ შორის ევროკავშირის წესები საჯარო შესყიდვაზე, სახელმწიფო დახმარებასა და გარემოს დაცვაზე, არ იქნებოდა მოწესრიგებული. ჩეხეთის რესპუბლიკას, უნგრეთსა და პოლონეთს განსაკუთრებით ეხებოდათ ეს რისკი. იგივე ეხებოდა ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის გაუმჯობესებას. ჩეხეთის რესპუბლიკამ ძირითადად შეინარჩუნა მაკროეკონომიკური სტაბილურობა. თუმცა, საჯარო ფინანსების მდგომარეობა გაუარესდა. ჩეხეთის რესპუბლიკა განაგრძობდა რეფორმის გზას, თუმცა ცალკეული შეფერხებებით. უნგრეთის საერთო მაკრო-ეკონომიკური წონასწორობა გაუარესდა, განსაკუთრებით მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობის, საგადასახდელი ბალანსისა და გაცვლითი და საპროცენტო განაკვეთების სტაბილურობასთან დაკავშირებით. 2002 წლის მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დეფიციტი აღმოფხვრილ იქნა 2003 წელს განხორციელებული მჭიდრო, თუმცა ძალიან ამბიციური ფისკალური პოლიტიკით, თუმცა, მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკა კიდევ უფრო მეტ დამაბულობას მატებდა არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტების ნაკრებს. ეკონომიკური რეფორმის გზა ღირსეულად მიმდინარეობდა, დარჩენილი სახელმწიფო კომპანიების პრივატიზაციის, ადმინისტრაციული ფასების თანდათანობითი ლიბერალიზაციით და პროგრესული საპენსიო რეფორმის დასრულებით. პოლონეთმა შეინარჩუნა სტაბილური მაკროეკონომიკური მდგომარეობა და თანდათანობით გაიმჯობესა მდგომარეობა, რომელიც ძირითადად გარე მოთხოვნით იყო განპირობებული. სლოვაკეთის მაკროეკონომიკური მაჩვენებელი საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა, ზოგიერთი უთანასწორობა მაინც მნიშვნელოვანი იყო. სლოვაკეთის პროგრესმა რეფორმის განხორციელების გზაზე, საჯარო საფინანსო სფეროშიც, ძლიერი სტიმული შეიძინა. სხვადასხვა ზომების გამოყენება იქნა გადაწყვეტილი და ზოგიერთი მათგანი ეფექტური აღმოჩნდა.

გაწევრიანების ხელშეკრულება ათენში, 2003 წლის 16 აპრილს იქნა ხელმოწერილი. ეს ქვეყნები შეუერთდნენ ევროკავშირს 2004 წლის 1 მაისს. ვიშეგრადის ქვეყნებმა

ერთობლივი გზა განვლეს ევროკავშირში გასაწევრიანებლად. როგორც მე-3 ცხრილშია მოცემული, ყველა მათი წარმატებული პროგრამა ერთი და იმავე დროს განხორციელდა, გარდა სლოვაკეთის შუალედური პერიოდის გაწევრიანების პროცესისა, ვინაიდან სლოვაკეთმა გვიან დაიწყო მოლაპარაკების პროცესი. მაგრამ, სლოვაკეთი უნდა დასწოლდა ვიშეგრადის სხვა ქვეყნებს გაწევრიანების პროცესის ბოლო ეტაპზე და ევროკავშირის ვიშეგრადის სხვა ქვეყნებთან ერთად შეუერთდა.

### ***8.3 ვიშეგრადის ქვეყნების კოოპერაციის პირობები და გამოცდილება ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ; ვიშეგრადის ქვეყნების მიზნების ფორმალური ხელახალი განაცხადი გაერთიანების შემდეგ***

ევროკავშირში გაწევრიანებიდან იწყება თანამედროვე ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ახალი გამოწვევები, იგი შეიძლება სინონიმი იყოს თანამედროვე ევროპული და ეკონომიკური ისტორიისა. აღმოსავლეთისაკენ გაფართოებისა და ევროკავშირის შიგნით რეფორმის პროცესს შორის კავშირზე მიგვანიშნებს ევროკომისიის ყოფილი პრეზიდენტი სანტერი, რომელმაც 2000 წლის აგვისტოში ევროკავშირის პარლამენტის წინაშე დღის წესრიგის წადგენისას თქვა: “ევროკავშირსა და ევროკავშირის გარეთ სწრაფი ცვლილებები მიმდინარეობს, რომლებიც მოითხოვენ ადაპტაციას, განვითარებასა და რეფორმებს. გაფართოებას ევროპისათვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, ამავე დროს, იგი წარმოადგენს გამოწვევას ევროპის უსაფრთხოების, ეკონომიკის, კულტურისა და მსოფლიოში მისი ადგილისათვის”.

შუალედური და ხანგძლივი პერიოდის ეკონომიკური გადასახედიდან, ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანება თავგადასავლებით აღსავსე გამოდგა. ვაჭრობა ამ ქვეყნებს შორის შემცირდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების კავშირის გაუქმების შემდეგ, თუმცა, ხელახლა იქნა ჩამოყალიბებული ცენტრალური ევროპის თავისუფალი სავაჭრო ზონის ფარგლებში. ევროკავშირში გაწევრიანებით, ევროკავშირის ღია ბაზარმა ამ ქვეყნებს უფრო მეტი შესაძლებლობები მისცა და ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებთან 90-იან წლებთან შედარებით გასამმაგდა. ძირითადი და მნიშვნელოვანი გამოწვევა ამ ქვეყნებისათვის იყო ევროკავშირში მომზადებული გაწევრიანება, კონკურენტულუნარიანობის გაზრდა ევროკავშირში შესვლამდე, ამისათვის მათ უნდა გამოეყენებინათ ევროკავშირის დახმარებს ფონდი, რომელიც სოლიდარობის პრინციპზე იყო დაფუძნებული. ევროკავშირის ეს მთავარი პრინციპი მოიცავს ეკონომიკურად ძალზე განვითარებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოლიდარობას ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოების მიმართ. ამ პრინციპის გამო, ევროკავშირის იმ ქვეყნების დახმარება, სადაც

საშუალო მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ევროკავშირის მაჩვენებლებზე დაბალი იყო და რომელსაც ვიშეგრადის ქვეყნებიც წარმოადგენდნენ.

მაგრამ, ამგვარი შესვლა უფრო ძვირადღირებულია და ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს უფრო მეტ რესურსებსა და გარდაქმნის პერიოდს. მოლაპარაკების პროცესის ნაწილებია გარდამავალი პერიოდები, რომლებიც შეძენილ იქნა კანდიდატი ქვეყნების მიერ მოლაპარაკებების პროცესის განმავლობაში. “დიფერენციაციის პრინციპმა”, რომელიც მიღებულ იქნა წევრი-ქვეყნების მიერ 1999 წელს ჰელსინკის სამიტზე, შესაძლებლობა მისცა თითოეულ კანდიდატ ქვეყანას ეწარმოებინათ მოლაპარაკებები მათ ტრანზიტულ პერიოდებზე. ევროკავშირის მიდგომა უნიფიცირებული იყო. ტრანზიტული პერიოდები ძირითადად სოფლის მეურნეობისა და ადამიანების თავისუფალი გადაადგილების სფეროებში იქნა შეთანხმებული. საერთო სამართლებრივი რეგულაცია ყველა ახალი წევრისათვის შეთანხმებულ იქნა ეკონომიკური და მონეტარული კავშირის, ბიზნეს-კომპანიების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში. სხვადასხვა შეთანხმება ტრანზიტულ პერიოდებზე ვიშეგრადის ქვეყნებთან შედარებით მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

**ცხრილი 3. პოლიტიკის სფეროები, რომლებშიც შეთანხმებულ იქნა გარდამავალი პერიოდის განსაკუთრებული პრიორიტეტულობა ვიშეგრადის ქვეყნებსა და ევროკავშირის შორის**

	ჩეხეთი	უნგრეთი	პოლონეთი	სლოვაკეთი
საქონლის თავისუფალი გადაადგილება	-	-	√	-
მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილება	√	√	√	√
მომსახურების თავისუფალი გადაადგილება	-	√	√	√
კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება	√	√	√	√
კონკურენცია	√	√	√	√
თევზჭერა და მასთან დაკავშირებული მრეწველობა	-	-	√	-
ტრანსპორტი	√	√	√	√
გადასახადები და დაბეგვრა	√	√	√	√
სოციალური	-	-	√	-

პოლიტიკა და დასაქმება				
ენერგეტიკა	√	-	√	√
ტელეკომუნიკაციები	-	-	√	-
გარემოს დაცვის საკითხები	√	√	√	√
საბაჟო კავშირები	-	√	-	-
ფინანსური და საბიუჯეტო საკითხები	√	√	√	√
ინსტიტუტები	√	√	√	√

√ გარდამავალი პერიოდის არსებობა

- გარდამავალი პერიოდის არქონა

ცხრილ 3-ში მოყვანილი მონაცემები ადასტურებს, რომ არ არსებობს დიდი განსხვავება ვიშეგრადის ქვეყნებს შორის პოლონეთის გარდა, რომელსაც ჰქონდა ტრანზიტული პერიოდების ყველაზე დიდი რაოდენობა ვიშეგრადის სხვა სამ ქვეყანასთან შედარებით. ახალმა წევრმა ქვეყნებმა უნდა აღასრულონ ევროკავშირის კანონმდებლობა იმ სფეროებში, სადაც ტრანზიტული პერიოდი არ იქნა შეთანხმებული. არატრანზიტული პერიოდი ეხებოდა ინდუსტრიულ პოლიტიკას, მცირე და საშუალო საწარმოებს, კვლევებსა და განვითარებას, განათლებას, კულტურას, რეგიონალურ პოლიტიკას, მომხმარებელთა დაცვას, სასამართლო და შინაგან საქმეთა სფეროებს, გარე ურთიერთობებს, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას. ყველაზე მეტად ინტენსიური მოლაპარაკებების პოლიტიკის არეა ეხებოდა სოფლის მეურნეობას და ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ვიშეგრადის ყველა ქვეყანაში.

*გარდამავალი შეთანხმებები მუშაკთა თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებით*

ტრანზიტული პერიოდები, ან შეზღუდვები ახალი წევრი სახელმწიფოებისათვის, მათ შორის ვიშეგრადის ჯგუფისათვის, ეხებოდა შრომის თავისუფალ მოძრაობას. შრომის ბაზრებთან დაკავშირებით, ე.წ. 2+3+2 მოწყობა მოითხოვებოდა ევროკავშირის 15 წევრისაგან. საერთო ტრანზიტული პერიოდი მაქსიმუმ შვიდი წლისათვის დაყოფილ იქნა ცალკეულ ფაზებთან (“2 პლიუს სამი პლიუს 2”

ფორმულა). განსხვავებული პირობები გამოიყენება გამოიყენება თითოეული ფაზისათვის”:

პირველი ორწლიანი ფაზა (1 მაისი 2004 – 30 აპრილი 2006)

მეორე სამწლიანი ფაზა (1 მაისი 2006 წელი – 30 აპრილი 2009)

მესამე ორწლიანი ფაზა (1 მაისი 2009 – 30 აპრილი 2011)

- თავდაპირველ ორწლიან პერიოდში, სხვა წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონი არეგულირებს ახალი წევრი სახელმწიფოებიდან მშრომელთა ხელმისაწვდომობას. პირველი ფაზის დასასრულს, კომისიამ უნდა წარმოადგინოს ანგარიში, რომელსაც საბჭო გამოიყენებს როგორც საფუძველს ტრანზიტული მოწყობის პირველი ფაზის ფუნქციონირების შემოწმებისათვის.

- წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაახანგძლივონ საკუთარი ეროვნული ღონისძიებები მეორე ფაზეს პერიოდში კიდევ სამი წლით, რაც უნდა შეატყობინონ კომისიას პირველი ფაზის დასასრულს.

- შეზღუდვები პრინციპში უნდა დასრულდეს მეორე ფაზაზე, თუმცა, წევრ სახელმწიფოს შეზღუდვები მესამე საბოლოო ფაზის განმავლობაში კიდევ ორი წლით შეუძლია გააგრძელოს, ეს უნდა მოხდეს კომისიის ინფორმირების საფუძველზე შრომითი ბაზრის სერიოზული ყვევების ან ამგვარი რყევების საფრთხის პირობებში.

ფინანსური დახმარება გაწევრიანებამდე დაიწყო. სხვა მნიშვნელოვანი სფერო მოლაპარაკებებისა ეხებოდა გაფართოებისათვის აუცილებელ ფინანსურ დახმარებას. 1999 წლის მარტში ბერლინში, ევროპის საბჭომ გამოყო 75 მილიარდი ევრო გაფართოების წინარე და გაფართოების პერიოდისათვის, რომელიც 2000-2006 წლების ფინანსურ პერსპექტივებს მოიცავდა. გაწევრიანების წინარე სტრატეგიისათვის წელიწადში 3.72 მილიარდი ევრო გამოიყო, რომელიც კონკრეტული საბიუჯეტო კომპენსაციებისა და გარდამავალი პერიოდის სარგებლისათვის უნდა დამატებოდა. 2002 წლის კოპენჰაგენის ევროპის საბჭომ მიიღო 40.9 მილიარდი ევროს დახმარების პორტფელი 10 კანდიდატი ქვეყნისათვის, რომელიც 2004-2006 წლების პერიოდს მოიცავდა. ხარჯების ვალდებულებები კანდიდატი ქვეყნების სასარგებლოდ შეადგენდა 37.5 მილიარდ ევროს, რომელიც პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკისათვის (9.8 მილიარდი ევრო) და შიდა პოლიტიკისათვის გამოიყო (4.2 მილიარდი ევრო).


ფინანსური გაფართოების პირდაპირი ხარჯი განსაზღვრული იყო ევროკავშირის შიგნით ბიუჯეტის ხარჯების ზედა ზღვრის ფარგლებში მთლიანი ეროვნული შემოსავლის 1.27 პროცენტით.

“The Phare” პროგრამა (პოლონეთის, უნგრეთის დახმარება ეკონომიკის რესტრუქტურირებისათვის) თავდაპირველად 1989 წელს იქნა მიღებული და მისი მიზანი იყო პოლონეთისა და უნგრეთისათვის დახმარების აღმოჩენა, თუმცა, დროთა განმავლობაში ამ პროგრამაში სხვა კანდიდატი ქვეყნებიც ჩაერთნენ.

1993 წლის ევროპის საბჭოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების გზის მომზადების კვალდაკვალ, The Phare პროგრამას ორი პრიორიტეტი ჰქონდა. პირველი ეხებოდა ინსტიტუციების შექმნას: ტვინინგის პროგრამა გულისხმობდა ევროკავშირის ექსპერტების მივლინებას ეროვნულ სამინისტროებში ერთი წლის განმავლობაში, მათი მუშაობის მიზანი იყო საჯარო ადმინისტრაციების გაძლიერება და ევროკავშირის კანონმდებლობის შემოღებისათვის მზადება. მეორე პრიორიტეტი იყო ეკონომიკური და სოციალური ერთობა, რომელიც უნდა მიღწეულიყო ყოვლისმომცველი ეროვნული განვითარების გეგმის მეშვეობით, რომელიც თითოეულ ქვეყანას თავად უნდა შეექმნა. კომისიის 2000 წლის დღის წესრიგის საფუძველზე, ბერლინის ევროპის საბჭომ 1999 წლის მარტში გადაწყვიტა გამოეყო გაწევრიანების წინა პერიოდის დახმარება და ISPA (სტრუქტურული პოლიტიკის სტრუქტურა გაწევრიანების წინა პერიოდში) შეექმნა. The Phare -თან შედარებით, მისი მიზანია ეკონომიკური და სოციალური ერთობის მიღწევა, მაგრამ ფოკუსი ექსკლუზიურად გარემოსდაცვასა და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაზეა. SAPARD (გაწევრიანების სპეციალური პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის) ჩამოყალიბდა ISPA-ს კვალდაკვალ და გააძლიერა სტრუქტურული დაახლოება სოფლის მეურნეობის სექტორებსა და სოფლად. 1990-2003 წლებისათვის გამოყოფილ იქნა 10 მილიარდი ევრო, The Phare ევროკავშირის გაწევრიანების წინა პერიოდის ყველაზე დიდი პროექტი იყო. გაფართოების კვალდაკვალ, ამ ტიპის დახმარება დასრულდა, მაგრამ გაწევრიანების პირველ წლებში მნიშვნელოვანი იყო. 2005 წელს 1.8 მილიარდი ევრო იქნა გამოყოფილი, რომელთაგან The Phare პროგრამაზე დაფინანსების ნახევარზე მეტი მოდიოდა (გრაფიკი 2.1.).

ვიშეგრადის ქვეყნებისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების რაოდენობა მითითებულია ქვემოთ მოყვანილ გრაფიკში. The Phare პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები ითვლება 1998-2003 წლებისათვის, SAPARD და ISPA პროგრამები 2002-2003 წლებისათვის.

გრაფიკი 1. ფინანსური მხარდაჭერა ვიშეგრადის ქვეყნების ჯგუფისათვის(მილ. ევრო-ევროკომისიის მონაცემები)



ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნებისათვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ეფექტური და სტრუქტურული ფონდებია. 2007 წელს ევროკავშირის წევრებისაგან ტრანსფერი ევროკავშირის 27 ქვეყნის მთლიანი საერთო პროდუქციის 0.8 პროცენტი იყო, რომლის 20% ახალი წევრი ქვეყნებისათვის იქნა გამოყოფილი. 2007-2013 ფინანსური წლებისათვის წილი 35%-მდე გაიზარდა, რაც ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქციის 7 პროცენტს შეადგენს. სტრუქტურული ფონდებიდან დახმარების ათვისების ყველაზე დიდი პროცენტი სლოვაკეთზე მოდიოდა (95%), შემდეგ უნგრეთსა და პოლონეთზე (94%) და ჩეხეთის რესპუბლიკაზე (91%). ახალი წევრი სახელმწიფოებისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის გაიცა. აღნიშნული დახმარება ორიენტირებული იყო კონკურენტუნარიანობისა და დაწვევის პროცესის გაძლიერებისაკენ. ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარება მოდიოდა ინფრასტრუქტურის, გარემოს, სოფლის მეურნეობისა და დაახლოების პოლიტიკის სფეროში. 2004-2006 წლებში კოპენჰაგენის 2002 წლის დეკემბრის ევროპის საბჭომ გაიღო დახმარება 40.9 მილიარდი ევროს ოდენობით 10 გაწევრიანების კანდიდატ ქვეყნებზე.

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა კარგა ხანია აღიარეს თანამშრომლობის მნიშვნელობა საერთო მიზნების მისაღწევად, თუნდაც იმ სფეროებში, რომლებიც ტრადიციულად ეროვნული, რეგიონალური ან თავად ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობად მოიაზრება. ამგვარი თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია

განათლების პოლიტიკა. მაშინ როდესაც, განათლება განიხილება როგორც წევრი ქვეყნების ან რეგიონების ხელისუფლების საკითხად, ევროკავშირის ინსტიტუტებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ამ სფეროში მომუშავე სამთავრობო ორგანიზაციების ერთად თავმოყრაში, რათა მათ ემუშავათ ერთობლივი მიზნების მისაღწევად, რასაც მთლიანობაში მთელი ევროპისათვის მოჰქონდა სარგებელი. ევროკომისია განსაკუთრებით აქტიურობდა ამ სფეროში. კოორდინაციის ახალი მეთოდი, ე.წ. “კოორდინაციის ღია მეთოდი” დიდი წარმატებით იქნა გამოყენებული წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის დონის გაუმჯობესებისათვის. ამ სისტემის ფარგლებში, წევრი სახელმწიფოები ევროპის გაიდლაინებს ეროვნულ და რეგიონალურ პოლისებში თარგმნიან, სახავენ მიზნებს და ახორციელებენ აქტივობებს, მონიტორინგის, შეფასებისა და რეფერირების მეშვეობით, იყენებენ დროის განრიგს, ინდიკატორებსა და ნიშნულებს საუკეთესო პრაქტიკების შესადარებლად. ამ პროცესის შედეგი კი წევრ-ქვეყნებსა და რეგიონებს შორის მიმდინარე წლებში განათლების საკითხებზე თანამშრომლობის გაზრდა გახლდათ.


#### ვიშეგრადის ქვეყნების ინტეგრაცია ეკონომიკურ და სავალუტო კავშირში

ვიშეგრადის ქვეყნებს შორის, საშუალო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ხუთი წლის განმავლობაში გაფართოების პროცესამდე ჰქონდა ჩეხეთის რესპუბლიკას. გაფართოების პროცესის შემდეგ სლოვაკეთმა შეცვალა ჩეხეთის რესპუბლიკა, როგორც ყველაზე მზარდმა ეკონომიკამ. ზრდის საშინაო მოთხოვნის წილი სლოვაკეთში 6 პროცენტს აჭარბებდა. ამ მაჩვენებელს გაფართოების შემდგომ პერიოდში პოლონეთი მოსდევდა. სლოვაკეთის გარდა, გაფართოების შემდგომ პერიოდში მხოლოდ პოლონეთს ჰქონდა პოზიტიური ზრდის კონტრიბუცია წმინდა ექსპორტებისაგან. გაფართოების შემდეგ ამ ჯგუფს ჩეხეთის რესპუბლიკა და უნგრეთი დაემატა.

ევროკავშირის გაფართოება გლობალიზაციის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. გაფართოებამ თან მოიტანა სამართლებრივი სიციხადე და ინსტიტუციონალური სტაბილურობა და გააუქმა ევროკავშირის შიგნით არსებული სავაჭრო ბარიერები. შედეგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის დიდი ოდენობით შედინებამ, ძირითადად ევროკავშირის ძველი წევრი სახელმწიფოებისაგან, მნიშვნელოვნად გაზარდა ტექნოლოგიური კონტენტი და ახალი წევრი ქვეყნების ექსპორტის კალათის პროდუქციის ხარისხი. აღნიშნულმა შესაძლებლობა მისცა ახალ წევრ ქვეყნებს თითქმის გაეორმაგებინათ მათი გლობალური ექსპორტის ბაზრის წვლილი 1999 და 2007 წლებს შორის, მიუხედავად ერთი შეხედვით დიდი დანაკარგებისა ხარჯების კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით. რეალური მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ღიაობის

კოეფიციენტები (გრაფიკი 2) გვიჩვენებს ამ პოზიტიურ დამოკიდებულებას, მიუხედავად იმისა რომ ურთიერთობის მნიშვნელობა იცვლება ქვეყნიდან ქვეყანაში.

გრაფიკი 2. წვერი ქვეყნების ეკონომიკების ღიაობა და მშპ-ს რეალური ზრდის ტემპები, 1996-2007 წ.(მიახლოებითი გამოთვლები, წყარო: Peter Bielik et al. Economics, Social Policy and Citizenship in the European Union. Nitra 2010, Slovak University of Agriculture p. 42)



ევროკავშირის 2004 წელს გაფართოების შემთხვევაში, სავაჭრო ლიბერალიზაცია განხორციელდა ახალი წვერი ქვეყნების მიერ არა როგორც ცალკე აღებული პოლიტიკა, არამედ როგორც პაკეტის ნაწილი, მათ შორის მაკროეკონომიკური და ფისკალური პოლისებისა. ამრიგად, ფართო კონტექსტში, ღიაობა წარმოადგენს პოზიტიურ ძალას ზრდისათვის.

ახალ წვერ სახელმწიფოებში ეკონომიკური ტრანსფორმაციის პოზიტიური ასპექტი შესაძლოა იყოს ფინანსური დაჩქარების პროგრამები, განსაკუთრებით, საშინაო ფინანსური სექტორის განვითარებისა და გლობალური ფინანსური ინტეგრაციისათვის ევროკავშირის-15-თან შედარებით. ამის მიზეზი იყო დიდძალი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება, რომელმაც გააძლიერა ეკონომიკური რესტრუქტურისა, ზრდა და ეფექტური შიდა ფინანსური სექტორის გაფართოება, შესაფერისი მაკრო პოლიტიკა და სავაჭრო ღიაობა.

ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ინვესტორი ახალ წვერ სახელმწიფოებში იყო გერმანია გერმანული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების 1/3 ახალ წვერ ქვეყნებში ჩეხეთის რესპუბლიკაზე მოდიოდა, უნგრეთის წილი 29 პროცენტი იყო, პოლონეთის 24

პროცენტი, სლოვაკეთის 10 პროცენტი. დასაქმება თითოეულ ამ ქვეყანაში უხეშად რომ ვთქვათ, ინვესტიციების მოცულობის პროპორციულია. თუმცა, მაშინ როდესაც ინვესტიციები ჩეხეთის რესპუბლიკაში პოლონეთის მაჩვენებელზე ფინანსური თვალსაზრისით 1/3-ჯერ მაღალია, დასაქმების დონე ამ ორ ქვეყანაში თითქმის ერთნაირია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ინვესტიციები ჩეხეთის რესპუბლიკაში შედარებით კაპიტალიზაციისაა. თუმცა, აღნიშნული შესაძლოა მხოლოდ ერთი ინვესტიციის შედეგი იყო (ფოლკსვაგენის მიერ შკოდის შესყიდვა)“.

დიდი ოდენობის კაპიტალის შემოდინებამ შეამცირა შიდა დანაზოგების ბარიერები კაპიტალის აკუმულირებაზე და შესაძლებელი გახდა, რომ ინვესტიციებმა მნიშვნელოვნად გაუსწრეს დანაზოგებს. ახალი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის შედეგად, ევროკავშირი შესაძლოა განვიხილოთ როგორც მიმზიდველი ადგილი ინვესტირებისათვის და ამან შესაძლოა, წესების დაახლოება გამოიწვიოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ცენტრალური და აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნების წილი ავსტრიულ ექსპორტში გაიზარდა 1989 წელ 4.4 პროცენტიდან 2004 წელს 18 პროცენტამდე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბაზრების გახსნის შემდეგ, ავსტრიულმა ფირმებმა მოიპოვეს ძალიან ძლიერი პოზიცია პირდაპირი ინვესტიციების სფეროში. 2004 წლისათვის, ავსტრიულმა საწარმოებმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 20 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიციები მოახდინეს და არსებული საინვესტიციო კაპიტალის ბაზრის 9 პროცენტის წილი მოიპოვეს. ამან მიგვიყვანა დაახლოებით 20 ათასი ავსტრიული ფილიალის და ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბებამდე. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვაკეთში, ავსტრია ერთ-ერთ მსხვილ უცხოელ ინვესტორს წარმოადგენს.

გაწევრიანების გზაზე დამდგარი ქვეყნები მონაწილეობას მიიღებენ გაწევრიანების შემდგომ ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში “გადახრის უფლებით”, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ ჯერ არ დაუკმაყოფილებიათ კრიტერიუმები, რომლებიც ერთიანი ვალუტის შემოღებისათვის არის საჭირო.

გაწევრიანებულმა ქვეყნებმა წარმოადგინეს სტრატეგიები, რომელთა მიზანი ევროზონის მიერთების ამოცანის მიღწევა იყო. ეს გეგმები იცვლება ერთი ქვეყნიდან მეორეში, ისინი ასახავენ თავდაპირველ ეკონომიკურ პირობებს და გაცვლითი კურსის რეჟიმებს. ევროკავშირის ხელშეკრულება არ ასახელებს გრაფიკს, მაგრამ მოითხოვს წევრი სახელმწიფოსაგან შეიმუშაოს საკუთარი სტრატეგია.

ევროს მიღება ახალი წევრი ქვეყნისათვის სავალდებულოა. ევროკავშირის ხელშეკრულებაში დეკლარირებულია რომ წევრი ქვეყნების პოლიტიკა უნდა იქნეს

მიმართული ერთიანი ვალუტის შემოღებისაკენ, როდესაც წევრი სახელმწიფო შეასრულებს აუცილებელ პირობებს. ქვეყნებს არა აქვს შესაძლებლობა უარი თქვან ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მოთხოვნების განხორციელებაზე, როგორც ეს შეუძლიათ გააკეთონ დანიასა და გაერთიანებულ სამეფოს. ეს ორი ქვეყანა მოქმედებს 2 პროტოკოლის საფუძველზე, რომელიც ხელშეკრულებას თან ერთვის. ისინი თავად წყვეტენ აპირებენ თუ არა საკუთარი პოლიტიკის მონეტარული კავშირისაკენ წარმართვას, მიიღებენ თუ არა ევროს როდესაც ისინი შეასრულებენ პირობებს.

ჩეხეთის რესპუბლიკას, უნგრეთსა და პოლონეთს ევროს შემოღებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი. ეს ქვეყნები ჯერ არ შეერთებებიან ევროპის სავალუტო ზონის მეორე მექანიზმს. ეს ქვეყნები მუშაობენ უფრო მოქნილი გაცვლითი კურსის ღონისძიებების ფარგლებში. როგორც ცხრილი 2.5 გვიჩვენებს, ყველა მათგანს მოცემული პერიოდისათვის გააჩნია შიდა ფულადი წამყვანები ინლაციის ტარგეტირების მეშვეობით, რომელიც ჩანაცვლებულია მართული ან თავისუფალი ტივტივებით, ეს ქვეყნები მიმდინარე რეჟიმის მისაღწევად სხვადასხვა გზას გადიან.

1998 წლიდან ჩეხეთის რესპუბლიკასა და პოლონეთში უკვე მოქმედებს ინფლაციის ზუსტი ტარგეტირება. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანაში ცენტრალური ბანკები თავდაპირველად ვერ ასრულებდნენ ინფლაციის ნიშნულებს დიდი ზღვრით, მონეტარული პოლიტიკის ჩარჩოს ძლიერი განხორციელების შემდგომმა დახვეწამ 2000-იანი წლების დასაწყისში ხელი შეუწყო დეზინფლაციასა და ინფლაციის სტაბილიზაციას ქვედა დონეებზე.

უნგრეთში, ცენტრალური ბანკი ოპერირებს ჰიბრიდულ ჩარჩოში, რომელიც ახდენს ინფლაციის ნიშნულის ფორინტის ევროსთან მიმართების ცალმხრივ სტაბილიზაციის კომბინირებას (+/-15% რხევის ჩარჩო). 2008 წლის თებერვალში, ფორინტის გაცვლითი კურსის ჩარჩო გაუქმდა. სლოვაკეთის მონეტარული პოლიტიკის ჩარჩომ, რომელიც ჩამოყალიბდა 2004 წელს და დამყარებულია ცალმხრივი ინფლაციის ნიშნულზე და გაცვლითი კურსის გამყარებაზე, როგორც ჩანს ხელი შეუწყო დაბალი ინფლაციის მოლოდინებს და წარმატებულ დეინფლაციას. 2005 წლის ნოემბერში, სლოვაკური კორუნა შეუერთდა ევროპის სავალუტო II მექანიზმს სტანდარტული რხევის ჩარჩოთი +/-15%<sup>12</sup>.

ევროზონაში გაფართოების პროგრესთან დაკავშირებით, ახალ წევრ სახელმწიფოებს სხვადასხვა ამოსავალი წერტილები ჰქონდათ და სხვადასხვა სტრატეგიები მოარგეს საკუთარ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. არ არსებობს ერთიანი, ოპტიმალური გზა ევროსაკენ, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს და რეკომენდირებული იყოს ყველა ქვეყნისათვის ყველა დროში. ზოგიერთმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა შეერთებოდნენ ევროზონას, სხვებმა უფრო ნაკლებ

პროგრესს მიაღწიეს და უკუსვლებიც ჰქონდათ. როგორც მე-6 ცხრილშია ნაჩვენები, გაზომვადი რეზულტატების მიხედვით დაახლოების კრიტერიუმები უნგრეთის შემთხვევაში იყო ფასის სტაბილურობის კრიტერიუმი და ფისკალური პოლიტიკის გაჭიანურება. პოლონეთმა და ჩეხეთის რესპუბლიკამ ევროს მიღებისას უფრო მეტი სიფრთხილე გამოიჩინეს. პოლონეთმა მხოლოდ 2008 წელს გამოაცხადა ევროზონისათვის 2012 წელს შეერთების თარიღი<sup>9</sup>.

ჩეხეთის რესპუბლიკამ ეს უკანასკნელი 2009-2010 წლებისათვის გადაიტანა და ამის მიზეზი ფისკალური კონსოლიდაციის გაჭიანურება იყო. ვიშეგრადის ყველა ქვეყნისათვის ევროს შემოღება მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ვიშეგრადის ქვეყნებს შორის შიდა ვაჭრობის სფეროს არსებობის გამო, ევროს შემოღება შესაძლებელს გახდის სრულად იქნას მიღებული ერთიანი ბაზრის სარგებელი. მიუხედავად გლობალური ფინანსური კრიზისისა, დისკუსიები ევროს შემოღების გეგმებზე და საზოგადოებრივი აზრი პოზიტიურია უნგრეთისა და პოლონეთის შემთხვევებში.

სლოვაკეთის შემთხვევა გვიჩვენებს, რომ ძლიერი ვალუტა, რომელიც ამ შემთხვევაში ევროა, შესაძლოა დაეხმაროს ქვეყანას ფინანსური კრიზისის შედეგების უკეთ დაძლევაში. ვიშეგრადის ქვეყნების ძირითადი გამოწვევა იქნება გაუმკლავდეს ფინანსური კრიზისის შედეგებს, შეინარჩუნოს პროგრესი დაახლოების პროცესში და განახორციელოს რეფორმები. ხანგძლივი პერსპექტივიდან, პოლისები, რომლებიც ევროზონაში გაწევრიანებისათვის მომზადებას გულისხმობენ, ძირითადად ეკონომიკური და ფინანსური შოკის იოლად რეგულირებისათვის.

ჩეხეთის რესპუბლიკა – “ჩეხეთის რესპუბლიკის ევრო ზონის შეერთების სტრატეგიის” 2007 წლის აგვისტოს ბოლო ანგარიშის მიხედვით ევროს შემოღებით სარგებლობისათვის აუცილებელი ზოგიერთი წინაპირობა დამაკმაყოფილებელი პარამეტრებით არ იქნა ჯერ-ჯერობით მიღწეული.

უნგრეთი – დაახლოების პროგრამის ბოლო ანგარიში არ ასახელებს ევროზონაში შესვლის სასურველ თარიღს.

ახალი წევრი ქვეყნებისათვის როგორც ჯგუფისათვის ევროზონაში მონაწილეობის პოტენციური სარგებლები მნიშვნელოვანია, ისინი პოზიტიურ ზეგავლენას ახდენენ ზრდასა და სტაბილურობაზე ხანგძლივ პერსპექტივაში. ევროს მიღება გავლენას ახდენს ეკონომიკური მაჩვენებელზე მთელი რიგი მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური

---

<sup>9</sup> შეუერთდა ევროზონას 2012 წლიდან

არხებით. ეს მოიცავს სტაბილურობაზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ჩარჩოს მიღებას, ლიკვიდური ბაზრების ხელმისაწვდომობას, უფრო მეტ ვაჭრობასა და უცხოურ პირდაპირ ინვესტიციას, ტრანზექციების დაბალ ხარჯებსა და გაზრდილ კონკურენციას. საჭიროა ავლნიშნოთ, რომ ევროს მიღება თავის თავში მოიცავს დიდ ეკონომიკურ ცვლილებებს, ერთიანი ვალუტის სფეროში წარმატებული მონაწილეობის მოთხოვნები მკაცრია. შესაბამისად ევროზონის წევრობაზე საჯარო დებატები უნდა ეყრდნობოდეს უფრო ფართო ასპექტებს და არა მხოლოდ ნომინალური დაახლოების სტატიკურ ხედვას.

ახალმა წევრმა ქვეყნებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს სტრუქტურული რეფორმების განხორციელებასთან დაკავშირებით. გაწევრიანების პერიოდში მათ გარდაქმნეს საკუთარი ეკონომიკები ცენტრალური დაგეგმარების მოდელიდან ბაზარზე დაფუძნებულ მოდელზე. ეს გაფართოების პროცესის მთავარი პოზიტიური მახასიათებელია. ვიშეგრადის ქვეყნებს შორის ყველაზე საუკეთესო ეკონომიკური ინდიკატორები ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან სლოვაკეთს აქვს. უფრო მოკრძალებული გაუმჯობესება აქვს პოლონეთს და ჩეხეთის რესპუბლიკას. პოლონეთში განსაკუთრებით, პროგრესი საკმაოდ ნელა ჩანს თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დიდ ნაპრალს რომელიც არის პოლონეთის ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და ევროკავშირ 15-ის საშუალო მაჩვენებელს შორის. უნგრეთს არანაირი გაუმჯობესება არ აქვს ევროკავშირ 15-ის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით და მისი დაახლოების პროცესი გაყინულია. ნაპრალი ევროკავშირ 15-სა და ახალ წევრებს შორის განსაკუთრებით იგრძნობა გლობალური ტექნოლოგიების ნაკლებობაში.

ევროკავშირში გაწევრიანება ახალი წევრი ქვეყნების მიერ შესაბამისად იქნა მართული, რომელიც ნაწილობრივ ევროკავშირის პოლიტიკის ჩარჩოთი იყო განპირობებული და რომლის მიხედვითაც ახალ წევრებს უნდა მიეღოთ გაწევრიანების ხელშეკრულება. ევროკავშირის მმართველობის მექანიზმის ძლიერი სფეროებია: ერთიან ბაზართან დაკავშირებული წესები, ლისაბონის დღის წესრიგი, რომელიც სტრუქტურული ცვლილებების წახალისებას ისახავს მიზნად, ფისკალური მეთვალყურეობა და ეკონომიკური და მონეტარული კავშირი იმისათვის რათა მიღწეულ იქნას მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ბოლოს, ახალი წევრი ქვეყნებისათვის ევროკავშირის ტრანზფერების ეფექტური გამოყენება, რომელსაც სარგებელი ახალი წევრებისათვის მოაქვს. ევროკავშირის ეკონომიკური და პოლიტიკის ჩარჩოს პატივისცემას მოაქვს თანაბარი შესაძლებლობები 27 ქვეყანაში, რითაც სარგებლობენ მომხმარებლები და ფირმები, რომლებსაც აქვთ ხელმიწვდომობა უზარმაზარ ერთიან ბაზართან, რომელიც საერთო წესებით იმართება. მთლიანობაში, ერთიანი ბაზრის რეგულაციები სწრაფადვე განხორციელდა ახალ წევრ ქვეყნებში, რომლებსაც გააჩნიათ ერთნაირი სატრანსპორტო დეფიციტი და ნაკლები დარღვევის შემთხვევები ვიდრე ძველ წევრ ქვეყნებს, საჯაროდ გამოცხადებული საჯარო შესყიდვების ასევე უფრო დიდი

წილი (მთლიანი შიდა პროდუქტის 5.7% 3.2%-ის საპირწონედ). შედეგად, გაზრდილი კონკურენციისა და დაწვევის ეფექტის გამო (რომელსაც შედეგად ახალ წევრ ქვეყნებში ბუნებრივად მოაქვთ დაბალი ფასების გაზრდა), ფასებში განსხვავება ევროკავშირში, პროდუქციისათვის, მათ შორის არაპირდაპირი გადასახადები, განსხვავების კოეფიციენტის საზომით მთლიანობაში შემცირდა 38.7 პროცენტიდან 1995 წელს 24.5 პროცენტამდე 2007 წელს.

ეს მთლიანობაში ეთანხმება დასკვნას, რომ ახალი წევრი ქვეყნები მნიშვნელოვნად არიან ჩამორჩენილნი კაპიტალის დაგროვებისა და პროდუქციულობის ზრდის ფაქტორების მიხედვით. იმისათვის რომ შენარჩუნებულ იქნას დაწვევის პროცესი, ყურადღება უნდა მიექცეს საჭიროებებს რათა გაუმჯობესდეს პირობები პოლიტიკის იმ მიმართულებებში, რომელიც ხელს უწყობს პროდუქციულობის გაზრდას.

მაშინ როდესაც შრომის ბაზართან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში ახალი წევრებს კარგი შესრულებით გამოირჩევიან, არსებობს მნიშვნელოვანი სისუსტეებიც. განსაკუთრებით აქტიური შრომითი ბაზრის პოლისები არის ნაკლებად განვითარებული და შრომის ბაზრები ხშირად გამოირჩევიან მაღალი სეგმენტაციით, რეგიონალური განსხვავებებითა და უნარების არასწორი განლაგებით”.

#### ვიშეგრადის ქვეყნების ინტეგრაცია და შრომითი ბაზრები

გაფართოების მეხუთე ტალღასთან დაკავშირებით პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა შრომითი ბაზრების ეფექტი შრომითი ძალების თავისუფალი გადაადგილების გამო. შემოსავლის ძირითადი დიფერენციაცია, რომელიც გაფართოებამდე პერიოდში არსებობდა ეხებოდა იმ ფაქტს, რომ გაფართოებას მოყვებოდა მიგრაცა ვიშეგრადის ქვეყნებიდან, ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ევროკავშირ-15-ის ბაზრებზე, რაც უარყოფით გავლენას მოახდენდა ადგილობრივ მუშაკთა ხელფასებსა და დასაქმების პერსპექტივებზე. ამგვარი შიშის გამო ევროკავშირ-15-ის ქვეყნებმა დროებითი შეზღუდვები დააწესეს მათ შრომით ბაზრებზე ახალი წევრი ქვეყნებიდან მუშაკთა ნაკადის შემოღინებაზე. მხოლოდ სამმა ქვეყანამ, გაერთიანებულმა სამეფომ, ირლანდიამ და შვედეთმა სრულად გახსნეს საკუთარი შრომითი ბაზრები 2004 წლის მაისში.

უმუშევრობის დონემ მკვეთრად დაიწია 2000 წლიდან 2007 წლებს შორის. 2007 წელს უმუშევრობის დონე დაეცა 7.6 პროცენტით, რაც 2003 წლის მაჩვენებელთან შედარებით 5

პროცენტით ნაკლები იყო. შემცირება შეეხო ვიშეგრადის ყველა ქვეყანას, განსაკუთრებით პოლონეთს (სადაც შემცირება 10 პროცენტის იყო 9.7 პროცენტამდე), სლოვაკეთში (6 პროცენტის კლება 11.1 პროცენტამდე), ჩეხეთის რესპუბლიკაში (3.4 პროცენტის კლება 11.1 პროცენტამდე).

ადამიანების თავისუფალი გადაადგილება უფლებას ანიჭებს ევროკავშირის მოქალაქეებს თავისუფლად გადაადგილდნენ ევროკავშირის ერთი წევრი ქვეყნიდან მეორეში დასაქმებისათვის და იცხოვრონ იქ ოჯახის წევრებთან ერთად. მუშაკთა გადაადგილების თავისუფლება სამართლებრივად უნდა განცალკევდეს თვითდასაქმების შექმნის თავისუფლებისა და სერვისების მიწოდების თავისუფლებისაგან. დირექტივა მუშაკთა გამწესების შესახებ ეხება ამ უკანასკნელ თავისუფლებას და არ ექვემდებარება გარდამავალ შეთანხმებებს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია და ავსტრია უფლებამოსილები არიან დააწესონ შეზღუდვები სერვისების ტრანსსასაზღვრო მიმოქცევის მარეგულირებელ დებულებებზე გარკვეულ სენსიტიურ სექტორებში, რომლებიც მუშაკთა დროებით გამწესებას გულისხმობს, როგორც ეს არის მოცემული გარდამავალი ინსტრუმენტების მოქმედება 2003 წლის გაწევრიანების აქტების მიხედვით, თითოეულ ქვეყანასთან დაკავშირებულ დანართში.

2003 წელს წევრს სახელმწიფოებს უფლება მიეცათ დროებით შეეზღუდათ თავიანთ სამუშაო ბაზრებზე მუშაკთა თავისუფალი გადაადგილება იმ წევრი ქვეყნიებიდან, რომლებიც ევროკავშირს 2004 წელს შეუერთდნენ (გამონაკლისს წარმოადგენდნენ მალტა და კვიპროსი)".

ევროკავშირის ძირითადი დანიშნულების ქვეყანა გაერთიანებული სამეფო გახდა, რომელმაც მიიღო ევროკავშირის შიგნით გადაადგილებულთა თითქმის 1/3, შემდეგ ადგილზეა ესპანეთი (18%) და ირლანდია (10%). პოლონელების თითქმის 60% გაერთიანებულ სამეფოს მიაშურა, მეორე ადგილზე ირლანდია (17%) და გერმანია (11%). სლოვაკი მუშაკების 55% გაერთიანებულ სამეფოს მიაშურა, 21% ჩეხეთის რესპუბლიკას და 11%-მა ირლანდიას. ჩეხეთის რესპუბლიკამ და უნგრეთმა უფრო დაბალი დონის შიდა მობილურობა გამოამჟღავნეს, რომელიც უფრო ნაკლებია ან ტოლია ევროკავშირ-15-ის წევრი სახელმწიფოების ანალოგიური მაჩვენებლისა.

მიგრაციამ შედეგად მოიტანა შრომითი რესურსების ხელახალი გადანაწილება ქვეყნებს შორის 2004 წლის ევროკავშირის გაფართოების პროცესის შედეგად, რომელმაც უკვე მოიტანა მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი გაფართოებული ევროკავშირისათვის. უფრო მეტიც, ევროკომისიის მიმდინარე კომუნიკაციის შესაბამისად, რომელიც ევროკავშირის გაფართოების კონტექსტში მუშაკთა თავისუფალ გადაადგილების შედეგს ეხება, შესაძლოა ითქვას, რომ გაფართოების შემდგომი

ევროკავშირის შიდა მობილურობის ნაკადებმა არ მიგვიყვანეს და ალბათ არც მიგვიყვანენ, შრომითი ბაზრის სერიოზულ არეულობამდე, ეს შეეხება როგორც რეალურ ხელფასებს, ასევე უმუშევრობის ტენდენციებს. 2004 წლის გაწევრიანების ქვეყნებისათვის დადგენილი გარდამავალი ინსტრუმენტების შესაბამისად, შეზღუდვები პრინციპში 2009 წლის 30 აპრილისათვის მოიხსნა. ძალიან მცირე რაოდენობა წევრი ქვეყნებისას, რომლებიც ჯერ კიდევ აწესებენ შეზღუდვებს მუშაკთა თავისუფალ გადაადგილებაზე, შეუძლიათ შეინარჩუნონ ეს ზომები 2009 წლის აპრილის შემდეგაც, თუკი ისინი აცნობებენ კომისიას, რომ არსებობს შრომითი ბაზრის სერიოზული არეულობა ან ამგვარი საფრთხე.

მუშაკთა გადაადგილების თავისუფლება ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით ერთ-ერთი ძირითადი თავისუფლებაა. ეს თავისუფლება დამყარებულია რაციონალზე, რომ საერთაშორისო შრომითი მობილურობა პოზიტიურად მოქმედებს შრომითი ბაზრების ფუნქციონირებაზე ევროპაში. ევროპის მრავალი მოქალაქისათვის, განსაკუთრებით ახალ წევრ ქვეყნებში, გადაადგილების და მუშაობის თავისუფლება სხვა ევროპულ ქვეყანაში იქცა მძლავრ და პოზიტიურ სიმბოლოდ იმისა, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ევროპა ინდივიდისათვის. ამ კუთხით, აუცილებელია ევროკავშირის ყველა მოქალაქეს მიეცეს შესაძლებლობა ისარგებლოს ამ თავისუფლებით.

ინტეგრაციის პროცესის განსხვავებები ევროკავშირის სხვა გაფართოებასთან შედარებით იყო:

- აპლიკანტების რაოდენობა

ვიშეგრადის ქვეყნები ევროკავშირში გაწევრიანდნენ 2004 წლის მაისში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 6 სხვა ქვეყანასთან ერთად (კვიპროსი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, შლოვენია) – ეს იყო ყველაზე მაღალი რიცხვი, რომელიც შეუერთდა ევროკავშირს.

- ინტეგრაციის დონე

ევროკავშირის ინტეგრაცია 2004 წელს ორიენტირებული იყო ეკონომიკური და მონეტარული კავშირის დასრულებაზე – წინა გაფართოებებთან შედარებით, რომელიც ორიენტირებული იყო საბაჟო კავშირსა და საერთო ბაზრის ჩამოყალიბებაზე, ასე რომ, ინტეგრაცია უფრო მეტად მომთხოვნი გახდა.

- გაწევრიანების პროცესის ხანგძლივობა

წინა გაფართოებებთან და კანონმდებლობის განგრძობასთან შედარებით, გაწევრიანების პროცესის ხანგძლივობა თითქმის ერთი და იგივე იყო. განსხვავება მხოლოდ იმაში

მდგომარეობდა, რომ ახალი წევრი სახელმწიფოები ევროკავშირს შეუერთდნენ არა იანვარში, არამედ მაისში.

ახალ წევრ ქვეყნებში ინტეგრაციის პროცესის ძირითად უპირატესობას ვაჭრობის ღიაობა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და ძლიერი დემოკრატიის მშენებლობისათვის აუცილებელი ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაუმჯობესება. ყოველივე ამან შედეგად მოიტანა პროდუქტიულობის ზრდის დაჩქარება, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ცხოვრების სტანდარტის საგრძნობი გაზრდისათვის. შემოსავლის შედარებითი განსხვავება ქვეყნებს შორის მცირდება, მაგრამ ფინანსური დახმარების განაწილება ახალ წევრ ქვეყნებს შორის არ არის პროპორციული, ვინაიდან ზოგიერთი რეგიონები უფრო მეტ სარგებელს იღებენ, ვიდრე სხვები. ამის მიზეზი არის ის, რომ კაპიტალი და კვალიფიციური სამუშაო კონცენტრირდება ძირითად რეგიონებში. ახალი წევრი ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებამ ზეგავლენა მოახდინა ევროკავშირზე, ისევე როგორც ამ ქვეყნებზე ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგაც. წევრობა მოითხოვდა რეფორმების განხორციელებას და ეკონომიკური და პოლიტიკური სტიმული მისცა ახალ წევრ სახელმწიფოებს შორის ფუნდამენტური ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულების გაძლიერებისათვის. ახალ წევრ ქვეყნებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ევროკავშირის ფინანსური დახმარება როგორც ევროკავშირის წევრობამდე, ასევე ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ და მიეღოთ სარგებელი ევროკავშირის სოლიდარობის პრინციპებზე დაყდნობით, რომელსაც შედეგად ევროკავშირის ფონდების ტრანსფერი მოჰქონდა. ევროკავშირში სრული გაწევრიანება მოითხოვს ახალი წევრი სახელმწიფოებისაგან მონეტარულ კავშირში გაწევრიანებასაც. ეს მოვალეობა სლოვაკეთმა შეასრულა და ვიშეგრადის სხვა ქვეყნები ცდილობენ მიაღწიონ ნომინალურ დაახლოებას და საკუთარი პოზიტიური ეკონომიკური შედეგების გაძლიერებას.

ინტეგრაციამ მთლიანობაში გააძლიერა ევროკავშირის ეკონომიკა და შესაძლოა მისცა ევროკავშირს მიეღო გლობალიზაციის სარგებელი. დღეისათვის, ევროკავშირს, 27 წევრი ქვეყნის მეშვეობით უფრო მეტად შეუძლია გაუმკლავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მსოფლიოში კლიმატის შეცვლა ან მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ვიშეგრადის ქვეყნებს შეუძლიათ იყვნენ ამ გავლენიანი თანამეგობრობის ნაწილი მსოფლიო დონეზე, ევროკავშირის მეშვეობით მათ შეუძლიათ საკუთარი ინტერესების გაძლიერება. ამდენად ინტეგრაციის პროცესმა მრავალი ეჭვი გააჩინა, რომელიც ძირითადად ევროკავშირის აბსორბაციის თვალსაზრისით, პოზიტიური გაფართოება უფრო მაღალი იყო, ვიდრე ნეგატიური ეფექტები. რა თქმა უნდა, ვინაიდან ახალ წევრ ქვეყნებს ჰქონდათ მნიშვნელოვნად დაბალი შემოსავლის დონე ვიდრე ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი იყო, ევროკავშირის მოქალაქეები ორჭოფობდნენ და ხედავდნენ გაკვეულ საფრთხეებს საკუთარ სამუშაოსთან, ხელფასებთან, უსაფრთოებასთან და

იდენტობასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა მოქალაქეებს ახალ წევრ სახელმწიფოებში ჰქონდათ გარკვეული შიშები დიდ ევროპულ თანასაზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ევროკავშირში გაწევრიანების ექვსი წლის შემდეგ, ევროკავშირის ხალხები იყენებენ იმ სარგებელს, რომელიც მათ გაფართოებამ მოუტანა.

რეგიონალურ დონეზე ეფექტური კომუნიკაცია საუკეთესო გზაა ევროკავშირის დონეზე ეფექტურობისა და დაახლოების პროცესების გაძლიერებისათვის. რა თქმა უნდა, ამ სფეროში ევროკავშირის პროგრამების და ქმედებების წარმატება მხოლოდ დაფინანსებული პროექტების რაოდენობით არ განისაზღვრება, არამედ იმ გავლენით, რაც მათ მოახდინეს ევროპელი მოქალაქეების დამოკიდებულებებსა და არჩევანზე. მაგალითად, უფრო შეკრული ევროპა საჭიროებს ევროპული მოქალაქეების მხარდაჭერას. ევროპელი მოქალაქეებს სამოქალაქო მონაწილეობა წარმოდგენს მტკიცებულებას, თუ რას ფიქრობენ, რას მიეკუთვნებიან და შესაძლოა განსაზღვროს ერთიანი ევროპის ხედვა. ამგვარი მოქალაქეობა იწყება მეზობლების უკეთ გაცნობით – ზუსტად იმით, თუ რა მიზნებიც ვიშეგრადის ქვეყნებს ჰქონდათ.

ევროკავშირი მხარს უჭერს ვიშეგრადის ჯგუფის მიდომას გააძლიეროს თანამშრომლობა წევრ სახელმწიფოებს შორის და ხელი შეუწყოს კულტურულ და საგანმანათლებლო გაცვლის პროგრამებს და მობილურობას, რაც ორმხივი ურთიერთგაცნობისათვის აუცილებელია. ვიშეგრადის ჯგუფი წარმოადგენს კარგად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ასოციაციას, რომელსაც წარმატებული თანამშრომლობის ტრადიცია გააჩნია. ვიშეგრადის ჯგუფი მზადაა განავითაროს ეს ინიციატივა და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანოს მთლიანად ევროკავშირის გაძლიერებაში.

გაფართოება წარმოადგენს უდიდეს გამოწვევას ევროპისათვის მომავალი წლებისათვის. ვიშეგრადის ქვეყნის მოქალაქეები ისეთივე ევროპელები არიან. იმისათვის, რათა მოხდეს მათი საერთო ევროპული იდენტობის გამოყენება, აუცილებელია მათი ჩართულობა დანარჩენ ევროპაში. ყველაზე სასარგებლო მოქალაქეებისათვის იქნებოდა გამოევიდნათ და მიეღოთ ის შესაძლებლობები, რომლებსაც მათ ევროპა აძლევს, და ერთობლივად გამოემერწათ ევროპა 21-ე საუკუნეში. ვიშეგრადის ქვეყნების ხალხები წინა საუკუნეებში ევროპაში იყვნენ ინტეგრირებულნი, და ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ კვლავ ევროპელებად თვლიან თავს. 1989 წლის შემდეგ ევროპის პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა გახსნა სივრცე მომავალი ევროპისათვის. ამ მდგომარეობის პოზიტიური შედეგია გარიყვის დასრულება და ის ფაქტი, რომ ევროკავშირის წევრებმა სარგებელი შეიძლება მიიღონ ევროპის განვითარების პროცესით.

ევროპა ჯერ კიდევ გაერთიანებას საჭიროებს. თანამშრომლობას საფუძვლები ჩაეყარა ცენტრალურ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების საწინააღმდეგო მოძრაობამ. ეხლა უკვე

ყველაზე დამოკიდებული ამ თანამშრომლობის განვითარება. ჩვენ გაგვაჩნია ყველანაირი შესაძლებლობა, ევროკავშირსა და ვიშეგრადის ქვეყნებს გააჩნიათ რესურსების დიდი ოდენობა, რაც მათ ერთმანეთ შესაძლოა შესთავაზონ – ადამიანური, ფინანსური, ცოდაზე დაფუძნებული და ფიზიკური რესურსები. სარგებელი, ისევე როგორც მოვალეობები განსაზღვრულია. იმედისმომცემია, რომ ვიშეგრადს ჯგუდმა ეხლა, კვლავ იპოვეს მათი ადგილი როგორც პოლიტიკური დებატების ფორუმმა. იმედისმომცემია, რომ ვიშეგრადის 4 კვლავ ფიქრობს, რომ რეგიონალური თანამშრომლობა, ეხლა ევროკავშირის შიგნით, ცოცხალია. იგი სასარგებლო იქნება არა მხოლოდ მონაწილე ქვეყნებისათვის, არამედ მნიშვნელოვან მოდელს წარმოადგენს დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისათვის .

ინტეგრაცია არ სრულდება გაწევრიანებით. ინტეგრაცია არის პროცესი, რომელი გრძელდება და საჭიროებს დინამიური კონკურენციული გარემოს შესწორებას იმისათვის, რათა შედეგები მოიტანოს. ამ კუთხით აუცილებელია როგორც ახალი წევრების, ასევე ევროკავშირის ძველი ქვეყნების მცდელობები.

#### ***ბიბლიოგრაფია:***

Bellamy, R., Warleigh, A. (eds.). (2001). Citizenship and Governance in the European Union. London: Continuum.

Delanty, G. Rumford, Ch. (2005). Rethinking Europe. Social theory and the implications of Europeanization. London and New York: Routledge.

Tomas Kavaliauskas Transformations in Central Europe between 1989 and 2012: Geopolitical, Cultural, and Socioeconomic Shifts, 2012

Peter Bielik et al. Economics, Social Policy and Citizenship in the European Union. Nitra 2010, Slovak University of Agriculture

European Commission. Composite papers. 1997. Reports on Progress towards accession by each of the candidate countries. Available at:

[http://ec.europa.eu/enlargement/archives/pdf/key\\_documents/1998/composite\\_en.pdf](http://ec.europa.eu/enlargement/archives/pdf/key_documents/1998/composite_en.pdf)

#### ***ვებ-რესურსები:***

<http://www.visegradgroup.eu/>

[http://ec.europa.eu/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/index_en.htm)

<http://www.cejpp.eu/index.php/ojs>

[http://europa.eu/index\\_en.htm](http://europa.eu/index_en.htm)

## დავალებები სემინარული მუშაობისათვის

### 1. გაანალიზეთ და შეაჯამეთ ვიშეგრადის ქვეყნებისა და ევროკავშირის ურთიერთობების ასპექტები 2000-2004 წლებში :

- სწრაფი პროგრესის ქვეყნები ვიშეგრადის ჯგუფიდან ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე
- წარმატებული ევროპული ინტეგრაციის განმსაზღვრელი ფაქტორები
- თანამშრომლობის პრობლემატური საკითხები ვიშეგრადის ქვეყნებისა და ევროკავშირის ურთიერთობებში

### 2. გაანალიზეთ და შეაჯამეთ ვიშეგრადის ქვეყნებისა და ევროკავშირის ურთიერთობების დინამიკა 1990-2000 წლებში

- თანამშრომლობის ინსტიტუციური ეტაპები ვიშეგრადის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის
- ევროკავშირის მიერ გაწეული ფინანსური და ტექნიკური დახმარების პროგრამების მიმოხილვა ვიშეგრადის ქვეყნებისათვის
- საბაზრო ინსტიტუტების მშენებლობა ვიშეგრადის ქვეყნებში

### *კვლევები და მონაცემთა წყაროები:*

ევროკავშირის ოფიციალური საიტი: [http://europa.eu/index\\_en.htm](http://europa.eu/index_en.htm)

ევროკომისიის ოფიციალური საიტი: [http://ec.europa.eu/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/index_en.htm)

ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი ჩეხეთში: <http://www.europeum.org/en/>

ვიშეგრადის ქვეყნების თანამშრომლობის პლატფორმა: <http://www.visegradgroup.eu/>

სლოვაკეთის ატლანტიკური კომისია: <http://www.ata-sac.org/index.php?cmd=>

ანალიტიკური პუბლიკაციები-„ვიშეგრადის მიმოხილვა“ და „ვიშეგრადის პერსპექტივა“:  
<http://visegradinsight.eu/>

## 9. სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობა და ვიშეგრადის კოოპერაცია

### 9.1 ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მდგრადი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება

სამოქალაქო საზოგადოების ცნება დინამიურია. ტერმინის მნიშვნელობა მუდმივად იცვლება და ასოცირდება ცვალებად ღირებულებებთან, მომხრეებთან და მოწინააღმდეგეებთან. მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოებას განვიხილავთ, როგორც შუალედურ სივრცეს კერძო და სახელმწიფო ინტერესებს შორის. სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს მონაწილეობითი დემოკრატიის განუყოფელ ნაწილს და მდებარეობს სახელმწიფო, საბაზრო და კერძო პირთა ცხოვრების სფეროებს მიღმა.

ტერმინით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა, ძირითადად აღნიშნავენ რეგიონს, რომელიც არის ევროპის ნაწილი და რომელსაც აქვს საერთო კომუნისტური წარსული. ოთხი ქვეყანა, რომელზეც ძირითადი ყურადღება იქნება გამახვილებული, მდებარეობენ ცენტრალურ ევროპაში და ხშირად მათ მოიხსენიებენ როგორც „ვიშეგრადის რეგიონი“ („Visegrad region“), „ვიშეგრადის ჯგუფი“ („Visegrad Group“), „ვიშეგრადის ოთხეული“ („Visegrad Four“ ) ან „ვ4“ („V4“). ესაა ცენტრალური ევროპის ოთხი სახელმწიფოს ალიანსი, რომელშიც გაერთიანებულია ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი. ოთხივე ქვეყანა გახდა ევროკავშირის წევრი 2004 წლის 1 მაისს. სამოქალაქო საზოგადოებებს ამ ქვეყნებში წარსულშიც ბევრი საერთო მახასიათებელი გააჩნდათ და ახლაც მთელი რიგი მსგავსებები ახასიათებთ.

ამერიკელი მკვლევარი მარკ ჰოვარდი თავის წიგნში „სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე პოსტკომუნისტურ ევროპაში“ (2003) ამტკიცებს, რომ სამოქალაქო საზოგადოება და მისი ჩართულობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში განვითარების უფრო დაბალ საფეხურზეა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. ამის მიზეზად ის ორ ძირითად ფაქტორს ასახელებს. პირველი – მოქალაქეების ორგანიზებული ჩართულობისა და მონაწილეობის დაბალი დონე მიუთითებს დემოკრატიის ზედაპირულ, ფორმალურ და პროცედურულ ხასიათზე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპაში. ჰოვარდი ვარაუდობს, რომ ეს მიუთითებს არასტაბილურობის მაღალ დონეზე და ქმნის ისეთ პირობებს, რომელიც აძლიერებს ანტიდემოკრატიულ და ანტისისტემურ მიდგომებს და იდეოლოგიას. მეორე და უფრო ოპტიმისტური ფაქტორია ის, რომ განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა არ აფერხებს (ლიბერალური) დემოკრატიის განვითარებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

დასავლეთ ევროპისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამოქალაქო საზოგადოებების და მოქალაქეთა ჩართულობის ტენდენციების შედარების შედეგად ჰოვარდი ასკენის, რომ პოსტ-კომუნისტურმა ქვეყნებმა გამოტოვეს „მონაწილეობითი დემოკრატიის“ ეტაპი. ამ გადასახედიდან, მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი დონე არ არის აუცილებლად სუსტი დემოკრატიული რეჟიმის მაჩვენებელი, არამედ მიუთითებს პრობლემებზე მოქალაქეებისა და სახელმწიფოს ურთიერთობაში (ჰოვარდი, 2003).

1970-იანი წლებიდან მოყოლებული სამოქალაქო საზოგადოების ტერმინი და არსი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კომუნისტურ რეჟიმთან დაპირისპირებაში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ავტორები, რომლებმაც ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დისიდენტებზე და დაეხმარნენ მათ გაეცნობიერებინათ სამოქალაქო საზოგადოების არსი და მნიშვნელობა იყვნენ უნგრელი ფილოსოფოსი ჯორჯ კონრადი, პოლონელი მწერალი და ჟურნალისტი ადამ მიჩნიკი და ჩეხი დრამატურგი ვაცლავ ჰაველი. დისიდენტური მოძრაობის მხარდამჭერებისათვის სამოქალაქო საზოგადოება მათი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო, ეს იყო ერთგვარი ცხოვრების სტილი. დისიდენტების მიერ სამოქალაქო საზოგადოების აღქმა ეფუძნებოდა რამდენიმე ძირითად ნორმატიულ საკითხს: ეთიკის დაცვის აუცილებლობა ქმედებაში, ჰუმანიზმის რწმენა, ადამიანთა უფლებების დაცვის მხარდაჭერა, ადამიანური ღირსების დაცვა, პიროვნების ავტონომიურობა და ხელისუფლების ოპოზიციაციაში ყოფნა.

საყურადღებოა, რომ დისიდენტების ინტელექტუალურ წრეებში სამოქალაქო საზოგადოების არსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენდა მათი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ძალადობის მიმართ. ეს საკმაოდ ჰგავს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების იდეის განვითარებას ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც ანტონიო გრამშის ზეგავლენით, სამოქალაქო საზოგადოება იბრძოდა არა მხოლოდ სამხედრო და ნახევრად სამხედრო რეჟიმების წინააღმდეგ, არამედ ასევე საზოგადოების ტრანსფორმაციისაკენ – კაპიტალისტური კლასის ჩამოსაგდებად (Reichardt in Keane, 2006). ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ძალადობისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს საზოგადოებრივი კამპანია სახელად „მიეცით პოლიციელს ფორთოხალი“. ეს კამპანია მიმდინარეობდა პოლონეთში 1980-იან წლებში, რომლის დროსაც დემონსტრანტები მორიგე პოლიციელებს იშვიათ ტროპიკული ხილს ჩუქნიდნენ. აღნიშნული დამოკიდებულების კიდევ ერთი მაგალითია დემონსტრანტების ერთ-ერთი ძირითადი სლოგანი „ჩვენ შიშველი ხელები გვაქვს“. მსგავსი ქმედებების მთავარი მიზანი იყო გამოეაშკარაებინა ძალადობის არალეგიტიმური გამოყენება – ძალისა, რომელიც კონცენტრირებული იყო სახელმწიფოს ხელში.

ამასთან, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კომუნისტურ ქვეყნებში ეს დისიდენტური სულისკვეთება გამოიხატებოდა, როგორც ოფიციალურ, ასევე ნახევრადოფიციალურ აქტივობებში (Kubik, 2000). კუბიკი აყალიბებს კომუნისტურ რეჟიმში სამოქალაქო საზოგადოების წევრების ტიპოლოგიას. მოკლედ რომ შევაჯამოთ, კუბიკის მოსაზრებით, კონცეპტუალურად პოსტკომუნისტური მემკვიდრეობა სამოქალაქო საზოგადოების სახით საკმაოდ კომპლექსურია, მას აქვს ძლიერი ნორმატიული დატვირთვა და სავსეა წინააღმდეგობებით.

სამოქალაქო საზოგადოების არსის ირგვლივ მიმდინარე დაპირისპირება ასახავს იდეოლოგიურ ბრძოლას სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანების აქტიურ მიმდევრებს, პოლიტიკოსებსა (ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ამ მიდგომის ერთ–ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერი იყო ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი) და მათ ლიბერალ კოლეგებს შორის, რომელთა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში არის დღევანდელი ჩეხეთის პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი. ლიბერალები სამოქალაქო საზოგადოებას უყურებენ, როგორც (ელიტური) წარმომადგენლობითი დემოკრატიის ზედმეტ დანამატს და სურვილი აქვთ შეამცირონ მოქალაქეთა ჩართულობის დონე, განსაკუთრებით არჩევნებში (Klaus, 2002).

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დაპირისპირება ამ ორ მიდგომას შორის განსაკუთრებით წინააღმდეგობრივია - ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე გავრცელებული არსი სახელმწიფოს ყოვლისმომცველი ძალაუფლების საპირისპიროა (Arato, Cohen 1988 in Kumar 1993); სელიგმანის თანახმად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამოქალაქო საზოგადოება ისტორიულად ხშირად სახელმწიფოს დომინანტური ძალაუფლების ერთადერთ იდეოლოგიურ ალტერნატივას წარმოადგენდა (Seligman, 1992, ასევე იხილეთ Walzer, 1998, Nardin, 1998). შესაბამისად, ამჟამად, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და ასევე ევროპაში მიმდინარეობს წინააღმდეგობრივი ბრძოლა სამოქალაქო საზოგადოების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრის შესახებ.

## 9.2 მდგრადი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება

ეს ქვეთავი აღწერს ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოების ამჟამინდელ მდგომარეობას ვიშეგრადის რეგიონში და ყურადღებას ამახვილებს იმ ძალისხმევაზე, რომელიც მისი განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება. სამოქალაქო საზოგადოების საერთო დინამიკის შეფასების მიზნით გაანალიზებულია ოთხი ქვეყნის (ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი) ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეები.

მიჩნეულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობას განსაზღვრავს ექვსი საკვანძო საკითხი. ამ საკითხებს ასევე ემატება რეგიონალიზმი:

- 1) ფინანსური შესაძლებლობები;
  - 2) ორგანიზაციული შესაძლებლობები;
  - 3) საზოგადოებრივი იმიჯი, დაცვა;
  - 4) ინფრასტრუქტურა;
  - 5) სამართლებრივი გარემო
  - 6) მომსახურების მიწოდება
- +1) რეგიონალიზმი

### ფინანსური შესაძლებლობები

არამომგებიანი სექტორის მთავარი სისუსტე ცენტრალურ ევროპაში მისი ფინანსური შესაძლებლობებია. მისი შემოსავლების სტრუქტურა განსხვავდება ძველი დემოკრატიული სახელმწიფოებისგან და მისი გამოწვევებიც ასევე განსხვავებულია.

როგორც წესი, შეიძლება ითქვას, რომ V4-ის ქვეყნებში კერძო შეწირულობების წილი (როგორცაა კერძო პირების, კორპორაციების, ფონდების ქველმოქმედება) კვლავ ძალზედ დაბალია. ამის გამო, ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ცდილობს დაეყრდნოს საკუთარი ძალებით გამომუშავებულ შემოსავალს (მომსახურების საფასური, პროდუქტის გაყიდვა, საწევრო გადასახადები, საინვესტიციო შემოსავლები), რის შედეგადაც იზრდება მომსახურებაზე ორიენტირებული სექტორები. ამის ალტერნატივა ყველაზე ხშირად საზოგადოებრივი მხარდაჭერაა (ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების რესურსები). ასეთი სახის შემოსავლების მიღება ხდება რამდენიმე ფორმით, დისტრიბუციის სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით. ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებში დისტრიბუციის მექანიზმები კარგადაა ჩამოყალიბებული და არ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. ბევრს მიაჩნია, რომ ასეთი მექანიზმები ცენტრალური ევროპის რეგიონში არა მხოლოდ იშვიათია, არამედ ასევე სამთავრობო გრანტების ზომა, მიზანი და სადისტრიბუციო პროცედურები დამოკიდებულია პიროვნულ მიდგომებსა და ინტერესებზე და იცვლება წლებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების მიხედვით. ეს წარმოშობს ორ მნიშვნელოვან პრობლემას. პირველი – საფრთხე ექმნება სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების დამოუკიდებლობას; და მეორე – იზღუდება ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობები. ამ კუთხით, მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს მარეგულირებელი პრაქტიკის დამყარება რეგიონში არასამთავრობო

ორგანიზაციებისათვის გაცემულ ფინანსურ დახმარებებზე მათი ფინანსური მდგრადობის მხარდაჭერის მიზნით.

ექვს გარეშეა, ზემოაღნიშნული ტენდენცია ზიანს აყენებს კერძო შეწირულობების ზრდას, რომელიც ნელი ტემპით მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ცვალებადი სამართლებრივი გარემოს ფონზე კერძო და კორპორაციული შეწირულობების იმიჯი იზრდება, მისი რეალური ფინანსური ღირებულებით კვლავ მიკერძოებულად სარგებლობენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ასევე, საყოველთაოდ მიღებულია, რომ მიუხედავად გარკვეული დადებითი გამონაკლისებისა, უცხოელი კერძო დონორების პრაქტიკა არ იქნა გაზიარებული ადგილობრივების მიერ, ეს ეხება როგორც თანხების გაცემის გამჭვირვალობას და არაპოლიტიკურ შეხედულებებს, ასევე, თანხების მოცულობას და ხედვას ინვესტიციების ისეთ პროექტებში განხორციელების შესახებ, რომლებსაც სარგებელი გრძელვადიან პერიოდში მოაქვს. დონორთა ფორუმებმა (The Donors' Forums), რომლებიც დაარსდა ქველმოქმედებისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო ღონისძიებების მხარდასაჭერად, ასევე, გრანტების გაცემისა და დონორთა საქმიანობისათვის სათანადო გარემოს შესაქმნელად საკუთარ ქვეყნებში, დიდი წვლილი შეიტანეს ამ ნაკლებადგანვითარებული სფეროს წინსვლაში. ამასთან, ყველა აღიარებს, რომ V4-ის ქვეყნებში ჯერ კიდევ არსებობს ქველმოქმედების კულტურის განვითარების საჭიროება.

ევროკავშირის ფონდებმა უდავოდ დიდი წვლილი შეიტანა ამ ქვეყნების ფინანსურ დახმარებაში და მათი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებით განვითარების საქმეში. ევროკავშირის ფონდების გამოჩენამ რეგიონში გავლენა მოახდინა ბევრ ორგანიზაციაში ახალი ორგანიზაციული პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე (როგორცაა დაგეგმვა, ადმინისტრირება, მონიტორინგი, პროექტების შედეგების გავრცობა) და წამოჭრეს ახალი გამოწვევები სამოქალაქო საზოგადოების სექტორისათვის, მათ შორისაა გამჭვირვალობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის საკითხები. იმის გაცნობიერებამ, რომ მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება ზეგავლენა მოახდინონ ფონდების მფლობელობაში არსებული რესურსების განაწილებაზე, ბიძგი მისცა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკების სამეთვალყურეო ქსელს (Bankwatch Network) შეექმნა პროექტი „საზოგადოებრივი ჩართულობა ევროკავშირის ფონდებში“, რომელიც საშუალებას მისცემდა მოქალაქეებს მონაწილეობა მიეღოთ გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რაზე დახარჯულიყო ევროკავშირის ფონდებიდან გამოყოფილი თანხები. საზოგადოებრივი ჩართულობა შესაძლოა გამოვლინდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე, როგორცაა, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში საზოგადოების ჩართულობის დონის მონიტორინგი და ევროკავშირის

ფონდებიდან თანხების დახარჯვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების უფრო ფართო ჩართულობის მხარდაჭერა.

მზარდი სექტორის ფინანსურმა საჭიროებებმა კრეატიული გადაწყვეტილებები წარმოშვა. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ეგრეთ წოდებული „პროცენტული შეწირულობა“ (Percentage Philanthropy).

1996 წელს უნგრეთში მიიღეს კანონი, რომელიც საშუალებას აძლევდა გადასახადის გადამხდელებს მათ მიერ წინა წელს გადახდილი პირადი საშემოსავლო გადასახადის 1 % გადაერიცხათ რაიმე სახის ქველმოქმედებისათვის მათი არჩევანის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ეს ქველმოქმედება აკმაყოფილებდა გარკვეულ სამართლებრივ მოთხოვნებს. ეს სისტემა დადებითად იქნა აღქმული უნგრულ არასამთავრობო ორგანიზაციათა საზოგადოების მიერ არა მხოლოდ შემოსავლის მიღების საშუალების გამო, არამედ უფრო მეტად მისი პოტენციალის გამო – აემალლებინა ქველმოქმედების კულტურა საზოგადოებაში, მოეზიდა რესურსები ისეთი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ნაკლებად იღებდნენ დაფინანსებას ცენტრალური ბიუჯეტიდან და მოეხდინა დაფინანსების დივერსიფიკაცია. ეს ღონისძიება განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა ადგილობრივი საზოგადოებრივი სექტორის ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ეხმარებოდნენ თავიანთი 1%-იანი შენატანით და ამით გარკვეულწილად აბალანსებდნენ დედაქალაქში მოღვაწე, ფინანსურად შედარებით უზრუნველყოფილ არასამთავრობო ორგანიზაციათა დომინანტობას. აღნიშნული მოდელი წარმატებულად შეფასდა და მისი დანერგვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული რეგიონში (სლოვაკეთში, პოლონეთში, რუმინეთში და ლიტვაში), თუმცა სხვა ქვეყნებმა (მაგ. ესტონეთმა) გადაწყვიტეს არ შემოეღოთ მსგავსი მექანიზმები.

ამავე პერიოდში, რეგიონში განვითარდა სათემო ფონდები. მათი ნათლად ჩამოყალიბებული მესიჯი, რომ მოქალაქეებს აქვთ საკმარისი ძალა და შესაძლებლობა გადაჭრან პრობლემები საკუთარი რესურსების მობილიზების გზით, მოძრაობაში გადაიზარდა. სლოვაკეთის ქალაქ ბანსკა ბისტრიკას „ჯანმრთელი ქალაქის ფონდი“ იყო პირველი ასეთი ფონდი რეგიონში. ფონდის ფუნქციონირების მექანიზმი ნაწილობრივ ინოვაცია იყო, ხოლო ნაწილობრივ კი შთაგონებული აშშ-ის სათემო საზოგადოებების მიერ. ფონდი არ ახორციელებდა საკუთარ პროექტებს, ის მხარს უჭერდა პროექტებს, რომლებიც თვითონ მოქალაქეებისგან იყო ინიცირებული. ფონდმა ჩამოაყალიბა პლატფორმა, სადაც ორგანიზაციებს და კერძო პირებს შეეძლოთ შეხვედრა და იდეების და შესაძლებლობების გაზიარება. „ჯანმრთელი ქალაქის ფონდი“ გახდა უდიდესი არამომგებიანი და საკმაოდ გავლენიანი ორგანიზაცია ქვეყნის ამ რეგიონში. ეს მოდელი სწრაფად გავრცელდა რეგიონში (გარდა უნგრეთისა) და ჩამოყალიბდა ეროვნული

ასოციაციები, რასაც შედეგად მოყვა პირველი V4-ის სათემო ფონდების კონფერენცია 2008 წელს.

შეიძლება ითქვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციათა სექტორის მდგრადობის განმტკიცებას რეგიონში ხელი შეუწყო კრეატიულმა და პრაქტიკულმა გადაწყვეტილებებმა, თუმცა, უაღრესად მნიშვნელოვანია მდგრადობის ამ ასპექტის განვითარების კუთხით გულმოდგინე მუშაობა. ზოგიერთი კრეატიული გადაწყვეტილება სწრაფად გავრცელდა რეგიონში, ზოგი კი არა, რაც, ძირითადად, პოლიტიკის შემუშავებისა და ინტერესების გამოხატვის არასათანადოდ განვითარებული უნარებითაა გამოწვეული.

### ორგანიზაციული შესაძლებლობები

ბოლო ოცი წლის მანძილზე, რეგიონში მესამე სექტორი მნიშვნელოვნად განვითარდა ორგანიზაციული შესაძლებლობების კუთხით. ნაწილობრივ, ეს წარმოადგენდა ბუნებრივ მოვლენას, რამდენადაც ორგანიზაციებმა ისწავლეს საკუთარი პრაქტიკიდან და გამოცდილებიდან, ნაწილობრივ კი ეს ორგანიზაციათა მხარდასაჭერად განხორციელებული სტრატეგიული ინვესტიციების შედეგია.

ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარების ხელშემწყობი თავდაპირველი პროგრამები შედგენილი იყო აშშ-ის გამოცდილებაზე დაყრდნობით და ფინანსდებოდა აშშ დონორების მიერ. ამის ნათელი მაგალითია ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ფონდის არასამთავრობო ორგანიზაციის ტრენერთა მომზადების პროგრამა, ასევე, მესამე სექტორის წარმომადგენელთათვის სტიპენდიების მიღების შესაძლებლობები აშშ-სა და ევროპაში. იგივე ფონდებმა, რომლებმაც დააფინანსეს ეს პროგრამები, წვლილი შეიტანეს მესამე სექტორის ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარებაში ინვესტიციების განხორციელებით ისეთ ინსტიტუტებში, რომლებიც აწვდიან სექტორის ასაღორძინებლად საჭირო მომსახურებას. ასეთი ორგანიზაციებია: არაკომერციული საინფორმაციო და სასწავლო ცენტრი (NIOK) უნგრეთში, სლოვაკეთის აკადემიის საინფორმაციო სააგენტო - მესამე სექტორის მომსახურების ცენტრი (SAIA-SCTS) და სხვა მსგავსი ორგანიზაციები ჩეხეთში, ლიტვაში, ესტონეთსა და სხვა ქვეყნებში. ამ ცენტრებმა შექმნეს ორფეოსის სამოქალაქო საზოგადოების ქსელი, რათა ხელი შეუწყონ ცოდნისა და გამოცდილებას გაზიარების საინფორმაციო ცენტრებსა და რესურსცენტრებს შორის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ. ორგანიზაციების ერთ-ერთი საერთო მახასიათებელია ის როლი, რომლებსაც ისინი ასრულებენ ამა თუ იმ ქვეყანაში. კერძოდ, ინფორმაციის მიწოდება სექტორისათვის და სექტორის შესახებ, ტრენინგები ორგანიზაციულ შესაძლებლობებში, უნარების განვითარება;

კონსულტაციების გაწევა ამ სექტორის წარმომადგენლებისათვის, განსაკუთრებით სამართლებრივ და საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით; მედიატორის როლი სექტორებს შორის, სექტორის დაკავშირება დონორებთან, პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

გამოცდილების გაზიარებას ამ სფეროში ხელს უწყობდა ფონდები, სასწავლო ვიზიტები და ვორქშოპები. ამ სახის აქტივობები წარმატებული აღმოჩნდა სექტორის ჩამოყალიბებისა და განვითარების პირველი წლების განმავლობაში. ნოუ-ჰაუს გაცვლამ ასეთ ორგანიზაციებს შორის ხელი შეუწყო მათ სათანადო განვითარებას და არასაჭირო სამუშაოს დუბლირების თავიდან აცილებას.

სამწუხაროდ, ამ ფაზის დასრულების შემდეგ, რომელიც დაემთხვა ბევრი უცხოელი დონორის წასვლას რეგიონიდან, ბევრმა ასეთმა ცენტრმა ვერ შეძლო ან არ მოინდომა ადაპტაცია მოეხდინა შეცვლილ გარემოსთან, სადაც ბევრი მათი პირველადი ფუნქცია შეითავსა სხვადასხვა ორგანიზაციებმა (მაგალითად, უნივერსიტეტებმა დაიწყეს აკრედიტებული კურსების შეთავაზება არასამთავრობო ორგანიზაციების მენეჯმენტში, შეიქმნა “მოხალისეთა ცენტრები“ მოხალისეთა საქმიანობის მხარდასაჭერად და წასახალისებლად და სხვა). თუმცა ზოგიერთმა ცენტრმა მოახერხა ფუნქციონირების გაგრძელება და შეინარჩუნა აქტიური როლი საზოგადოებაში, ბევრი მათგანი დაიხურა ან ვეღარ შეძლო წვლილი შეეტანა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში და შესაბამისად, ქსელი გახდა უფუნქციო.

დღესდღეობით, ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება ნაკლებად ითვლება პრიორიტეტულად. რამდენადაც ჯერ კიდევ არსებობს ბევრი გამოწვევა (მაგალითად, სრულ განაკვეთზე მომუშავეთა მცირე რიცხვი, თანამშრომელთა ხშირი ცვალებადობა, გრძელვადიანი დაგეგმვის ნაკლებობა, არასაკმარისი გამჭვირვალობა სექტორში, რესურსების არათანაბარი განაწილება და სხვა), რასაც ემატება აშშ-ის ზოგიერთი მსხვილი ფონდის (ჩარლზ სტიუარტ მოტის ფონდი, ფორდის ფონდი, როკფელერების ფონდი) გასვლა რეგიონიდან, რაც გარდა მცირეოდენი გამონაკლისებისა, ამ სახის სამუშაოსთვის აღარ არის საკმარისი რესურსი.

## ინფრასტრუქტურა

ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებში ინფრასტრუქტურა ერთ-ერთ ყველაზე კარგად განვითარებულ სფეროდ ითვლება მდგრადობის კუთხით, რაც განაპირობა ინფრასტრუქტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებამ კერძო ფონდების (ფონდი ღია საზოგადოება, ჩარლზ სტიუარტ მოტის ფონდი (C.S. Mott

Foundation), ფორდის ფონდი (the Ford Foundation), სასაკავას მშვიდობის ფონდი (Sasakawa Peace Foundation)) და ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობებისა და პროგრამების (ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს სამოქალაქო საზოგადოების პროგრამა (Matra KAP), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (CIDA)) მიერ.

საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებისათვის საბაზისო ინფრასტრუქტურის განვითარება დაიწყო საზოგადოების თავისუფლების ფუნდამენტური უფლებით და გაგრძელდა მატერიალური ინფრასტრუქტურის შექმნით, როგორცაა ორგანიზაციებისათვის საკუთარი საოფისე სივრცის ან შენობების ფლობის საკითხი. ახლა უკვე არსებობს საინფორმაციო ვებგვერდები სამოქალაქო საზოგადოებისათვის. არის პროგრამები, რომლებიც მხარს უჭერენ ამ სექტორში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას, ერთ-ერთი ასეთი ბოლო პროგრამაა TechSoup.org, რომელიც სთავაზობს არამომგებიან ორგანიზაციებს ყველა სახის რესურსს ტექნოლოგიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, აწვდის როგორც პროდუქტს, ასევე მომსახურებას.

ყველა დონეზე შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციების რამდენიმე კოალიცია, მაგრამ ასეთი ორგანიზაციების ფუნქციონირების ტექნიკას ჯერ კიდევ სჭირდება განვითარება. როგორც ჩანს, გარემოსდაცვით ორგანიზაციებს ყველაზე მეტად გააჩნიათ კოალიციის შექმნისათვის საჭირო უნარები და ამას შედეგი მოაქვს რამდენიმე დონეზე. გარდა იმისა, რომ ამ სფეროში ბევრი გამოცდილი და საქმისმოყვარული ადამიანი მუშაობს, ამ სფეროს განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ორგანიზაციამ „გარემოსდაცვითი პარტნიორობა მდგრადი განვითარებისათვის“ (Environmental Partnership for Sustainable Development (EPSD)), რომელიც უკვე 20 წელზე მეტია ფუნქციონირებს და 20 მილიონი ევროს ინვესტიციები აქვს განხორციელებული ადგილობრივი ინიციატივების მხარდასაჭერად.

ბულგარეთის, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და სლოვაკეთის ექვსი ფონდის კონსორციუმი მუშაობს იმისათვის, რომ მოსახლეობა გახდეს უფრო მობილიზებული და შეძლოს საკუთარი გარემოს და ადგილობრივი საზოგადოების გაუმჯობესება. მცირე მოცულობის გრანტების, ტექნიკური დახმარების, ქსელური თანამშრომლობის და ტრენინგების, ასევე სპეციალური პროგრამების საშუალებით კოალიციამ შეძლო საკუთარი კვალი დაეტოვებინა რეგიონში, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონულ დონეზე. როგორც საზოგადოების საუკეთესო ინტერესების წარმომადგენელი, ორგანიზაცია გახდა მნიშვნელოვანი მოთამაშე, როგორც პოლიტიკურ, ასევე არაპოლიტიკურ არენაზე (პოლიტიკაში ჩართვის გარეშე).

გაიზარდა ამ სექტორის პოლიტიკური როლიც, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლის მთავრობებიც მზად არიან სამოქალაქო საზოგადოებასთან სათანამშრომლოდ. ზოგიერთ შემთხვევაში, მთავრობათა პროტოკოლი ისეა შემუშავებული, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შეხედულებები გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგალითად, პოლონეთში არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმომადგენლები ჰყავთ სამინისტროების საკონსულტაციო ორგანოებში და არამომგებიანი ორგანიზაციების სამთავრობო საბჭოში (Government Board for Non-profit Organizations (RNNO)), ხოლო უნგრეთში, გადაწყვეტილებებს „ეროვნულ სამოქალაქო ფონდში“ იღებენ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან არჩეული წარმომადგენლები. უფრო მეტიც, პოლონურმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა ორგანიზაციებმა შექმნეს წარამტებული დარგობრივი კოალიცია, რომ ჰყოლოდათ წარმომადგენელი ბრიუსელში იმ პერიოდში, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანებას უსწრებდა წინ. სამწუხაროდ, ამ მოდელის გადაღება ვერ მოხერხდა ვერც სხვა დაინტერესებული, გაწევრიანების მსურველი ქვეყნების და ვერც მთლიანად V4-ის ქვეყნების წარმომადგენლების მიერ კოალიციის სახით.

ინფრასტრუქტურულ ორგანიზაციებში წარმოიშვა მოთხოვნა უფრო მეტად პროფესიონალური პოლიტიკის გატარებაზე რეგიონში. ამან გამოიწვია რამდენიმე პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბება (ხშირად ღია საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით), რომელთა ინტერესის სფეროც მოიცავს სამოქალაქო საზოგადოებას და დემოკრატიას. ასევე, პოლიტიკის ასოციაცია ღია საზოგადოებისათვის (PASOS), დამოუკიდებელ ექსპერტთა ქსელი, რომელიც მხარს უჭერს პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ ღია საზოგადოების ღირებულებების ხელშეწყობას, დემოკრატიის, კარგი მმართველობის, კანონის უზენაესობის და ადამიანთა უფლებების დაცვის ჩათვლით. გარდა ამისა, PASOS ახორციელებს ერთობლივ ტრანსსასაზღვრო პროექტებს და ერთობლივ მხარდაჭერას, რათა გააძლიეროს სოციალურ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ძალისხმევა ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში და მათ აღმოსავლეთ მეზობლებში, ასევე, ევროკავშირის სხვა სტრუქტურებში. ამ ორგანიზაციის ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მას შეუძლია სხვადასხვა ქვეყნების ცოდნისა და გამოცდილების სინთეზი.

PASOS-ის ბოლო კვლევებში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის წევრ ცენტრალური ევროპის ქვეყნებში საზოგადოების უნდობლობამ არსებული პოლიტიკური ელიტის მიმართ გამოიწვია მოქალაქეების საჯარო დებატებში ჩართულობის დაბალი დონე. ვიშეგრადის ჯგუფის ოთხი ქვეყნიდან სამში მოსახლეობის უმრავლესობა აღიარებს დემოკრატიის უპირატესობებს და მეტ შესაძლებლობებს 1989 წლამდე არსებულ დიქტატორულ რეჟიმთან შედარებით. თუმცა, საჭიროა პასიური საზოგადოების

გააქტიურება და „დემოკრატიის ნოუჰაუს“ გადაცემის ხელშეწყობა ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობლებში და სხვა ქვეყნებში.

ნათელია, რომ საჭიროა უფრო მეტის გაკეთება ისეთი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების და განსაკუთრებით კი პროდემოკრატიული არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებას, რომელთა საქმიანობა დღესაც კი, ბერლინის კედლის დანგრევიდან 20 წლის შემდეგ მეტად მნიშვნელოვანია.

### სამართლებრივი გარემო

სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი გარემოს განვითარების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში. ამ სფეროში ცნობიერების ამაღლებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სხვადასხვა ქვეყანაში, ძირითადად არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ კანონის ევროპული ცენტრის ექსპერტების კოორდინაციით. ბოლო დროს, მსგავსი როლი შეასრულა ევროპის საბჭოს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა (INGOs) კონფერენციის არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ კანონის ექსპერტთა საბჭომ, რომელმაც გააკეთა რამდენიმე ქვეყნის, V4-ის ქვეყნების ჩთვლით, კანონის თემატური მიმოხილვა არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის შესახებ. ისინი ასევე შეეხენ არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის საჭირო გარემოსა და პირობების შექმნის საკითხს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს აღნიშნულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში. კითხვარის მეორე ნაწილი ეხებოდა ადგილობრივ კანონებსა და პრაქტიკას. კვლევის პირველმა ნაწილმა აჩვენა, რომ არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული მოთხოვნები, ხოლო მეორე ნაწილმა აჩვენა, რომ ეს მოთხოვნები ჯერ-ჯერობით სრულად არ არის დაკმაყოფილებული.

გარდა ზოგადი სიტუაციისა, ჯერ კიდევ დღის წესრიგშია უფრო კონკრეტული და უფრო ფართო სამართლებრივი საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებასა და დემოკრატიის განვითარებაზე. ასეთი საკითხები მოიცავს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, მოქალაქეების უფლებებსა და ცნობიერების ამაღლებას, კონსტიტუციონალიზმის პატივისცემას და კანონის უზენაესობას, ურთიერთგაგებას და განსხვავებული

ადამიანებისა და ჯგუფების მიღებას. ესაა აქტუალური საკითხები და ბევრი მათგანი უშუალოდაა კავშირში არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

## მომსახურების მიწოდება

მომსახურების მიწოდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მზარდი მოვლენაა რეგიონში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, ზოგადად, უზრუნველყოფენ მომსახურების ფართო სპექტრს ისეთ სფეროებში, როგორცაა ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, გარემოს დაცვა, ახალგაზრდობის ჩართულობა, ნარკომანიის პრევენცია და ა.შ. მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობა ამ სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია და წარმოადგენს ინტერესებისა და შეხედულებების განხილვისა და კამათის საგანს.

ფინანსური რეზერვების ზოგადი ნაკლებობა სწრაფად აისახება მომსახურების მიმწოდებლებზე, რადგანაც, სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირების ან არასათანადო ფულადი ნაკადების შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს აღარ შეუძლიათ განაგრძონ მომსახურების მიწოდება. ეს განსაკუთრებით ნათელია, როდესაც ორგანიზაციას არ შეუძლია თავი გაართვას დაფინანსების მოდელს, რომელსაც მას სახელმწიფო ფონდები და ევროკავშირის პროგრამები სთავაზობენ (როდესაც თანხის ანაზღაურება ხდება დანახარჯების განხორციელების შემდეგ და ამასთან, ხშირად დაგვიანებით). მთავრობები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს აღიქვამენ პარტნიორებად, ხშირად მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებს უყურებენ, როგორც კონტრაქტორებს. ბევრი ორგანიზაცია, მხოლოდ თვითგადარჩენის მიზნით დებს მთავრობასთან კონტრაქტებს რეალური სტრატეგიის შემუშავების გარეშე – თუ როგორ გაამართლოს ის მოლოდინი, რომელიც მათ მიმართაა არსებობს და ამგვარად პრობლემებს უქმნიან საკუთარ კლიენტებს. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხშირად რომელიმე კონკრეტულ სექტორში მომსახურების ერთადერთი მიმწოდებლები არიან (მაგალითად, სამოქალაქო სექტორი ერთადერთია, რომელიც ინახავს თვშესაფრებს, ასევე, სამოქალაქო საზოგადოება დომინირებს ნარკომანთა რეაბილიტაციისა და შიდსის პრევენციის მიმართულებით), მათ ხშირად სჭირდებათ საკუთარი საქმიანობის გაფართოება სახელმწიფო მხარდაჭერის მისაღებად. რადგანაც სახელმწიფო დაფინანსების

ალტერნატიული წყაროები შეზღუდულია, სახელმწიფოზე დამოკიდებულება ორგანიზაციებს ხშირად მეტად რთულ სიტუაციაში აყენებს.

სიმართლეს შეესაბამება ის ფაქტიც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსი ხშირად ფორმალურად აქვთ მინიჭებული სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს, ძირითადად საავადმყოფოებს და სკოლებს, რათა ამ გზით მიიღონ საგადასახადო შეღავათები ან თავი აარიდონ სახელმწიფო ორგანიზაციების ადმინისტრაციულ ტვირთს.

რამდენადაც ქვეყნებს აქვთ ეკონომიკური პრობლემები და მათ წინაშე არის გამოწვევები სოციალური დაცვის კუთხით, სერვისების მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების როლის ზრდა გარდაუვალია.

## რეგიონალიზმი

ევროპაში ბევრი მაგალითია, როდესაც რამდენიმე ქვეყანა თანამშრომლობს ისეთ საკითხებზე, რომლებიც მათ საერთო ინტერესს წარმოადგენს, ასევე, არსებობს ტრანსსასაზღვრო რეგიონების თანამშრომლობის ბევრი შემთხვევა. ადგილობრივი (არაცენტრალური) მთავრობების თანამშრომლობის არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბოლო ათწლეულებში. ეს წარმოადგენდა ბუნებრივ პროცესს ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ, თუმცა, ის შესაძლოა ასევე დაკავშირებული იყოს ევროპაში მაკრორეგიონულ ინტეგრაციასა და ასევე, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების აქტიურ მხარდაჭერასთან. ქვემოთ განხილული იქნება ის ძირითადი დაინტერესებული მხარეები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს რეგიონული თანამშრომლობის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეგიონალიზმის ჩამოყალიბებაში, რამაც გავლენა მოახდინა V4-ის რეგიონზე.

ამ საქმის ერთ-ერთი პიონერი არის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია „კარპატების ფონდის ქსელი“ (Carpathian Foundation Network) დევიზით „ხუთი ერი, ერთი საზოგადოება“. ორგანიზაცია გამოხატავს მის დაინტერესებას რეგიონალიზმის განვითარებაში ხუთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს (პოლონეთი, სლოვაკეთი, უკრაინა, უნგრეთი და რუმინეთი) ქსელის ჩამოყალიბებით ევროპაში, კარპატებში. 1995 წლიდან მოყოლებული, კარპატების ფონდი ხელს უწყობს ამ ქვეყნების მრავალფეროვანი და მრავალეთნიკური საზოგადოებების განვითარებას და ეხმარება არაკომერციულ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მთავრობებს ოპერაციული

პროგრამებით, რომლებიც ქმნიან ახალ შესაძლებლობებს და ასევე საგრანტო პროექტებით ათი მილიონი ევროს ფარგლებში.

გარდა განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობისა, არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონში მოქალაქეების გააქტიურებას. ამისათვის საკმარისია გადავხედოთ ევროკავშირის, ევროკომისიისა და მისი ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტების ანგარიშებს, ასევე ღია საზოგადოების ინსტიტუტის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფონდისა და ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის ვებგვერდებს, სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტების და ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშებს და სხვა.

განვიხილოთ ის ძირითადი ინსტიტუტები, რომლებიც აქტიურად უწყობდნენ ხელს რეგიონალიზმს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით V4-ის ქვეყნებში.

ორმა ზესახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ, ევროპის საბჭომ და ევროკავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნებს შორის თანამშრომლობისათვის საჭირო პირობების გაუმჯობესებაში – ევროპის საბჭო აქტიურად იყო ჩართული სამართლებრივი სიტუაციის გაუმჯობესებაში, ხოლო ევროკავშირის კომისია გამოყოფს მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას ასეთი ინიციატივებისათვის. სამართლებრივი თვალსაზრისით თანამშრომლობა შესაძლოა წარიმართოს სხვადასხვა ფორმით, როგორცაა შეთანხმებები საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან (ძირითადად ადგილობრივ ხელისუფლებასთან) და უფრო იშვიათად მესამე პირებთან, როგორცაა რეგიონალური განვითარების სააგენტოები, სავაჭრო პალატები და საზოგადოებრივი სექტორის ორგანიზაციები. ზოგიერთი ინიციატივა მხოლოდ ფორმალურ კონტრაქტებად რჩება, ზოგს კი მოსდევს ეფექტური თანამშრომლობა სხვადასხვა საკითხების გარშემო.

V4-ის ქვეყნებს გააჩნიათ დაფინანსების მექანიზმები საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგიონული ფუნქციონირებისათვის. გარდა ეროვნული რესურსებისა, ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების მთავრობებმა დააფუძნეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი, რათა საერთო კულტურული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებით, ასევე ტურიზმის პოპულარიზაციით, ხელი შეეწყოს უფრო მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებისათვის V4-ის ქვეყნებს შორის, ასევე, V4-ის ქვეყნებსა და სხვა ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით (მაგრამ არა მხოლოდ) ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან აღმოსავლეთ ევროპაში, დასავლეთ ბალკანეთში და სამხრეთ კავკასიაში.

ფონდის ბიუჯეტი (6 მილიონი ევრო, 2010 წ) შედგება ვიშეგრადის ჯგუფის თითოეული ქვეყნის მთავრობის თანაბარი შემოწირულობებისგან. ფონდს აქვს შემდეგი პროგრამები: სამი საგრანტო პროგრამა (პატარა / სტანდარტული / სტრატეგიული გრანტები), სამი

სახის სტიპენდია, კურიკულუმების განვითარების პროგრამა უნივერსიტეტებისთვის. გარდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა, ფონდის მხარდაჭერით სარგებლობის უფლება აქვთ ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების (და სხვა ქვეყნების) მუნიციპალიტეტებს და ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, სკოლებსა და უნივერსიტეტებს, კერძო კომპანიებს და ინდივიდუალურ მოქალაქეებს. მცირე და სტანდარტული გრანტების შემთხვევაში პროექტების დაფინანსება ხდება ვიშეგრადის მინიმუმ სამი ქვეყნის ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ და ორგანიზებას უკეთებენ აქტივობებს სამოქალაქო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში – თანამშრომლობა კულტურის სფეროში, კვლევა და მეცნიერთა გაცვლა, განათლება, გაცვლითი პროგრამები ახალგაზრდებისათვის, საზღვრებსშორისი თანამშრომლობა და ტურიზმის პოპულარიზაცია. ვიშეგრადის სტრატეგიული პროგრამა უფრო მეტად ფოკუსირებულია სტრატეგიული ხასიათის გრძელვადიანი პროექტების მხარდასაჭერად, რომლებიც აერთიანებენ ვიშეგრადის ყველა ქვეყნის ორგანიზაციას და აკმაყოფილებენ მოცემული წლისთვის მინისტრთა კონფერენციის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს, გამომდინარე ვიშეგრადის ჯგუფის საგარეო პოლიტიკის მიმართულებებიდან. მაგალითად, „მწვანე ვიშეგრადის“ აშენება, V4-ის ნოუჰაუს გაზიარება მეზობელ რეგიონებთან, V4-ის ხელშეწყობა. ვიშეგრადის უნივერსიტეტის სასწავლო გრანტი (VUSG) მიზნად ისახავს ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო კურსების და პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის ხელშეწყობას. კრიტიკა, რომელიც ხშირად ისმოდა ფონდის დაარსების პირველ წლებში, იმის გამო, რომ ის მეტისმეტად დიდ აქცენტს აკეთებდა რეგიონალიზმსა და V4-ის ქვეყნებზე, ფონდის მუშაობიდან ათი წლის შემდეგ მინიმუმამდე შემცირდა, ეს ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მთელმა რიგმა წარმატებულმა პროექტებმა დაადასტურეს რეგიონული კოოპერაციის მნიშვნელობა. საგრანტო აპლიკაციებისა და გამარჯვებული პროექტების მზარდი რაოდენობა და პროექტების წარმატებით განხორციელების მაჩვენებელი ადასტურებს, რომ სულ უფრო მეტ არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია შექმნას თანამშრომლობის ქსელები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში.

ზოგიერთი კერძო დონორი, მათ შორის ღია საზოგადოების ინსტიტუტი (და მისი ინსტიტუტების ქსელი) და ცენტრალური ევროპის ფონდი იზიარებს რეგიონალიზმის ხედვას. ეს კერძო დონორი ორგანიზაციები მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში და ხელს უწყობენ საზღვრებს შორის თანამშრომლობას.

ღია საზოგადოების ინსტიტუტის მიზანია ხალი შეუწყოს ძლიერი და ტოლერანტული დემოკრატიული სახელმწიფოების განვითარებას, რომელთა მთავრობები ანგარიშვალდებულნი არიან საკუთარი მოქალაქეების წინაშე. ღია საზოგადოების

ინსტიტუტის ინიციატივები მიმართულია კონკრეტულ საკითხებზე რეგიონულ დონეზე. ექვსგარეშეა, რომ მან დიდი წვლილი შეიტანა სამოქალაქო საზოგადოებისა და მოწინავე დემოკრატიების ჩამოყალიბებაში თავდაპირველად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო მოგვიანებით, გლობალური მასშტაბით. კონკრეტულად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კოოპერაციის ხელშეწყობისკენ მიმართული პროგრამა "აღმოსავლეთ-აღმოსავლეთი: პარტნიორობა საზღვრების გარეშე" აფინანსებს გაცვლით პროგრამებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეიკრიბონ, გაუზიარონ ერთმანეთს იდეები, ინფორმაცია, ცოდნა და გამოცდილება.

სოროსის ინსტიტუტების ქსელის ერთ-ერთი უდიდესი ინსტიტუტი არის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, რომელიც მუდმივი საქველმოქმედო ფონდის ექსკლუზიური ბენეფიციარია. ეს ფონდი ერთ-ერთი უმსხვილესი აკადემიური ფონდია ევროპაში. მისი მიზანია ხელი შეუწყოს დიქტატურიდან დემოკრატიაზე გადასვლის პროცესს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. ამ მიზნით, ის ხელს უწყობს ინოვაციურ აკადემიურ კვლევებს, პროგრესულ უმაღლეს განათლებას, დინამიური, მდგრადი ღია საზოგადოების განვითარებას ძირითადად ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. როგორც ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, ასევე ღია საზოგადოების ინსტიტუტი წარმოადგენენ ლიდერებს რეგიონული აზროვნების მიმართულებით, შეიმუშავენ რეკომენდაციებს და მხარს უჭერენ პოლიტიკურ ინიციატივებს სოციო-ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებით, მუშაობენ ადგილობრივი ინიციატივების წასახალისებლად „კარგი მმართველობის“ გაძლიერების მიზნით. მათი მუშაობის არეალში შედის ისეთი მრავალფეროვანი გამოწვევები, როგორებიცაა სამოქალაქო საზოგადოება, დამოუკიდებელი მედია და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელშეწყობა.

სამოქალაქო საზოგადოების ნდობის ფონდი (The Trust Fund for Civil Society), რომელიც ერთობლივად დაარსებული სხვადასხვა ორგანიზაციების (Atlantic Philanthropies, the C. S. Mott Foundation, the Ford Foundation, the German Marshall Fund of the United States, the OSI, and the Rockefeller Brother Fund) მიერ, ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გრძელვადიან, მდგრად განვითარებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ტრანსსასაზღვრო და რეგიონული საქმიანობის გააქტიურებას, რომელშიც შესაძლოა ისინი იყვნენ ჩართულები. ამ მიზნით 2012 წელს ფონდიდან დაახლოებით 75 მილიონ აშშ დოლარამდე გამოიყო. ფონდის საქმიანობის გეოგრაფიულ არეალში შედის V4 ქვეყნები, ასევე, ბულგარეთი, რუმინეთი და სლოვენია. ფონდის პროგრამების მიზნებში შედის იმ სფეროს ღრმა ცოდნა, რომელიც ორიენტირებულია სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობი გარემოს ჩამოყალიბებაზე, ეს მოიცავს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისათვის ხელსაყრელ სამართლებრივ,

ფისკალურ და პოლიტიკურ გარემოს, შესაძლებლობების განვითარებას, დაცვას, ინტრასექტორულ (ერთ სექტორს შიგნით) და კროსსექტორულ (სხვადასხვა სექტორებს შორის) თანამშრომლობას და პარტნიორობას, არამომგებიანი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის გაძლიერებას.

გარდა საგრანტო საქმიანობისა, სამოქალაქო საზოგადოების ნდობის ფონდი (CEE Trust Fund) ასევე ასრულებს ჰაბის როლს სამოქალაქო საზოგადოებებისათვის რეგიონში. ფონდის ვებგვერდი და მის მიერ ორგანიზებული „სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი“ და „სოციალური ინოვაციების ბანაკი“ ამის ბრწყინვალე მაგალითებია. მხოლოდ „სამოქალაქო საზოგადოების ფორუმმა“ მიიზიდა დაახლოებით სამასი მონაწილე, რომლებიც ჩართულები არიან სამოქალაქო საზოგადოების გაუმჯობესებაში ბულგარეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, უნგრეთში, პოლონეთში, რუმინეთში, სლოვაკეთსა და სლოვენიაში. დიდი ინტერესი აღნიშნული ღონისძიების მიმართ და მისი წარმატება ადასტურებს ასეთი ჰაბების და შეხვედრის ადგილების არსებობის აუცილებლობას.

ცენტრალური ევროპის ფონდი არის კერძო, არამომგებიანი საგრანტო ორგანიზაცია, რომელიც თავიდანვე ორიენტირებული იყო განვითარების ხელშეწყობაზე ცენტრალური ევროპის რეგიონში. მისი დამფუძნებლები აფასებენ ერებისა და კულტურათა მრავალფეროვნებას, რომლებიც ურთიერთპატივისცემით თანაარსებობენ პატარა სივრცეში. ფონდი ხელს უწყობს კულტურულ ღონისძიებებს, რომლებიც აკავშირებს სლოვაკეთს რეგიონის სხვა ქვეყნებთან. თავისი წვლილი შეაქვს რეგიონში მრავალენობრივი და მრავალეთნიკური საზოგადოების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში. მხოლოდ 2008 წელს, ფონდმა თითქმის 300 000 ევროს დაფინანსება გამოყო რეგიონისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამებისათვის.

როგორც ზემოაღნიშნული მაგალითები გვიჩვენებს, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში არსებობს სამოქალაქო საზოგადოების სფეროში თანამშრომლობის გარკვეული შემთხვევები, თუმცა შეზღუდულია იმ სახელმწიფო და ასევე კერძო ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც მხარს უჭერენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობას რეგიონული განვითარების კუთხით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფუნქციონირება არ შემოფარგლულა ვიშეგრადის საზღვრებით. პირიქით, არსებობს ძალიან ბევრი შემთხვევა, როდესაც V4-ის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თანამშრომლობენ სხვა რეგიონების სამოქალაქო სექტორთან. მათ ვიშეგრადის რეგიონის გამოცდილება ამ სფეროს განვითარების საკითხებში ხელმისაწვდომი გახადეს სხვა რეგიონებისათვის, რაც მათ დაეხმარებათ სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობაში.

შესაძლებელია ითქვას, რომ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში ბოლო ოცი წლის მანძილზე. სამოქალაქო სექტორმა წარმატებით შეასრულა შუამავლის როლი კერძო და სახელმწიფო ინტერესებს შორის.

### ბიბლიოგრაფია:

*International Centre for Democratic Transition. Project Preparatory Study 2010. Sharing the Experiences of Visegrad Cooperation in the Western Balkans and the Eastern Neighbourhood countries.*

*A collection of Conference Speeches 22-23 November, 2012. The Role of Civil Society in Integration Processes: Real Enlargement through Effective Involvement.*

*Nugent, N. (2004) European Union Enlargement. Basingstoke: Palgrave Macmillan*

*KÁLMÁN DEZSÉRI AND PÁL GÁSPÁR. Economic and Political Relations after the EU Enlargement: The Visegrad Countries and Russia, Ukraine, Belarus and Moldova. ICEG European Center*

### ვებ-რესურსები:

[www.visegradgroup.eu](http://www.visegradgroup.eu)

[ec.europa.eu/eurostat](http://ec.europa.eu/eurostat)

<http://ec.europa.eu>

### დავალებები სემინარული მუშაობისათვის

1. გაანალიზეთ და შეაჯამეთ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების თავისებურებები ვიშეგრადის ქვეყნებში.
2. გაანალიზეთ ევროკავშირის როლი და მნიშვნელობა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში ვიშეგრადის ქვეყნებში.